



დიპლომატი



დიპლომატიური კლუბის სასწავლო პროექტი / სპეც გამოშვება | 30 მარტი 2015

იტალია

ITALIA



იტალიის რესპუბლიკა



ზოგადი ინფორმაცია

იტალია (იტალ. Italia), ოფიციალურად იტალიის რესპუბლიკა — უნიტარული, საპარლამენტო რესპუბლიკა სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. ჩრდილოეთით, ალპების გასწვრივ ესაზღვრება საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია და სლოვენია. სამხრეთით ის მთლიანად მოიცავს აპენინის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის ორ უდიდეს კუნძულს — სიცილიასა და სარდინიას, ასევე სხვა მრავალ პატარა კუნძულს. იტალიის საზღვრებში მდებარეობს ორი ანკლავი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები სან-მარინო და ვატიკანი. ამავდროს იტალია შვეიცარიის ტერიტორიაზე ფლობს ექსკლავ კამპიონედ-იტალიას. იტალიის ტერიტორია მოიცავს 301 338 კმ²-ს და ახასიათებს ზომიერი სარტყლის კლიმატით. 60,6 მლნ მცხოვრებით იტალია ევროპაში მე-5 სახელმწიფოა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ და მსოფლიოში 23-ე. იტალიის დედაქალაქი რომი

საუკუნეთა განმავლობაში დასავლური ცივილიზაციის პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა, როგორც რომის იმპერიის დედაქალაქი და წმინდა ეპარქიის ადგილსამყოფელი. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ იტალიამ გაუძლო უცხოელ ხალხთა მრავალ ინვანსიას, ძირითადად ისეთი ხალხებისგან როგორებიც იყვნენ გერმანიკული ტომები — ლანგობარდები და ოსტგუთები, შემდეგ ბიზანტიელები, უფრო მოგვიანებით კი ნორმანები და ა. შ. საუკუნეების შემდეგ, იტალია საზღვაო რესპუბლიკებისა და რენესანსის სამშობლო გახდა პოსტ-რომის იმპერიული საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იტალია დაყოფილი იყო მრავალ სამეფოდ და ქალაქ-სახელმწიფოდ (მაგალითად, როგორებიც იყო სარდინიის სამეფო, ორი სიცილიის სამეფო, მილანის საგრაფო), მაგრამ 1861წელს გაერთიანდა. გაერთიანების მღელვარე

პერიოდი ისტორიაში ცნობილია როგორც "Il Risorgimento". გვიანდელ XIX საუკუნიდან და მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე იტალია ფლობდა კოლონიურ იმპერიას, რომელზეც მისი მმართველობა ვრცელდებოდა და ოგო მოიცავდა ლიბიას, ერიტრეას, სომალის, ეთიოპიას, ალბანეთს, დოდეკანესის კუნძულებსა და ტიანძინის კონსესიას ჩინეთში. თანამედროვე იტალია დემოკრატიული რესპუბლიკაა. რანგირებულია როგორც მსოფლიოს 24-ე ყველაზე განვითარებული ქვეყანა და ცხოვრების ხარისხის ინდექსით შედის მსოფლიო ქვეყანათა ათეულში. იტალია გამოირჩევა ცხოვრების ძალიან მაღალი



სტანდარტით და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი მაჩვენებლით. წარმოადგენს ევროკავშირის ჩანასახის დამფუძნებელ წევრს და ევროზონის ნაწილს. იტალია ასევე არის დიდი რვინის, დიდი ოციანისა და ნატოს წევრი. გააჩნია მსოფლიოში მესამე უდიდესი ოქროს მარაგი, მშპ-ის მერვე უდიდესი მაჩვენებელი მსოფლიოში, მეათე უდიდესი მშპ, I და მეექვსე უდიდესი სახელმწიფო ბიუჯეტი. ის ასევე არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, დასავლეთ ევროპის კავშირისა და გაეროსწევრი. იტალია ფლობს მსოფლიოში მეცხრე უდიდეს თავდაცვით



ბიუჯეტს და მის ტერიტორიაზე განთავსებულია ნატოს ბირთვული იარაღი. იტალია დიდ როლს თამაშობს გლობალურ სამხედრო, კულტურულ და დიპლომატიურ საქმიანობებში. ქვეყნის ევროპული პოლიტიკის, სოციალური და ეკონომიკური გავლენა მას მთავარ რეგიონულ ძალად აქცევს. იტალიას გააჩნია საზოგადოების განათლების მაღალი დონე და წარმოადგენს მაღალგლობალიზებულ ერს. სახელწოდება

- ოფიციალური: ქართულად — იტალიის რესპუბლიკა; იტალიურად — Italia, Repubblica Italiana.
- ეტიმოლოგია — სახელი უკავშირდება ძველ იტალიკურ ტომებს, რომელთა ერთმა ნაწილმა, კერძოდ ლათინებმა დაიმორჩილეს დანარჩენები და შექმნეს რომის რესპუბლიკა. სხვა ვერსიით, იგი მომდინარეობს „ხბოთა ღვთაების“ სახელისაგან (ლათინურად vituli ხბოებს ნიშნავს).

იტალიის გეოგრაფია. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში, აპენინის ნახევარკუნძულისა და მიმდებარე კუნძულებზე. მოსაზღვრე ქვეყნებია: საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, სლოვენია. იტალიის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი სუვერენული სახელმწიფო-ანკლავი: ვატიკანი და სან-მარინო. იტალია მდებარეობს ზომიერი სარტყლის ტყის ზონისა (ჩრდილოეთით) და სუბტროპიკული სარტყლის (სამხრეთით) ფარგლებში. მის ბუნებაზე დიდ გავლენას ახდენს ხმელთაშუა ზღვა. ნაპირი სუსტადაა დანაწევრებული, ცოტაა მოხერხებული უბე. შედარებით მეტადაა დანაწევრებული აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთი სანაპირო. სანაპირო ხაზის სიგრძეა დაახლოებით 7 500 კმ. ტერიტორიის დაახლოებით 4/5 უჭირავს მთებსა და მაღლობებს. ჩრდილოეთით გადაჭიმულია ალპები (მთა მონბლანი, 4807 მ — იტალიის უმაღლესი წერტილი), მის სამხრეთით, აპენინის ნახევარკუნძულის გასწვრივ, თითქმის 1200

კმ-ზე გადაჭიმულია აპენინის მთები (მთა კორნო-გრანდე, 2914 მ), ეტნა (3340 მ), სტრომბოლი, ვულკანო. შუა და სამხრეთ იტალიაში ხშირია მიწისძვრა (მესინის — 1908, სიცილიის — 1968). სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ქვანახშირი, ლიგნიტი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ტყვიის, თუთიისა, და რკინისმადანი, ბოქსიტი, პირიტი, ვერცხლისწყლის მადანი, გოგირდი, მარმარილო. ჰავა იტალიის დიდ ნაწილში სუბტროპიკულია, ხმელთაშუაზღვიური, პადანის ვაკეზე — სუბტროპიკულიდან ზომიერში გარდამავალი. ზაფხული ცხელი და მშრალია. მდინარეთა ქსელი ყველაზე ხშირია ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც გადის იტალიის უდიდესი მდინარე პო (სიგრძე 652 კმ.) პადანის ვაკეზე მიედინება მდინარეები: ადიჯე, ბრენტა, პიავე, ტალიამენტო, რენო და სხვ. აპენინის ნახევარკუნძულის უდიდესი მდინარეებია: არნო, და ტიბრი. დიდი ტბების უმეტესობა (გარდა, კომო, ლაგო-მაჯორე და სხვ.) ლომბარდიის ალპების მთისწინეთშია, აპენინის ნახევარკუნძულის უდიდესი უდიდესი ტბებია: ბოლსენა, ბრაჩანო და სხვ.





აღშენიშნული 800 მეტრამდე სიმაღლეზე მთის ფართოფოთლოვანი ტყეა, 800-დან 1800 მ-მდე — ნიფლნარი და ნიწვნარი მთა-ტყის ყომრალ და ნეშომპალა ნიადაგებზე; მალა — ბუჩქნარი, სუბალპური და ალპური მდელოები მთა-მდელოს ნიადაგზე, თხემურ, ნაწილში გაშიშვლებული კლდეები და შვავებია. აპენინებში სიცილიასა და სარდინიაში 500-600 მ-მდე მარადმწვანე ქვამუხის, კორპის მუხის, მინიისა და ალექსის ფიქვის კორომები და ბუჩქნარია უმთავრესად ყავისფერ ნიადაგზე, მალა, 1000-1500 მ-მდე ქარბობს მთის ფართოფოთლოვანი ტყეები ყავისფერ და მთის მურანიადაგებზე. ცხოველები შემორჩენილია მხოლოდ მთაში. ალპებსა და აპენინებში ბინადრობს არჩვი, ველური კატა, კვერნა, ქრცვინი, ცენტრაურ აპენინებში — მურა დათვი. გავრცელებულია: კურდღელი, ციყვი, ფრინველთა 400-მდე სახეობა. ბევრია ქვეწარმავალი და თევზი.

- ფართობი — 301 230 კმ
- საზღვრები: საზღვაო — 4 852 კმ; სახმელეთო — 1 703 კმ.
- ბუნება: გეოგრაფიული რაიონები — ალპები, აპენინები, პოს ველი.

- უმაღლესი მწვერვალები (მ) — გრან-პარადიზო 4 061, მონბლანი 4 807 (საფრანგეთთან ერთად);
- უდიდესი მდინარეები (კმ) — პო 652, ადიჯე 410, ტევერე 405;
- უდიდესი ტბები (კმ) — გარდა 370, ლაგო-მაჯორე 170 (სულ 212), კომო 146, ტრაზიმენო 128;
- უდიდესი კუნძულები (კმ) — სიცილია 25 426 სარდინია 23 813, ელბა 223
- კლიმატი — ხმელთაშუაზღვიური, კონტინენტური, ალპური.



• ბუნებრივი რესურსები — ვერცხლისწყალი, მარმარილო, გოგირდი, ბუნებრივი აირის და ნავთობის მცირე რეზერვები, თევზი, ქვანახშირი, სასოფლო-სამეურნეო მიწები.



სახელმწიფო

- პრეზიდენტის რეზიდენცია
- პოლიტიკური სისტემა — საპარლამენტო რესპუბლიკა.
 - სახელმწიფოს მეთაური — პრეზიდენტი
 - მთავრობის მეთაური — პრემიერ-მინისტრი

• საკანონმდებლო ორგანო — ორპალატიანი პარლამენტი, შედგება რესპუბლიკის სენატისა (315 წევრი) და დეპუტატთა პალატისაგან (630 წევრი).

დემოგრაფია

იტალიის დემოგრაფია და იტალიის ქალაქების სია მოსახლეობის მიხედვით.

- მოსახლეობა — 60 231 214 (2009), მათ შორის 94,1% იტალიელები, 2,6% სარდინიელები, 1,2% ფრიულელები.
- ენები — იტალიური, გერმანული (ტრენტინო-ალტო-ადიჯეს რეგიონში), ფრანგული (ვალე დ-აოსტა), სლოვენური (ტრიესტე-გორიცია).
- რელიგია — კათოლიციზმი.
- ქალაქები (ათ.) — რომი (2 456, აგლომ. — 3 550), მილანი (1 180, აგლომ. — 4 047), ნეაპოლი (992, აგლომ. — 3 612), ტურინი (856, აგლომ. — 1.612), პალერმო (652, აგლომ. — 946), გენუა (602, აგლომ. - 675), ბოლონია (369, აგლომ. - 536), ფლორენცია (352, აგლომ. - 824).

იტალია ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 200 კაცს 1 კმ - ზე. დაახლოებით 60 % ქალაქში ცხოვრობს, რომელთა შორისაც უდიდესებია რომი, მილანი, ნეაპოლი, ტურინი.

ეკონომიკა

იტალიის ეკონომიკა. იტალია მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, ე.ე.პ. მოცულობით (1.160 მლრდ \$) მსოფლიოში მე-6 ადგილი უკავია.

- ე.ე.პ. სტრუქტურა (%) — სოფლის მეურნეობა — 3, მრეწველობა — 33, მომსახურება — 64;
- ე.ე.პ. (1 სულზე) — 20 170 \$.
- უდიდესი კომპანიები — მონტედისონი, ფიატი, ალფა-რომეო, ბუგატი, პირელი, ირი,

ბენეფონი, ფერარი.

• ექსპორტი — ლვინო, მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ზეთუნის ზეთი, ტექსტილი.

• ბიუჯეტი — 504 000 მლნ \$.

• ვალუტა — ევრო (EUR); 2002 წლამდე იტალიური ლირა. იტალიის ისტორია.

1861 წელს თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე არსებული პატარა სამეფო-სამთავროები გაერთიანდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. სულ ბოლოს მათ შეუერთდა რომი, სადაც მანამდე პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნოდა პაპს. 1922 წელს ქვეყნის სათავეში მოვიდა ფაშისტური ხელისუფლება ბენიტო მუსოლინის მეთაურობით, რომელიც ჩათრეულ იქნა მეორე მსოფლიო ომში. 1947 წელს იტალია გახდა დემოკრატიული რესპუბლიკა.

• რომი — პანთეონის ტაძარი (ძვ. წ. I ს.), კოლოსეუმი (I ს.), ფორუმი, კარაკალას აბანოები (III ს.), ტრიუმფალური თალი, წმინდა პავლეს ტაძარი (IV ს.), კაპიტოლიუმის მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი, გალერეა ბორგეზე;

• მილანი — ოპერა „ლა სკალა“, ტაძარი (XIV ს.), სან-ამბროჯიოს ეკლესია (XII ს.), სანტა-მარია-დე-ლა-გრაციას ტაძარი ლეონარდო და ვინჩის ფრესკით „საიდუმლო სერობა“;

• ფლორენცია — ისტორიული ცენტრი, ტაძარი (XIII ს.), სტროცის სასახლე (XV ს.);

• ვენეცია და მისი ლაგუნა, პიზის ტაძარი და კოშკი, პომპეის არქეოლოგიური ტერიტორია, ნეაპოლის ცენტრი და ყურე, სამეფო სასახლე კაზერტაში, სავოიის სამეფო სახლის რეზიდენცია;

• რომაული ეპოსი — ენეიდა (ძვ.წ. I).

მემკვიდრეობა

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები იტალიაში.

პიზის კოშკი



საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩის, მისი აღმატებულება, ქ.ნ. ფედერიკა ფავის ბიოგრაფია



ფედერიკა ფავი-იტალიის ელჩი
საქართველოში.



დაიბადა 1965 წლის 16 აპრილს ქ. რომში. 1991 წლის 9 აპრილს დაამთავრა რომის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სათანადო კონკურსის შედეგად, 1995 წლის 3 ივლისს დაიწყო დიპლომატიური კარიერა. 1995 წლის 3 ივლისიდან 1996 წლის 30 აპრილამდე გადის პროფესიული დახელოვნების კურსს დიპლომატიის ინსტიტუტში. 1996 წლის 1 მაისიდან არის დიპლომატიური წარმომადგენლობის მდივანი. 1996 წლის 2 მაისიდან მუშაობს კადრებისა და ადმინისტრაციის მთავარ სამმართველოში. 1996 წლის 27 სექტემბრიდან მუშაობს იმავე სამმართველოს სამდივნოში. 1999 წლის 1 მარტიდან არის ქ. ქაიროში დიპლომატიური წარმომადგენლობის კომერციული განყოფილების მეორე მდივანი, 2000 წლის 3 იანვრიდან - პირველი მდივანი. 2000 წლის 24 მარტის N85 დეკრეტის თანახმად, ხდება ამავე დიპლომატიური წარმომადგენლობის

მდივანი. 2000 წლის 1 ივლისიდან არის ამავე დიპლომატიური წარმომადგენლობის კომერციული განყოფილების პირველი მდივანი, ხოლო 2001 წლის 1 ოქტომბრიდან - ინიშნება იმავე წარმომადგენლობაში კონსულად. 2005 წლის 31 იანვრიდან - ბრუნდება რომში, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც 2005 წლის 20 აპრილიდან მუშაობს აზიის, ოკეანის, წყნარი ოკეანისა და ანტარქტიდის ქვეყნების მთავარი სამმართველოს სამდივნოში. 2005 წლის 2 ივლისს მიენიჭა უფროსი მრჩეველის რანგი. 2005 წლის 18 ნოემბრიდან მუშაობს აზიის, ოკეანის, წყნარი ოკეანისა და ანტარქტიდის ქვეყნების მთავარ სამმართველოს სამდივნოს უფროსად. 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის ივნისამდე გადის 2000 წლის 24 მარტის N85 დეკრეტის მუხლი 17, პარაგრაფი 17-ით განსაზღვრული, დიპლომატიური წარმომადგენლობის მრჩეველის პროფესიული დახელოვნების კურსს დიპლომატიის ინსტიტუტში. 2008 წლის 2 სექტემბრიდან მუშაობს ჟენევაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველად, 2010 წლის 2 ივლისიდან არის ამავე დიპლომატიური წარმომადგენლობის მრჩეველი, ხოლო 2010 წლის 29 ივლისიდან არის პირველი მრჩეველი. 2011 წლის 5 სექტემბრიდან არის იტალიის ელჩი საქართველოში. 2005 წელს გახდა რესპუბლიკის დამსახურებული ორდენის კავალერი.



საქართველოში
იტალიის რესპუბლიკის ელჩის, მისი
აღმატებულება, ქ.ნ. ფედერიკა ფავის
პასუხები „საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის“
ჟურნალ „დიპლომატის“ კოთხეებზე

საქართველო და იტალია დიდი ხნის მეგობრები არიან. მათი ორმხრივი ურთიერთობების ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. საუკუნეობრივი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები დღესდღეობით კიდევ უფრო ღრმავდება და ამ პროცესს ხელს უწყობს იტალიის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ფედერიკა ფავი, რომელიც 2011 წლის სექტემბრიდან იმყოფება ჩვენს ქვეყანაში, რამდენიმე თვეში კი დაუბრუნდება თავის სამშობლოს. ჩვენ მას ვესტუმრეთ საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოში და ვთხოვეთ ესაუბრა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

1. ქალბატონო ფედერიკა თქვენი საქართველოში ყოფნის პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ორ მეგობარ ქვეყანას - იტალიასა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების მიზნით. რომელ სფეროებში ხორციელდება თანამშრომლობა? რა სახის პროექტები ხორციელდება? როგორია დღეს იტალია-საქართველოს შორის არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები?

- ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობა დღეს არ დანაწევრდა, ეს ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში იყო მათ შორის, დღეს კი ინტენსიური

ორმხრივი თანამშრომლობაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოსა და იტალიას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დაფუძნდა. პირველ რიგში, მინდა გავიხსენო, რომ იტალია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც 2008 წლის ომის შემდეგ „ნითელი ჯვარი“ გამოგზავნა საქართველოს დასახმარებლად. ჰუმანიტარული დახმარება იტალიისათვის ტრადიციულია. მან ასევე დიდი როლი შეასრულა ევროპის ქვეყნების მოქმედებაში, როდესაც საუბარი იყო ცეცხლის შეწყვეტაზე. ამ ორ ქვეყანას შორის არის პოლიტიკური ურთიერთობა და იტალია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ევროკავშირში იცავს საქართველოს ინტერესებს, პოზიციებს, ცდილობს და ბევრიც ეთქმის, რომ ევროკავშირი ყოველთვის იყოს ჩართული სეპარატისტული რეგიონების პრობლემის განხილვაში, რათა ევროკავშირმა დაიცვას საქართველოს ინტერესები.



2. კულტურისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ რას გვთქვით?



- ეს თანამშრომლობა წარმატებულია. იტალიის საელჩო მთელ რიგ კულტურულ პროექტებს ახორციელებს საქართველოში, რომელთა მიზანია ჩვენი ხალხების დაახლოება. ამ პროექტთა რეალიზებაში გვხვდებიან სხვადასხვა კერძო ფირმები, ისინი ჩვენი სპონსორები არიან. ყოველწლიურად ტარდება ღონისძიებები. მაგალითად, მონაწილეობა მივიღეთ ფონდ „იავნანას“ მიერ ჩატარებულ კონცერტში - ვერდის საღამო ჩვენი აქტიური მხარდაჭერით გაიმართა, ასევე, მარჯანიშვილის თეატრში მოწყობილ ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ თეატრალიზებულ აქციაში. იტალიის მთავრობამ დააწესა ყოველწლიური სტიპენდიები იმ ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც განათლებას მიიღებენ იტალიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ყოველწლიურად ხორციელდება, ასევე, პროექტები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და არქეოლოგიის სფეროში.



3. ცნობილია, რომ საქართველოს და იტალიას მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს, თუ არსებობს საქართველოში დაინტერესებული იტალიური კომპანიები?

- მართლაც, იტალიელ მენარმეთა ინტერესი საქართველოს მიმართ იზრდება. მაგალითად, დიდი ინვესტიციები განახორციელა ერთ-ერთმა იტალიურმა ფირმამ ზუგდიდის რაიონში, არის კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან თბილისის განათების პროექტში მონაწილეობის მიღებით, ცნობილია იტალიელმა არქიტექტორმა ითანამშრომლა დედაქალაქის მერიასთან, ავტობანებს აკეთებს იტალიური კომპანია და მრავალი სხვა. თბილისის მერიასთან ითანამშრომლა ასევე ცნობილია იტალიელმა არქიტექტორმა.

4. კიდევ რომელ სფეროებს დაასახელებდით, კიდევ რომელი მიმართულებით ხორციელდება თანამშრომლობა?

- თავდაცვის სამინისტროებს შორის გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლითაც 2015 წელს ქართველებმა უნდა გაიარონ ტრენინგი და ფორმირების კურსები. იტალიისა და საქართველოს ქალაქების დაძმობილების საკითხიც არ არის ახალი. პალერმოს მერს თავისი პირადი ისტორია აკავშირებს საქართველოსთან. წარმატებით ვთანამშრომლობთ

ჯანდაცვის სექტორშიც, კერძოდ, ონკოლოგიის განხრით. იტალიელი ექიმები თანამშრომლობენ ქართველ ექიმებთან და ერთობლივად აღწევენ წარმატებებს. გვაქვს ოთხი იტალიური არქეოლოგიური მისია. მართალია, ისინი არ არის მხოლოდ იტალიური, მაგრამ იტალიის უნივერსიტეტის იტალიელი ექსპერტები მონაწილეობენ არქეოლოგიურ გათხრებში ქართველ კოლეგებთან ერთად.

5. ურთიერთობის სამომავლო გეგმებზე რას იტყვით? რა პერსპექტივები აქვს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობას?

-ეს ურთიერთობა გაღრმავდება აუცილებლად, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა არის ასოცირების ხელშეკრულება, რომლისაც ახლახან მოენერა ხელი. საქართველომ მოინდომა ევროკავშირის ქვეყნებს დამსგავსებოდა, მე ამას ძალიან ვაფასებ. ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ახლა მნიშვნელოვანია იტალიის ჩართულობა იმპლემენტაციის გეგმის განხორციელებაში, გეგმის რეალიზაციის პროცესში.


6. რა შთაბეჭდილებები გაგყვებათ საქართველოდან?

- ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ მე ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. ამის მიზეზი მისი სილამაზეც არის, თბილისის განუმეორებლობაც, მაგრამ მთავარი არის ხალხი, რომელიც სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი, გულწრფელი და გულთბილია. მე მგონია, რომ ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობას ეს აადვილებს. ამასთან, ოჯახური ურთიერთობებიც, რომლებიც მყარია, ჩვენთვის ახლობელი და გასაგებია, რადგან ჩვენთანაც ასეა. ამიტომ გაადვილებულია თქვენთან კონტაქტი. ასე მგონია, რომ ახლა თქვენთვის უცხო ენაზე რომ ვლაპარაკობ, მაინც გესმით ჩემი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართველის გაგება ადვილია.

აქ ყველა გახსნილია, ღიაა ურთიერთობისათვის, ოღონდ ერთი რამ ვერ გამოგია, ასეთი გულწრფელი და თბილი ხალხი რატომ უფრო მეტად არ ილიმება? ვერც ის გამოგია, მაშინ, როდესაც ერი სასწაულად ტოლერანტულია, საზოგადოება რატომ არის არატოლერანტული უმცირესობების მიმართ? ევროკავშირი ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყნებისაგან შედგება, რომელთაც შეინარჩუნეს ტრადიციები და ღირებულებები, მათ შორის უმთავრესი ღირებულებებია: უმცირესობების, დაცვა და სიტყვის თავისუფლება.

ის, რაც თქვენ დაისახეთ მიზნად, ამ გადასახედიდან, ამბიციურია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მიაღწევთ, ამის გარანტიას მაქვს თქვენი მონდომება და შრომისმოყვარეობა. ხელისუფლება ბევრს აკეთებს ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოებისათვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი: ყველამ, თითოეულმა ადამიანმა უნდა აილოს პასუხისმგებლობა და დაეხმაროს ხელისუფლებას. გისურვებთ დასახული მიზნების მიღწევას.

ინტერვიუ ჩაინერა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის სპეციალისტმა ნინო აბრამიშვილმა.



ზოგიერთი ძირითადი მოვლენების ქრონიკა დიპლომატიური ქრონიკა

გერმანიის ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

11 ნოემბერს ქართულ უნივერსიტეტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ორთვინ ჰენიგი, საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი, დოქ. შტეფან ვაკციცი და DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დოქ. მარტინ პრაქსენტალერი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებმა და დიპლომატიური კლუბის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული შვიდენოვანი თემატური 56 გვერდიანი ელექტრონული ჟურნალი „დიპლომატი“. რომელშიც ვეცნობით გერმანიის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას, დიპლომატიას,

ცნობილ ადამიანებს, გერმანიის მიწებსა და მნიშვნელოვან, ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, კულტურულ მემკვიდრეობას და სხვა.

სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს მათ მიერ დაარსებული გერმანიის კლუბის მასალები, უამბეს კლუბის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა ვიდეოკოლაჟის ჩვენება, დაათვალიერეს ამ ღონისძიებისათვის სპეციალურად მომზადებული გერმანიისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. საპატიო სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა სტუდენტების მიერ ექსპრომტად მომზადებულმა გერმანულმა ცეკვამ და ანსამბლ „ჭერიოს“ მიერ შესრულებულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა.

17 ნოემბერს სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ ჩაატარა ღია კარის დღე, სადაც მიწვეულნი იყვნენ ის სტუდენტები, რომლებიც შეისწავლიან ჩინურ ენას სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მათ შორის იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პირველი კურსის სტუდენტები, რომელთაც წელს პირველად დაიწყეს ჩინური ენის შესწავლა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა, მისმა აღმატებულებამ, იუე ბინმა ისაუბრა ჩინური ენის მნიშვნელობაზე, პერსპექტივებსა და მომავალ გეგმებზე. მან აღნიშნა, რომ ყოველ წელს, გაზაფხულზე,



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის ჩატარდება სპეციალური გამოცდები. მაღალი შეფასების მქონე სტუდენტებს კი საშუალება ექნებათ მიიღონ დაფინანსება და გაემგზავრონ სასწავლებლად ჩინეთში. საელჩოში ჩატარდა ღონისძიება, სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა შეასრულეს სიმღერები და წარმოადგინეს ცეკვები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქართული უნივერსიტეტის ანსამბლმა „კარიბჭემ“, რომელთაც წარმოადგინეს ჩინური ცეკვა და გამოხატეს თავიანთი პოზიტიური დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ. ღონისძიების ბოლოს სტუდენტებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ საელჩო და დაეგმოვნებინათ ტრადიციული ჩინური კერძები.



საქართველოში თურქეთის ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

საქართველოში თურქეთის ელჩი
ქართულ უნივერსიტეტში

2014 წლის 24 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა საქართველოს მეგობარი ქვეყნის - თურქეთის რესპუბლიკის - საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მის აღმატებულებას, ბატონ ზეჟი ლევენტ გუმრუქჩუს. შეხვედრა გახსნა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. ბატონმა რექტორმა ისაუბრა ბატონი ლევენტ გუმრუქჩუს 9-თვიანი ელჩობის პერიოდში მისი აქტიური მოღვაწეობის შესახებ, მის თბილ ურთიერთობაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმიდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან და ელჩის როლზე ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში. შემდეგ ბ-ნმა სერგო ვარდოსანიძემ შეხვედრის მონაწილეებს მოკლედ გააცნო საქართველოსა და თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია და სტუდენტთა საყურადღებოდ ბრძანა, რომ როდესაც საქართველოს დეოკუპაციის საკითხი დადგა, სწორედ სტამბულის ხელშეკრულებით გადაწყდა, რომ აქ აღარ ყოფილიყო

უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთები. რექტორმა ასევე ისაუბრა თურქეთის ახალი სახელმწიფოს დამაარსებლის, ქემალ ათა თურქის შესახებ, ჩვენს დიდ მეზობელთან ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის საკითხებსა და თურქეთ-საქართველოს მომავალი ურთიერთობის შესახებ.

თავის გამოსვლაში ქართული უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად წარმოაჩინა ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების, როგორც უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის, ერთობლივი მოვლა-პატრონობა; მონაწილეთ მიმართა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა ზეჟი ლევენტ გუმრუქჩუმ; მან გამოხატა სიხარული ქართულ უნივერსიტეტში სტუმრობის გამო ელჩმა მადლობა გადაუხადა ყველა გამომსვლელსა და შეხვედრის ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ გამომსვლელთა სიტყვები მოწმობს, რომ ამ უნივერსიტეტში სწორად ესმით თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობა. შემდეგ მან ისაუბრა თურქეთისათვის საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, მიმოიხილა ამ ორი დიდი ქვეყნის ურთიერთობა



და აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკური პრობლემა არ არსებობს და ეს მყარი საფუძველია ჩვენი ქვეყნების შემდგომი დაახლოების გზაზე.

საქართველოში იაპონიის ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

19 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში იაპონიის ეროვნული დღესასწაულისადმი



მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება, ბატონი ტოშიო კაიტანი. ღონისძიება ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონული პროცესების მიმართულების სტუდენტებისა და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა.

საპატიო სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. მან მოკლედ ისაუბრა ბატონი ელჩის დიპლომატიურ კარიერაზე. დიდი მადლიერება გამოხატა იაპონიის სახელმწიფოსა და იაპონელი ხალხის მიმართ და ბატონ ელჩს მიულოცა იაპონიის ეროვნული დღესასწაული - იმპერატორის დაბადების დღე. შეხვედრის დასასრულს, საპატიო სტუმარმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს იაპონური ენით და კულტურით დაინტერესებისათვის და ამ შესანიშნავი ღონისძიების მოწყობისათვის. ბატონმა ელჩმა ქართული უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი სერგო ვარდოსანიძე, ღონისძიების ორგანიზატორები და იაპონიის კლუბის წევრები თავის რეზიდენციაში მიიპატიჟა.

საქართველოში ჩინეთის ელჩი ქართულ უნივერსიტეტში

24 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს კვლავ ეწვია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ბატონი იუე ბინი, რომელიც დაესწრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტების ღია სემინარს ჩინურ ენაში. ღია სემინარი ჩაატარა მოხალისე ჩინელმა პედაგოგმა ლიან ქუნ ქუნმა. ბატონი ელჩი აღფრთოვანებული დარჩა სტუდენტების მომზადებით და აქტიურობით, რომლებიც სულ



რალაც 2 თვეა ეუფლებიან ჩინურ ენას. სტუდენტებმა ღია გაკვეთილზე გამოამჟღავნეს საკმაოდ მაღალი ცოდნის დონე და ჩინურ ენაზე შერულებული სიმღერაც მიუძღვნეს საპატიო სტუმარს. ბატონმა ელჩმა შეაქო ჩინური ენის მოხალისე პედაგოგი ლიან ქუნ ქუნი და ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები ამ მოკლე დროში მიღწეული წარმატებისათვის და ჩინური ენითა და კულტურით დაინტერესებისათვის. ბატონმა ელჩმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო



ვარდოსანიძეს და პროფესორ ავთანდილ კიკნაძეს უნივერსიტეტში ჩინური ენის ჯგუფის შექმნისათვის და მხარდაჭერისათვის სტუდენტებს კი საჩუქრად გადასცა ჩინური ენის სახელმძღვანელოები, ლიტერატურა და ვიდეომასალა ჩინეთისა და ჩინური ენის შესახებ და მიიპატიჟა ისინი სტუმრად საელჩოში. შეხვედრის დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმარს უნივერსიტეტში სტუმრობისათვის, ჩინელი მოხალისე პედაგოგის მოვლინებისათვის და უნივერსიტეტის სტუდენტების საქმიანობით დაინტერესებისათვის. ბატონმა რექტორმა დიდი იმედი გამოთქვა, რომ ქართულ უნივერსიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს შორის თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2015 წლის 2 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თურქეთის რიზეს უნივერსიტეტთან. შეხვედრის

ამსახველი ინფორმაცია და ფოტოები განთავსდა რიზეს რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2015 წლის 1-3 თებერვალს, რიზეს ერდოღანის უნივერსიტეტის დელეგაცია სტუმრობდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და ბათუმის საზღვაო აკადემიას. ამ ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებებს მევლანას გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აკადემიური თანამშრომლობის თაობაზე.



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ რიზეს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჰუსეინ ქაჰრამანი, თურქეთის რესპუბლიკის ელჩი, ბატონი ზეჰი ლევენთ გუმრუქუ და საელჩოს რელიგიურ საქმეთა მრჩეველი, ბატონი ნები გუმუში. ისინი შეხვედნენ ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძესა და აკადემიურ პერსონალს. ხელი მოეწერა მევლანას გაცვლითი პროგრამის პროტოკოლს. ამას გარდა, პროფ. სერგო ვარდოსანიძემ გამოთქვა მზადყოფნა რიზეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის უფრო გაღრმავებისა და განმტკიცების თაობაზეც.




შემდგომ, რიზეს უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ჰუსეინ ქაჰრამანი და თურქეთის რესპუბლიკის კონსული ბათუმში იასინ თემიზქანი ეწვივნენ ბათუმის საზღვაო აკადემიას, შეხვდნენ რექტორს - პროფ. ირაკლი შარაბიძეს. შეხვედრისას ხელი მოეწერა მევლანას გაცვლითი პროგრამის შეთანხმებას.

რიზეს უნივერსიტეტის რექტორმა, ჰუსეინ ქაჰრამანმა, შეაჯამა რა საქართველოში ვიზიტის შედეგები, აღნიშნა, რომ დიდად კმაყოფილია ამ ორ გავლენიან სასწავლო დაწესებულებაში სტუმრობით და მათთან ორმხრივ სასარგებლო შეთანხმებებზე ხელის მოწერით. მანვე, საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ 2015-2016 სასწავლო წელს მეტად უნდა გაძლიერდეს რიზეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი, რაშიც ქართველი კოლეგების დახმარების იმედი აქვს.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების კიდევ ერთი წარმატება

რამდენიმე დღის წინ საქართველოში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ ჩატარებულ კონკურსში, ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის ორმა პირველკურსელმა, საბა ხაზალიამ და მარიამ ანთაძემ გაიარეს ორ ეტაპოვანი კონკურსი და მიიღეს ერთ წლიანი სტიპენდია. 2015-2016 სასწავლო წელს ისინი სწავლას გააგრძელებენ ჩინეთში ერთ-

ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში. ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს და მათ პედაგოგებს სალომე სადუნიშვილს და ლიან ქუნს.



შეხვედრა იტალიის საელჩოში

2015 წლის 30 მარტს ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართება იტალიის რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც დაესწრება საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩი, მისი აღმატებულება ქ-ნ ფედერიკა ფავი. აღნიშნული ღონისძიებისთვის მზადდება იტალიისადმი მიძღვნილი ჟურნალის "დიპლომატის" სპეციალური თემატური ნომერი, რომელშიც დაიბეჭდება ინტერვიუ იტალიის ელჩთან. იტალიის ელჩის მიწვევით 2015 წლის 23 მარტს საქართველოს



საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის სპეციალისტი ნინო აბრამიშვილი იმყოფებოდა საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩთან მიღებაზე. ელჩთან შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, მან დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა. ისაუბრა საქართველოსა და იტალიას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობების და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ელჩმა საქართველოში თავისი მოღვაწეობის ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა. გამოხატა დიდი პატივისცემა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი ქართულ უნივერსიტეტში

24 მარტს ქართული უნივერსიტეტის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის სააქტო დარბაზში საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების და დიპლომატიური კლუბის წევრების ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან, საერთაშორისო სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორთან, ირაკლი მენაღარიშვილთან, რომელმაც ჩაატარა დიპლომატიური ოსტატობის მასტერკლასი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და მეორე კურსელებისთვის.



შეხვედრა გახსნა და სტუმარს მიესალმა ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორისერგო ვარდოსანიძე, რომელმაც სტუდენტებს გააცნო სტუმრის ბიორგადია და ისაუბრა მისი პროფესიული მოღვაწეობის და დამსახურებების შესახებ. ბატონმა ირაკლი მენალარიშვილმა თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები. ისაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი საქართველო. სტუდენტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სტუმრის გამოსვლა და ბევრი საინტერესო შეკითხვაც



დაუსვეს, რომლებზეც მიიღეს კომპეტენტური და ამომწურავი პასუხები. შეხვედრამ ძალზედ საინტერესოდ ჩაიარა, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავსი შეხვედრები კიდევ გაიმართოს და სტუმარს სთხოვეს მომავალშიც ესტუმროს ქართულ უნივერსიტეტს. ბატონმა ირაკლი

მენალარიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტებთან შეხვედრის გამო, დადებითად შეაფასა მათი აქტიურობა და დაპირდა მათ, რომ მომავალში კვლავ ეწვევა ქართულ უნივერსიტეტს. დასასრულს ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მადლობა



გადაუხადა ბატონ ირაკლი მენალარიშვილს მობრძანებისთვის, საინტერესო მასტერკლასის ჩატარებისთვის და სამახსოვროდ გადასცა წიგნი "წერილები პატრიარქს".

იტალიის კლუბი ქართულ უნივერსიტეტში




საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების სტუდენტების ინიციატივით იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით დაფუძნდა იტალიის კლუბი, რომელსაც აქვს თავისი


ნესდება და ემბლემა. კლუბის მუშაობას უხელმძღვანელებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი ანი არეშიძე. იტალიურ კლუბს წინ დიდი გეგმები აქვს და მრავალ საინტერესო ღონისძიებებსაც მოამზადებენ მომავალში.

ახალი სასწავლო წლიდან ქართულ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია იტალიური ენის შესწავლა.

იტალიის კლუბში გაწევრიანების უფლება აქვთ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს, პედაგოგებს, თანამშრომლებს, ასევე, სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, იტალიური ენით და კულტურით დაინტერესებულ პირებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კლუბის მიერ დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძიებებში.



საქართველო-იტალიის დიპლომატიური ურთიერთობები



დიპლომატიური ურთიერთობების 23 წელი

მოკლე ისტორია
იტალიელი დიპლომატების საქართველოში მოღვაწეობის ისტორია რუსეთის მეფის ტახტიდან ჩამოგდებისა და ბოლშევიზმის საბოლოო გამარჯვების პერიოდში იწყება. ამ მღელვარე ისტორიულ ეტაპზე ძველი იმპერიების ნგრევამ კავკასიელ ხალხებს შესაძლებლობა მისცა, რამდენიმე წლით დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. სხვადასხვა სახელმწიფომ (მათ შორის, ჩვენმა ქვეყანამაც) აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918 წლის მაისი - 1921 წლის თებერვალი) და თბილისში საკუთარი წარმომადგენლები მოავლინა. საქართველოში იტალიის სამეფოს პირველი დესპანი ვიტორიო ჩერუტი გახლდათ, რომელიც თბილისში 1921 წლის თებერვალში, წითელის არმიის მიერ ქალაქის აღებაამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩამოვიდა. თავისი ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი გამოცდილება ჩერუტიმ აღწერა ნაშრომში "მოგონებანი მისიან კავკასიაში" ("ახალი ანთოლოგია", 1942 წლის 1 ნოემბერი, გვ. 15-25; 1942 წლის 16 ნოემბერი, გვ. 73-92) თბილისში ბოლშევიკური არმიის შემოსვლიდან "რკინის ფარდის" პერიოდის დასრულებამდე, საქართველოს ბედი დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირთან. ოცდაათიანი წლების დასრულებამდე თბილისში მოქმედებდა იტალიის სამეფოს საკონსულო.

იტალიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა განახლდა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, 1992 წლის 11 მაისს.

ჩვენი ქვეყანა, ევროკავშირის თავმჯდომარეობის პერიოდის ბოლო სემესტრში, შეესწრო საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს, "ვარდების რევოლუციას", რომელიც 2003 წლის 23 ნოემბერს, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობიდან გადაყენებით დასრულდა. "ვარდების რევოლუციის" შემდგომი პერიოდი გამოირჩევა უმაღლეს დონეზე გამართული მრავალრიცხოვანი ვიზიტებითა და პოლიტიკური შეხვედრებით, რომლებმაც დასაბამი მისცეს თბილისსა და რომს შორის "გაძლიერებულ დიალოგს". განსაკუთრებულად თვალსაჩინოა იტალიის, როგორც შუამავლის, როლი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს. იტალიის საელჩო საქართველოში გაიხსნა 2000 წლის თებერვალში. საელჩოს გახსნის დღიდან ერთმანეთს ჩაენაცვლა დიპლომატიური მისიის ოთხი ხელმძღვანელი: მიქელანჯელო პიპანი, ფაბრიციო რომანო, ვიტორიო სანდალი და ფედერიკა ფავი. 2011 წლის 5 სექტემბრიდან საქართველოში იტალიის ელჩია-ფედერიკა ფავი

სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობა

იტალიასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობა ეფუძნება მდიდარ და მრავალსაუკუნოვან ორმხრივ კავშირებს. ეს ინტენსიური ურთიერთობა შედარებით ნაკლებადაა ცნობილი იტალიის ფართო საზოგადოებრიობისთვის. სწორედ ამ მიზეზით საჭიროდ ჩავთვალეთ აქტუალურ სიახლეებთან ერთად, ისტორიული ხასიათის მქონე მცირე ექსკურსის გამოქვეყნება. მადლობელი დავრჩებით, თუ ვებ-გვერდის მნახველები მოგვანდებიან საკუთარ წინადადებებსა და ინფორმაციას სხვა მნიშვნელოვან ინიციატივებთან დაკავშირებით. იტალიასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობები ეფუძნება 1997 წელს ხელმოწერილ და 1998 წელს რატიფიცირებულ შეთანხმებას კულტურულ და



სამეცნიერო თანამშრომლობაზე. თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებია: ხელოვნების, არქეოლოგიის, საოპერო ხელოვნების, კინემატოგრაფიისა და თეატრის სფეროები, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება, იტალიური ენის სწავლება და იტალიის მთავრობის მიერ ქართველი ახალგაზრდებისთვის გამოყოფილი სასწავლო სტიპენდიები. იტალია

ტრადიციულად დიდი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ საკუთარი კულტურის გავრცელებას, არამედ საქართველოს კულტურული ორგანიზაციების მხარდაჭერას ამ ქვეყნის უზარმაზარი კულტურული და ჰუმანური მემკვიდრეობის სათანადოდ დაფასება-აღიარების საქმეში. კულტურული ურთიერთობების კონცეფცია ჩართულია მზარდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის სტრატეგიის საერთო სურათში.

თანამშრომლობის ძირითადი სფეროები:

ეკონომიკა, ჯანდაცვა, კულტურა, განათლება და მეცნიერება. საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკის საგარეო უწყებებს შორის არსებობს ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა. ბოლო ამგავრი კონსულტაციები, გაიმართა ქ. რომში, 2009 წლის 24 ნოემბერს, დეპარტამენტების დირექტორების დონეზე. ორ ქვეყანას შორის წარმატებით ხორციელდება საპარლამენტო თანამშრომლობა. აღსანიშნავია, იტალიის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა არაერთი ვიზიტი საქართველოში. საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას აკავშირებთ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები. 2004 წლიდან, პერიოდულად, იმართება იტალიურ-ქართული ეკონომიკური და ბიზნეს ფორუმები. პრიორიტეტს წარმოადგენს საამშენებლო და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის დარგები. იტალიის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა განათლებისა

და მეცნიერების სფეროში. იტალიის მთავრობა ყოველწლიურად გამოყოფს სასწავლო სტიპენდიებს ქართველი სტუდენტებისათვის. სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის ხორციელდება გაცვლითი პროგრამები. იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს კულტურული, ისტორიული და სამეცნიერო რესურსის წარმოჩინების მიზნით, ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება.

საქართველოში იტალიის
საელჩოს ინფორმაცია



მომავალი დიპლომატების და წარმატებული ადამიანების პროგრამა



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტზე 2013/2014 სასწავლო წლიდან ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა "საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები". პროგრამა შედგენილია უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით და ითვალისწინებს ორი უცხო ენის გაძლიერებულ სწავლებას პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით (ინგლისური, ჩინური, გერმანული, ესპანური, ფრანგული, რუსული). ახალი სასწავლო წლიდან პროგრამას დაემატება კიდევ 4 უცხო ენა (იაპონური, თურქული, არაბული და იტალიური ენები). აღსანიშნავია, რომ ყველა ჩამოთვლილი ენები პრიორიტეტულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დასაწყებად. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის და აზიის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, ინსტრუქციური,

მმართველობის სისტემის, სოციალური პროცესებისა და სხვა სფეროების შესახებ მსოფლიო პოლიტიკურ-ისტორიული პროცესების კონტექსტში. ფართო თეორიული ცოდნა რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის იდეებზე, კონცეფციებზე, პროცესებზე, რეგიონულ და ადგილობრივ მიდგომებზე. კომპლექსური ცოდნა და სპეციალური მომზადება რეგიონების წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, სამართლებრივ სისტემებსა და პროცედურებზე, მათი თეორიული საფუძვლების განვითარებაზე, რეგიონული, ეროვნული და ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკაზე, ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის კომპლექსურ პროცესებზე, ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობაზე, ინსტრუქციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკაზე, პოლიტიკური კულტურის თავისებურებებზე, პოლიტიკური პროცესის სპეციფიკაზე. საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის რეგიონმცოდნეობის სპეციალობით ბაკალავრის აკადემიური ხარისხისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების შერწყმის საფუძველზე. პროგრამა ასევე მოიცავს დამხმარე ცოდნის (ზოგადინტელექტუალური,

კომუნიკაციური კომპეტენციები) განმსაზღვრელ სასწავლო კომპონენტებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბაკალავრს უყალიბდება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც შემდგომში მას შრომით ბაზართან ადაპტაციის და პროფესიული ორიენტაციის საშუალებას მისცემს. დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს სახელმწიფო დაწესებულებებში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან; საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით, ანალიტიკურ და კონსალტინგურ ცენტრებში, კერძო კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასმედიის საშუალებებში.

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში, რომელიც ორიენტირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდგომი დონის სპეციალისტების მომზადებაზე. მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობენ: ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, სერგო ვარდოსანიძე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პროფესორები:



მინდია უგრეხელიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ვახტანგ გურული, მიხეილ ჭიბუძე, თეა გოგოტიშვილი, თამარ კიკნაძე, ფიქრია ასანიშვილი, რამაზ ლომინაძე, მაია ამირგულაშვილი, გურამ ჯოლია, არჩილ კალანდია, ვეფხია გვარამია, ქეთი მდინარაძე და სხვ.

ქართულ უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით, აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდით, კომპიუტერული კლასით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საბაზო სასწავლო დისციპლინებს: თანამედროვე ამროვნების საფუძვლები, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებსა და რეგიონმცოდნეობაში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე დიპლომატია: თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო მოლაპარაკებები, საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება, გლობალური და რეგიონალური პოლიტიკა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო კონფლიქტები და მათი დარეგულირების მეთოდები.

ქართულ უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ მიზნით სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია

დამატებითი შესაძლებლობები: წარმატებული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საელჩოებსა და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების სამსახურში; საქართველოში აკრედიტირებული საელჩოების მაღალი რანგის დიპლომატების სისტემატური მოწვევა და "მასტერ-კლასების" ორგანიზება; საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; "დიპლომატიური მოდულის" ერთობრივი პროექტის განხორციელება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მონაწილეობას აღნიშნულ პროექტში, რაც დაგეგმვარება



ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ახალი ფორმების დანერგვის საქმეში, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში საგარეო პოლიტიკური უწყების სისტემასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პრაქტიკული საქმიანობისათვის, ელექტრონული ჟურნალის "დიპლომატი"-ს სისტემატურად გამოცემა, საგანმანათლებლო პროგრამის თემატიკაზე. საერთაშორისო სიმპოზიუმების, კონფერენციების, ფორუმების, სამეცნიერო სემინარების, მასტერ-კლასების, მრგვალი მაგიდების, დებატების

ორგანიზება საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის, დიპლომატიის თემაზე მუდმივმოქმედი სტუდენტური ფორუმის ორგანიზება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი და უცხოელი დიპლომატები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, ფსიქოლოგები, ბიზნესმენები, ჟურნალისტები და სხვა. მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენს უნივერსიტეტში მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტი განხორციელდა. ფუნქციონირებს დიპლომატიური კლუბი, ჩინეთის, იაპონიის, გერმანიის სტუდენტური კლუბები, მზადდება ელექტრონული სასწავლო ჟურნალი "დიპლომატი", სტუდენტები ეუფლებიან 6 უცხო ენას, მათ ჩინურ ენას ასწავლის ჩინელი მოხალისე პედაგოგი. მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტს სტუმრობდნენ საბერძნეთის, ჩინეთის, გერმანიის, იაპონიის, თურქეთის, პოლონეთის, ისრაელის, ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ქართულ უნივერსიტეტში 150-მდე სტუდენტი სწავლობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამაზე. სტუდენტები საერთაშორისო სტუდენტური მოძრაობის ჩარჩოებში აქტიურად მონაწილეობენ გაეროს, ნატოს და ევროკავშირის მოდელის შესწავლაში და იყენებენ



მას, როგორც მრავალმხრივი დიპლომატიის ტრენინგებს. უახლოეს მომავალში ქართულ უნივერსიტეტს განზრახული აქვს დააფუძნოს კონფუციის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ ჩინური ენისა და კულტურის შესწავლისადმი.

მარტის თვეში დაგეგმილია საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისი აღმადგენლობა ფედერიკა ფავის ვიზიტი ქართულ უნივერსიტეტში, მზადდება იტალიის რესპუბლიკისადმი



მიძღვნილი ღონისძიება და ელექტრონული სასწავლო ჟურნალის "დიპლომატის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნება იტალიის რესპუბლიკას. აღსანიშნავია, რომ მეორე სემესტრიდან საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების პროგრამის სტუდენტების და დიპლომატიური კლუბის წევრების მიერ მრავალი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის ბევრი სიახლეა გათვალისწინებული.

იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. (ფარნეზინა), (Ministero degli Affari Esteri) — არის იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო.



საქარეო საქმეთა უწყება შეიქმნა სარდინიის სამეფოში და ერქვა საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნო. თანამედროვე სახელწოდება შეიძინა 1848 წლის სტატუტის (განსაკუთრებული მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტი) მიღების შედეგად.

საგარეო უწყების პირველი რეზიდენცია განთავსებული იყო კონსულტის სასახლეში რომში. (Palazzo della Consulta). აქ საგარეო უწყება მდებარეობდა 1922 წლამდე. საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლო სფორცამ 1920-1921 წლებში გააუქმა პირველი სერიოზული რეფორმა სამინისტროში, რომლის რეორგანიზაცია მოახდინა ტერიტორიული პრინციპით. ამ პერიოდშივე საგარეო საქმეთა სამინისტრო გადატანილ იქნა კიდუის სასახლეში. მეორე მსოფლიო ომის წლებში საგარეო საქმეთა სამინისტრო მდებარეობდა ბრინდიზში. 1944 წლის 15 ივლისს მოხდა სამინისტროს სამსახურების რეორგანიზაცია პეტრო ბადოლიოს გადაწყვეტილებით. 1959

წლიდან სამინისტრო მდებარეობს ფარნეზინას სასახლეში. სასახლეში 1320 ოთახია. პირველად სასახლე აშენდა სულ სხვა მიზნებისათვის. მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან სასახლე გამოიყენება საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობისათვის. ფარნეზინას შენობის ფასადის სიგრძე 169 მეტრია, სიმაღლე-51 მეტრი.

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციები.

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციები რეგულირდება 2003 წლის 23 აპრილის 109 იტალიის კანონით, იტალიის მოქალაქეების და იურიდიული პირების ინტერესების დაცვა იტალიის კონსტიტუციის 117 სტატიის შესაბამისად. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კავშირების გაფართოება საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროკავშირში საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს იტალიის პოზიციის გამომხატველს საერთო ევროპული საგარეო, ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების საქმეში, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით. იტალია თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან განვითარების მიზნით, მიგრაციის, ადამიანის უფლებების დაცვის და საზღვარგარეთ იტალიელების ინტერესების დასაცავად. ხელს უწყობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ევროკავშირში იტალიის მონაწილეობისა და შესაბამისი პოლიტიკური კურსის განხორციელებაში. საგარეო საქმეთა მინისტრი შედის იტალიის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. . სტრუქტურა



2001 წლის 18 თებერვლის ბრძანების საფუძველზე საგარეო საქმეთა სამინისტრო შედგება 13 გენერალური დირექციისაგან მიმართულებების მიხედვით:

1. ევროპის ქვეყნები;
 2. ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები
 3. ხმელთაშუაზღვა და ახლო აღმოსავლეთი
 4. აფრიკა
 5. აზია, წყნარი ოკეანის რეგიონი, ოკეანეთი და ანტარქტიდა
 6. ევროპული ინტეგრაცია;
 7. ადამიანის უფლებები და მრავალმხრივი თანამშრომლობა;
 8. ეკონომიკური თანამშრომლობა და ფინანსირება;
 9. კულტურული თანამშრომლობა;
 10. იტალიელები საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიაზე და მიგრაციული პოლიტიკა;
 11. თანამშრომლობა განვითარებისთვის;
 12. საერთაშორისო ორგანიზაციები;
 13. ბიუჯეტი და ქონებრივი საკითხები..
- საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში ასევე არსებობს რიგი სამსახურები და დაწესებულებები:
- პრესისა და ინფორმაციის სამსახური
 - დიპლომატიური უთანხმოებების მოგვარების და გადაყვანების სამსახური
 - ისტორიის, არქივის და დოკუმენტაციის სამსახური
 - ინფორმაციის, კომუნიკაციის, და შიფრის სამსახური
 - დიპლომატიური ინსტიტუტი

- გენერალური სამდივნო
- რესპუბლიკის დიპლომატიური პროტოკოლის სამსახური
- გენერალური ინსპექცია საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შედიან:
- იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლობები საზღვარგარეთის ქვეყნებში
- მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობები საერთაშორისო ორგანიზაციებში
- იტალიის საკონსულო დაწესებულებები
- იტალიის კულტურის ინსტიტუტები საზღვარგარეთის ქვეყნებში
- იტალიის დიპლომატიური სამსახური

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ამოცანების შესრულებაზე, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კავშირების განვითარებაზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან. სამინისტროს მნიშვნელოვანი ფუნქციაა კოორდინაცია გაუნიოს სამთავრობო დაწესებულებების საერთაშორისო საქმიანობას ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკის მიზნების შესაბამისად. საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის საქმიანობას ახორციელებს საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების, სპეციალური დიპლომატიური დელეგაციების (მისიების) და იტალიის კულტურის ინსტიტუტების მეშვეობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- მჭიდრო საერთაშორისო კავშირების გაღრმავება დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის და ლიბერალური ღირებულებების ქვეყნებთან.

იტალიის როლის ამაღლება საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაში და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- იტალიის პოზიციის წარმოჩენა ევროპის ინტეგრაციულ პროცესებში, ერთიანი ევროპული საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციის საქმეში.
- იტალიის კორპორაციული, ეკონომიკური-კომერციული სტრუქტურების ხელშეწყობა და საზღვარგარეთ იტალიური ბიზნესის მხარდაჭერა.
- იტალიის ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში ხელშეწყობა, იტალიური სკოლების, უცხოელი მოქალაქეებისთვის სტიპენდიების და გრანტების, ენის კურსების, ორგანიზებული კულტურული დაწესებულებების და არქეოლოგიური მისიების მეშვეობით.



მოლაპარაკებების წარმართვის იტალიური სტილი

მოლაპარაკებებზე ქვეყნის იტალიური სტილი სხვა ქვეყნებისგან გამოირჩევა იმით, რომ ისინი აქტიურად ამყარებენ პარტნიორულ ურთიერთობებს. იტალიელები, როგორც წესი არ აჭიანურებენ ორგანიზაციული და ფორმალური საკითხების გადაწყვეტას. აქტიურად მიდიან ალტერნატიულ ვარიანტებზე. მათ არ აქვთ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების რთული ბიუროკრატიული პროცედურები. ისინი ორიენტირებულები არიან მეგობრულ, არაფორმალურ ურთიერთობებზე თავიანთ პარტნიორებთან. მოლაპარაკებების პროცესში მიესალმებიან ნდობისა და კეთილგანწყობილ ატმოსფეროს. საკამათო საკითხებში ცდილობენ გონივრული კომპრომისის მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ შუამავლების მომსახურებას. საერთოდ, შუამავლობის ინსტიტუტი საკმარისად არ არის გავრცელებული ამ ქვეყანაში. ისინი ისე ცდილობენ მოილაპარაკონ, რომ საკამათო თემები გარეთ არ გამოიტანონ. მრავალი საკითხი, რომლებიც მოლაპარაკებების საგანს წარმოადგენს, ცდილობენ არაოფიციალურ გარემოში განიხილონ, მათ შორის რესტორანშიც. იტალიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდეს თანაბარი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებს შორის. მოლაპარაკებების დაწყებამდე იტალიელი მომლაპარაკებლები შეძლებისდაგვარად ცდილობენ რაც შეიძლება მეტი შეიტყონ თავისი პარტნიორების შესახებ ყველა ასპექტში.

იტალიელები ძალიან ამაყოფენ თავისი ქვეყნით. იტალიელებს, ისევე, როგორც ფრანგებს ძალიან მოსწონთ ის ყურადღება, რომელსაც იჩენენ პარტნიორები მათი ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი. იტალიელებთან მოლაპარაკებების დროს სასარგებლოა გავითვალისწინოთ თვალსაჩინო განსხვავებები სამხრეთი და ჩრდილოეთის რეგიონების წარმომადგენლებს შორის, ისეთ საკითხებში რომლებიც ეხება მათ ტემპერამენტს, საქმიან თვისებებს და ენის ნიუანსებსაც კი. იტალიელები არიან ექსპანსიურები, იმპულსურები, გამოირჩევიან კომუნიკაბელურობით. მოლაპარაკებების წარმართვის მათი პრაქტიკა შეესაბამება საყოველთაო ნორმებს. განსაკუთრებული განსხვავება შეინიშნება მსხვილი და მცირე ფირმების წარმომადგენლების ქცევაში. და ბოლოს, როგორც წესი, შეთანხმების მიღწევაში



აქტიურები და ენერგიულები არიან, მიისწრაფიან არ მოხდეს ორგანიზაციული საკითხების გაჭიანურება, შეთანხმებისათვის საჭირო ალტერნატიულ ვარიანტებს ეძებენ. იტალიელი ბიზნესმენები ცდილობენ საქმე დაიჭირონ ისეთ ხალხთან, რომელთაც უკავიათ სწორედ ის ადგილი საქმიან სფეროში, რაც მათ, ფირმაში და საზოგადოებაში. არცთუ ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათთვის პარტნიორებთან არაფორმალურ ურთიერთობას, მითუმეტეს

არასამუშაო დროს. ისინი თვლიან, რომ არაფორმალურ გარემოებაში შესაძლებელია უფრო თავისუფლად გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებები პარტნიორის საქმიან წინადადებებზე და მისი განაწყენების რისკიც უფრო ნაკლები იქნება. საქმიანი ურთიერთობების მოსაგვარებლად საკმარისია ოფიციალური წერილების გაცვლა სადაც იქნება თანამშრომლობის შესახებ შეთავაზება. ზოგიერთი იტალიელი დიპლომატის ნაკლოვანება არის ის, რომ ისინი მათ დანაპირებს ყოველთვის არ ასრულებენ. ჭამა მათი კულტია. მათ შეუძლიათ მაგიდასთან უაღრესად სერიოზულ საკითხზეც ისაუბრონ. სადილი ხანდახან გრძელდება 2-3 საათი. მაგიდასთან ისინი არ უჭახუნებენ, სამაგიეროდ ამბობენ "ჩინ-ჩინ". მაგიდასთან მთავარ სირთულეს წარმოადგენს სპაგეტი. მათ ახვევენ ჩანგლის კბილებზე-ეს არ არის ადვილი, მაგრამ ამის სწავლა სავალდებულოა. თუ თქვენ მგზავრობთ მატარებლით და თქვენი თანამგზავრი გთავაზობთ წახემსებას, უარი უთხარიოთ იმ მოტივით, რომ თქვენ ცოტახნის წინ უკვე მიირთვით. ეს შემოთავაზება უბრალოდ ზრდილობის ნიშანია. ეკლესიაში სირულის დროს იყავით მცაცრად ჩაცმული. ქალებს არ უნდა ეცვათ კაბა მოკლე სახელურებითა და დეკოლტეთი, ასევე თავსაბურავი აუცილებელია.





ძველი რომი

რომი ძველი ქალაქია, ქვეყანა სულ რამდენიმე წლისაა. ცივილიზაცია კი რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. რომის იმპერია ევროპას ათასი წლის მანძილზე აკონტროლებდა, 9 ათასი წელი კი იგი მსოფლიოს მარადიული ხელოვნებითა და უძველესი სიბრძნეებით აოცებდა. დღეს რომს ჩვენს ენაზე, ჩვენს პოლიტიკასა და ჩვენს რელიგიაში დიდი ადგილი უჭირავს. მარადიული, ძველი და მაინც ძლიერ თანამედროვე და მოდური რომი დასავლური ცივილიზაციის სულიერ დედაქალაქს წარმოადგენს.

რომის ქალაქები ადამიანურ ვნებათა და ინტრიგების მოწმენი არიან. მბრწყინავი შადრევნები, მოოქროვილი სასახლეები, რომის მოსახლეობა დიდებულ გარემოში ცხოვრობს. აქ კაფეები და ჩვეულებრივი სახლების კი ისტორიის ნაწილს წარმოადგენს. ყველგან მდიდრული მალაზიები და ყვავილების ბაზრობაა. და რა თქმა უნდა უამრავი შადრევანი. მოგზაურები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელოვნების ნიმუშებსა და ძველი ცივილიზაციის კვალს აწყდებიან.

მოგზაურების თქმით, რომის დასათვალიერებლად ერთი სიცოცხლე არ გეყოფა.

იტალია ხმელთაშუა ზღვაში შეჭრილ ვიწრო ნახევარ კუნძულზე მდებარეობს, რომი ენსეკის დასავლეთ ნაწილში ცენტრალურ იტალიაში მდინარე ტიბრაზეა გაშენებული. ძველი რომი, რომის დიდი ფორუმის გარშემო აშენდა. მოშორებით საქარავნო ტრასის მახლობლად ვხედავთ

კოლიზეუმს. რომაელთა თქმით უცხოელის გამოცნობა ძალიან ადვილია, ნებისმიერი მათგანი აქ გავლისას თავს კოლიზეუმისკენ აბრუნებს. რომაელები ჩვეულებრივ ამბად ალიქვამენ იმას, რომ მათი ქალაქი ნამდვილ მუზეუმს წარმოადგენს. იმპერიის ხარჯზე გამდიდრებულ რომში მრავალი ადამიანი აღზევდა. ქალაქი ფუსფუსითა და ხმაურით თანამედროვე რომს ედრებოდა. მდიდარი რომაელები, პატრიციები ცენტრალური გათბობითა და წყალსადენებით მოწყობილ მდიდრულ სასახლეებში ცხოვრობდნენ.

დღეს, ძველი რომი მხოლოდ უსიამოვნო ნანგრევების სახით შემორჩა. უზარმაზარი თაღები, ძველი შენობების კედლები და ნანგრევების ნარჩენები შთამბეჭდავი სანახავია.

რომის დაღმასვლასთან ერთდ აქ ხშირად ხდებოდა მეომარი ტომების შემოსევა. რომი დაეცა. მრავალი საუკუნეა იგი ნანგრევებად იქცა. მოგვიანებით კათოლიკურმა ეკლესიამ შენობათა ნანგრევები სამშენებლოდ გამოიყენა. კოლიზეუმის ქვები წმინდა პეტრეს ტაძრის აგებას მოხმარდა. ძლიერი ოჯახები, ისეთები როგორიც იყო ბერბერების ოჯახი, რომში დაბრუნდნენ და ქვები საკუთარი სასახლეების ასაშენებლად წაიღეს. მაშინ, ხალხში ასეთი მოარული გამოთქმა არსებობდა: "ყველაფერი, რაც ბარბაროსებს

გადაურჩათ, ბარბარინებმა მოიპარეს."

დღეს, ძველი მონუმენტები, სხვა ეპოქის ნაგებობების გვერდით არსებობს. ასე მაგალითად, რომის პარლამენტის შენობა იმპერატორ ავრელიუსის ყოფილ სასახლეშია განთავსებული. კოლონა ჩრდილოეთ ევროპაში მისი გამარჯვების აღსანიშნავად აიგო. მასზე ასახულია ბრძოლის მსვლელობის სურათები. რომის წყალსადენთა სისტემა ვანდალიზმს გადაურჩა, რადგან წყალი ყველას სჭირდებოდა. რომაელები ბრწყინვალე ინჟინრები, არქიტექტორები და მმართველები იყვნენ. წყალსადენებით რომს წყალი წყლის სიმძიმის ძალით მიეწოდებოდა. ეს ძალა საკმაოდ დიდი იყო იმისთვის, რომ წყალს თიხის მილებით მოწყობილ ქსელში ედინა, რომელიც ქალაქის ქუჩების ქვეშ გადიოდა. ეს წყალი 1600 მოქალაქეს აბაზანის ერთდროულად მიღებისათვის ჰყოფნიდა. უზარმაზარი სახლები აღჭურვილი იყო აუზებით, სპორტული და სამკითხველო დარბაზებით.

კედლები ქალაქის გარშემო მესამე საუკუნეში ჩრდილო-ევროპელი სასტიკი ტომების თავდასხმის შემდეგ აშენდა წმინდა სებასტიანის კარები, ეგრეთ წოდებული ალპების გზის დასაწყისს წარმოადგენს, რომელიც ძველ საბეძმეთისკენ მიმავალი ერთადერთი გზა იყო. რომის გზები დაახლოებით 2 მეტრის სიგანისა იყო. ისინი დღესაც გამოიყენება. ალპების გზის გასწვრივ ყველგან ეკლესიები და სამარხები იყო. ამის მაგალითია ეს ცილინდრული სამარხები და ეკლესიები. ერთ-ერთი ცილინდრული სამარხი, სესილია მაკელს ეკუთვნის. სესილია იყო ერთ-ერთი წამებული ქრისტიანი, რომელიც მოგვიანებით წმინდანად შერაცხეს.

ალპების მთელს გზაზე განთავსებული ეკლესიები იდეალური ადგილია ქრისტიანული რელიგიური



მონუმენტების შესაქმნელად. აქ იყო თაყვანისცემისათვის და დასამარხად განკუთვნილი ადგილები, რომლებიც რომაელთათვის მარადიულ სიწმინდეს წარმოადგენდნენ.

დროთა განმავლობაში რომი მუდმივად იცვლებოდა. შეიქმნა უამრავი რელიგიური ნაგებობა. რომის მახლობლად დგას რომის იმპერატორის ადრიანეს მავზოლეუმი. რომის ერთ-ერთი პაპი აქ 1527 წელს იმალებოდა, როცა რომს ძარცვავდნენ, იგი დამპყრობლებს ამ ქალაქში დაემალა. წმინდა პეტრეს ტაძარი კოლიზეუმის ქვებისგან აშენდა კათოლიკური ეკლესიის მზარდი ძლიერების გამო რომის ცენტრმა მდინარე ტიბრზე გავლით ძველი რომის ფორუმიდან წმინდა პეტრეს ტაძარში გადაინაცვლა, ვატიკანში. მე-16 საუკუნეში როცა ტაძარი აშენდა კათოლიკურ ეკლესიას თავს დაესხნენ პროტესტანტი რეფორმატორები მღვდლებს სურდათ ისეთი ტაძარი აეგოთ, რომელიც რომის პირველობას ყველასათვის აშკარას გახდიდა. მათი არჩევანი ისეთ არქიტექტურულ სტილზე შეჩერდა, რომელიც ერთი მწყემსის მთელ ქრისტიანულ სამყაროზე უპირატესობას უსვამდა ხაზს. წმინდა პეტრეს ტაძარი იმ ადგილზეა, სადაც ქრისტეს მოწაფე პეტრე აწამეს და ჯვარზე გააყრეს. მისი საფლავი საკურთხეველის ქვეშ მდებარეობს, წმინდა პეტრეს ტაძარი, მსოფლიოში



უმშვენიერესი ტაძარია ეს პაპის განძეულთა შესანახი ადგილია. ტაძრის პროექტი რენესანსის გენიას, მიქელანჯელოს ეკუთვნის. მიქელანჯელოს ტალანტმა აღიარება ჰპოვა და რომის პაპი იულიუს მეორე მის მოწყალე მფარველად იქცა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ცნობილი პიეტა მიქელანჯელომ ჯერ კიდევ 25 წლის ასაკში შექმნა, რითაც მსოფლიოს ხვთაებრივი სიყვარული უჩვენა. გადმოცემით ეს სკულპტურა ეგრეთწოდებულ სტენდალის სინდრომის წარმომშობ სიმბოლოდ იქცა. სტენდალი იტალიაში ავად გახდა და სკულპტურის მშვენიერებით განიკურნა.

წმინდა პეტრეს ტაძრის უკან ვატიკანის სასახლეები და ბალებია. ვატიკანი მსოფლიოში ყველზე პატარა და დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 1920 წლიდან კედლებით გარშემორტყმულ 403-ს-თავისი 200 მაცხოვრებლით რომის პაპი მართავს. ვატიკანის გალერეები სავსეა ხელოვნების შედევრებით, რომლებიც ბოლო 500 წლის განმავლობაში მთელს მსოფლიოში შეუგროვებით. ისინი პუბლიკისთვის ხელმისაწვდომია.

გალერეები ფართოა და მათ დათვალიერებას რამდენიმე დღე სჭირდება, დამთვალიერებელთა უზარმაზარი ნაკადის კონტროლისთვის 4 მარშუტი შეიმუშავეს. მნახველს დიდხანს უწევს რიგში დგომა, მაგრამ ამ მარშუტების წყალობით დაცულია წესრიგი.

ვატიკანში მდებარეობს მე-16 საუკუნეში აშენებული მეოთხე პაპის რეზიდენცია,

რომელიც ერთდროულად პრინციც იყო და პაპიც. თავისი აყვავების პერიოდში რომი რამდენიმე ოჯახის ხელში იყო, მათ ერთმანეთში გაიყვეს უფლება-მოვალეობები. რაშიც კათოლიკური ეკლესიის მართვაც შედიოდა. რომის პაპების არქიტექტურული მემკვიდრეობა იმ პერიოდის იმპერატორების სასახლეებს ეჭიბრებოდა. მაშინ ბაროკოს სტილი იყო პოპულარული. ძეგლების და ტაძრების აშენებაზე სახლების მორთვაზე და მადრევნებზე უამრავი ფული იხარჯებოდა. დიდებული სკულპტურები იქმნებოდა. კვირის ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ დაესწროთ მესას წმინდა მარიამის წირვას. ეკლესიაში მსახურება მე-5 საუკუნიდან მოყოლებული ყოველდღიურად იმართება. ეკლესიის ინტერიერი შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და რენესანსის ეპოქაში გადაკეთდა, მაგრამ ის რომში დღემდე რჩება ერთ-ერთ უმშვენიერეს ქრისტიანულ ტაძრად. ეკლესია პაპ ლიბერტიუსის ბრძანებით აშენდა, მას შემდეგ რაც მას სიზმარში წმინდა მარიამი გამოეცხადა. მარიამმა პაპს 358 წელს ამცნო, რომ იქ სადაც მეორე დღეს 6 აგვისტოს თოვლი წამოვიდოდა ეკლესია აეგო. შუა აგვისტოში ამ ადგილზე თოვლი წამოვიდა და მომავალი ეკლესიის კონტურებიც მოხაზა. ეკლესიის ქერი მორთულია იმ ოქროთი, რომელიც ესპანეთის მეფემ ამერიკიდან მიიღო და იტალიას აჩუქა. რამდენიმე კვარტალში მდებარეობს რომის მთავარი ტაძარი. წმინდა ჯოვანის ეკლესია. წარწერა გვამცნობს, რომ ეს ქალაქის და მთელი მსოფლიოს ყველა ეკლესიის დედაა. აქ მდებარეობს არქიეპისკოპოსის კათედრა, ტახტი, რის მიხედვითაც წარმოიშვა სახელწოდება კათედრალური ტაძარი. ეს ტაძარი 1000 წლის მანძილზე პაპების რეზიდენციას წარმოადგენდა. ამ ტაძარში 776 წელს თვით იმპერატორი კარლოს დიდი მოინათლა.



50 წლის შემდეგ, როცა პაპის ძალუფლება შემცირდა ტაძარი გაღარიბდა. წმინდა ჯოვანის ტაძრის ძალუფლება პაპის ძალუფლებასთან ერთად დასუსტდა. 1300 წელს რეკონსტრუქცია ჩატარდა, რამაც ტაძარი განაახლა. მე-18 საუკუნეში მოხდა ტაძრის რესტავრაცია და ტაძარმა ძველი მშვენიერება დაიბრუნა. დღეს პაპი 15 საუკუნის სასახლეში ცხოვრობს, რომელიც პაპების საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენს. თანამედროვე რომის პირველი მოედანი შვიდი ბორცვიდან ერთ-ერთზე



მდებარეობს და მისი პროექტი მიქელანჯელოს ეკუთვნის. მას გარს ერტყა სამი სასახლე და უზარმაზარი კიბე. რომის ბორცვები თანამედროვე ენის განუყოფელ ნაწილებად იქცა. ბორცვზე პალატირიდან, სადაც რომის იმპერატორები ცხოვრობდნენ წარმოდგა სახელწოდება „პალაცო“-სასახლე. ბორცვ პაპალინიდან სიტყვა „კაპიტალი“-დედაქალაქი, ხოლო მონეტო, სადაც ძველი რომაელები ფულს ამზადებდნენ მოგვცა სიტყვა მონეტა. ერთგვარი ქანდაკებების გამეორებითი ხშირი გამოყენება იწვევს გარეგნულ შეუსაბამობას. ისეთს, როგორც ესენია. რომის მშენებელთა თაობები იყენებდნენ ყველაფერს, რაც მათ გარშემო იყო. შექმნილი კონსტრუქციები, გარკვეულ შარმს სძენს ნაგებობებს. ერთსა და იმავე ადგილებში ხდებოდა, როგორც ყოველდღიური, ასევე საშინელი მოვლენები. რომის კან პო

დე ფიოლე-ყვავილების ველი ყვავილების ბაზარს წარმოადგენს. აქ ყოველ დილით გარდა კვირა დღისა ხილი და ბოსტნეული იყიდება. მოედნის გასწვრივ განლაგებულია დიდებული შენობები. აღფრთოვანებას იწვევს რომის მადრევნები, ქალაქის წყალმომარაგების სისტემის უნიკალურობის გამო მადრევნები ყველგან არის. ომის დროს წყალსადინარები განადგურდა, მაგრამ მშვიდობიან პერიოდში კვლავ აღადგინეს. მადრევნების მშვენიერების ხაზგასასმელად ახალი სკულპტურები და ძეგლები იქმნებოდა. ტრევიის შდრევანი კინოგადაღებებისთვის საყვარელი ადგილია. ის წყალს რომის უძველესი წრალსადენიდან ღებულობს. ის ქალაქის ყველაზე ლამაზ ადგილზე მდებარეობს. ტრადიციით თუ რომში დაბრუნება გინდა მარცხენა მხარს ზემოთ წყალში მონეტა უნდა გადააგდოთ. ერთი შეხედვით კარგი ტრადიციაა, თუმცა ერთხელ ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. ფული ვერ გაიყვეს. ესპანური კიბის დიზაინი, რომელსაც ასე ესპანეთის საელჩოს გამო ეწოდა ბაროკოს სტილში იყო ნაგები. ეს იდეა ერთმა მდიდარმა ფრანგმა დააფინანსა. მეოთვრამეტე საუკუნეში აქ იტალიის ულამაზესი ქალები და მამაკაცები იკრიბებოდნენ, რომელთა ოცნებაც მსახიობობა ან მოდელიობა იყო. დღეს აქ ერთმანეთს ხვდებიან მოგზაურები, სტუდენტები და უბრალოდ ლამაზი ადამიანები.



ტრადიციული სავაჭრო ქუჩა ვია კანდოტი ესპანეთის კიბიდან იწყება. უამრავ დასასვენებელ ადგილს შორის ყურადღებას იქცევს კაფე გრეკო, რომელიც 1760 წელს გაიხსნა. აქ მოდიოდნენ გოეთე, ვაგნერი, სტენდალი, მოპენჰაუზერი, ბაირონი და კიტსი. რომში არის მუშათა რაიონიც. ე.წ. „დაუნ თაუნი“, ძველად აქ მხოლოდ ხელოსნები და მეთევზეები ცხოვრობდნენ. დღეს აქ ქუჩები სავსეა ხალხით. ძირითადად ისინი მუშები არიან. სიმდიდრე ყოველთვის ყველაფერს ცვლის. მწერალმა ფიტჯერალდმა აღნიშნა, რომ სიმდიდრე სხვადასხვა გვარი არსებობს. რომში მდიდრები ერთმანეთს საუკეთესო სასახლეების აშენებასა და ხელოვნების იშვიათი ნიმუშების კოლექციონერობაში ეჯიბრებოდნენ. დღეს მრავალი ასეთი სასახლე ღიაა მნახველთათვის. რომში სიმდიდრის შეძენა სხვადასხვა გზით შეიძლებოდა. მაგალითად აუგუსტინო ჰიგიმ რომის პაპთან კონტრაქტი დადო, რომ ნანგრევებიდან სამშენებლო მასალებით მოამარაგებდა. მაშინ ამ გზით ბევრმა დიდი ფული იშოვა, თუმცა იგი მაინც ვერ გახდა დიდი ჰერცოგი. რომი ყოველთვის იცვლებოდა. მე-20 საუკუნეში მუსოლინიმ განაცხადა, რომ რომის ძველი დიდების აღდგენა სურდა. მარმარილოს მონუმენტები აღიმართა. ეს მანამ გრძელდებოდა სანამ მუსოლინი იტალიელმა პარტიზანებმა სიკვდილით არ დასაჯეს. დღეს რომი ძველებურად იცვლება და ვითარდება, მაგიური ისტორია გრძელდება. თუ გსურთ ქემმარიტად შეიგრძნოთ დასავლური ცივილიზაციის იტორია, კულტურა და სული, მაშინ რომს უნდა ეწვიოთ.

იტალია

სამხრეთ ევროპის დეცენტრალიზებული-უნიტარული სახელმწიფო. დედაქალაქი რომი. საბერძნეთთან ერთად იტალია დასავლური კულტურის სამშობლოს წარმოადგენს. ამავდროულად აქ თავმოყრილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ყველაზე მეტი ძეგლი. იტალია ასევე ცნობილია უგემრიელესი სამზარეულოთი, მაღალი მოდის ინდუსტრიით, ძვირფასი სპორტული ავტომობილებითა და მოტოციკლებით, მრავალფეროვანი რეგიონული კულტურით, ულამაზესი სანაპიროებითა და ალპური ტბებით. ტყუილად არ უწოდებენ მას "Bel Paese" (ლამაზი ქვეყანა).



იტალია ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 2009 წლის მონაცემებით 60,5 მილიონს შეადგენს. რელიგია – კათოლიციზმი. ქალის ჩექმის ფორმით ადვილად

ამოსაცნობი ქვეყანა ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილს, აპენინსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულების მცირე ნაწილს იკავებს. ქვეყანას ჩრდილოეთით ესაზღვრება: საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია და სლოვენია. ვატიკანი და სან-მარინო იტალიის გარემოცვაში მდებარე ორი პატარა, სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოა. არცერთი მათგანი არ შედის ევროკავშირის შემადგენლობაში და, მიუხედავად ამისა, ორივე სახელმწიფო წარმოადგენს შენგენის ზონის ნაწილს და გაწევრიანებულია ევროპის სავალუტო კავშირში. განსხვავება ამ ორ სახელმწიფოსა და იტალიის ტერიტორიას შორის თითქმის უმნიშვნელოა, ვალუტაც და ოფიციალური ენაც საერთო აქვთ და ამიტომაც შეუმჩნეველი საზღვარი მათ შორის. ოფიციალურ ენა აქ, რა თქმა უნდა, იტალიურია, მაგრამ რეგიონების მიხედვით მკაფიოდ განსხვავებულ დიალექტს მეხვდებით.

საერთო ჯამში იტალია მთიან რეგიონად ითვლება თავისი ალპებითა და აპენინებით. ორი დიდი კუნძული, რომელიც ქვეყნის შემადგენლობაში შედის არის სიცილია (დასავლეთ სანაპიროსთან) და სარდინია (სამხრეთ იტალიის წვერზე მდებარეობს). რეგიონები ქვეყანა იყოფა 20 რეგიონად, რეგიონები – პროვინციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, პროვინციები კი მუნიციპალიტეტებად.

ჩრდილო-დასავლეთ იტალია: აქ თავმოყრილია: პორტოფინო და Cinque Terre (იტ. ხუთი მინა). ალპები, მსოფლიო დონის ქალაქები, როგორიცაა ინდუსტრიის დედაქალაქი – ტურინი, გენუას უმსხვილესი პორტი, ქვეყნის მთავარი ბიზნეს ცენტრი – მილანი. ასევე კომოსა და მაჯოროს ტბების ულამაზესი

ადგილები და რენესანსული საგანძური ქალაქ მატოვაში. ჩრდილოეთ იტალია: გადაჭიმულია ვენეციის არხიდან ისტორიულ ქალაქ ბოლონიამდე. აქ მდებარეობს Dolomites მთიანი რეგიონი და Cortina d'Ampezzo სამთო-სათხილამურო კურორტები, ასევე ქალქები პარმა და ვერონა. ცენტრალური იტალია: აქ ცოცხლობს ისტორია და ხელოვნება. ფლორენცია აყვავების აკვანია და ტოსკანას მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. აქ თავმოყრილი ქალაქებში წარმოდგენილია ქვეყნის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა. სამხრეთ იტალია: ხმაურიანი ნეაპოლი, პომპეის ნანგრევები, ამალფის და კუნზულ კაპრის ულამაზესი სანაპირო, განსაცვიფრებელი კალაბრიას უკაცრიელი პლაჟები რეგიონს წარმოუდგენლად მიმზიდველს ხდის. სიცილია: მიმზიდველი კუნძული ცნობილი ზღვის პეიზაჟებით, არქეოლოგიითა და უგემრიელესი სამზარეულოთი. სარდინია: დიდი კუნძული იტალიის სანაპიროდან 250 კმ-ის დაშორებით. შესანიშნავი ზღვა და პლაჟები მთავარი ადგილია მაღალბიუტეტიანი ტურისტებისთვის.





ქალაქები
რა თქმა უნდა, იტალიაში ასობით ქალაქია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანებს წარმოადგენთ:
რომი – ქვეყნისა და ძველი რომის იმპერიის უძველესი დედაქალაქი;
ფლორენცია – რენესანსის ქალაქი. მისმა არქიტექტურამ და კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო კულტურის განვითარებაზე;
გენუა – შუასაუკუნოვანი საზღვაო რესპუბლიკა. ტურიზმსა და ვაჭრობასთან ერთად ქალაქის პორტმა ხელოვნებისა და არქიტექტურის განვითარებასაც შეუწყო ხელი;
ბოლონია – მსოფლიოს უდიდესი საუნივერსიტეტო ქალაქი სავსე ისტორიით, კულტურით, ტექნოლოგიითა და გემრიელი სამზარეულოთი;
ტურინი – ინდუსტრიის ცნობილი ცენტრი, იტალიის ყოფილი დედაქალაქი და ფიატისა და მთლიანად საავტომობილო ინდუსტრიის სამშობლო. ქალაქი ასევე ცნობილია ბაროკოს სტილის შენობებითა და “Mole Antonelliana”-თი (ყოფილი სინაგოგა დამახასიათებელი არქიტექტურით);
მილანი – მსოფლიო მოდის ქალაქი, ასევე ვაჭრობისა და ბიზნესის სფეროში იტალიის მნიშვნელოვანი ცენტრი;
ნეაპოლი – დასავლური სამყაროს უძველესი ქალაქი, იუნესკოს მნიშვნელოვანი ცენტრი და პიცის დაბადების ადგილი;
პიზა – შუასაუკუნოვანი საზღვაო ქალაქი და დახრილი კოშკის

სამშობლო;

ვენეცია – იტალიის ულამაზესი ქალაქი, ცნობილი თავისი ისტორიით, ხელოვნებითა და, რა თქმა უნდა, მსოფლიოში განთქმული არხებით.

სხვა მიმართულებები:

ტალიის ალპები – ერთ-ერთი გამორჩეული და ლამაზი მთის სისტემა ევროპაში. მათ შორისაა მონტ ბლანი (იტ. “თეთრი მთა” იტალიისა და საფრანგეთის საზღვარზე) და Monte Rosa; ამაღლის სანაპირო – არაჩვეულებრივი კლდოვანი სანაპირო;
კაპრი – განთქმული კუნძული ნეაპოლის ყურეში. კუნძულს ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან მოყოლებული საკურორტო დანიშნულება აქვს;
Cinque Terre – ხუთი პატარა, ულამაზესი ხედების მქონე ქალაქი გადაშლილი ფრიალო ვენახების გასწვრივ ლიგურიის სანაპიროზე;
Como-ს ტბა – მისი სილამაზე რომის იმპერიის ხანიდანაა აღიარებული (მისი სიღრმე 400 მ-ია);
Garda-ს ტბა – ლამაზი ტბა ჩრდილოეთ იტალიაში, გარშემორტყმული პატარ-პატარა სოფლებით;
მატერა – უძველესი ქალაქი-პროვინცია იტალიის სამხრეთით, ეს არის კლდოვანი დასახლება, რომელიც მსოფლიო ფასეულობასა და იუნესკოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას წარმოადგენს (მდებარეობს სამხრეთ იტალიაში);
პომპეი და ჰერკულანუმი ორი მეზობელი რომაული ქალაქია, დაფარული ვულკანური ამოფრქვევით. გათხრების შედეგად აქ შესანიშნავი არქეოლოგიური მასალა იქნა აღმოჩენილი.
უსაფრთხოება

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასთან შედარებით კრიმინალის დონე აქ დაბალია. თუ ელემენტარულ უსაფრთხოების ზომებს დაიცავთ, აქ არანაირი საფრთხე არ გემუქრებათ.



ყურადღებით იყავით ბაზარსა და ხალხმრავალ ადგილებში... აქ ბევრი ჯიბის ქურდი დადის, რომლებიც ძირითადად დაწყვილებულად მუშაობენ.

კვება

უგემრიელესი და მრავალფეროვანია იტალიური სამზარეულო. აქ ყველა რეგიონს დამახასიათებელი კერძი აქვს. ჩრდილოეთ იტალიის სამზარეულო კარტოფილითა და ბრინჯით მდიდარი საკვებით ხასიათდება, ცენტრალური – ხორციითა და მკაპრონით, ხოლო სამხრეთის მხარე ცნობილია პიცით, ასევე მკაპრონისა და ზღვის პროდუქტებით.



იტალიელები

იტალიელები - ხალხი, იტალიის ძირითადი მოსახლენი. ანთროპოლოგიურად მიეკუთვნება ევროპეიდული რასისინდო-მედიტერანეულ შტოს. წარმოშობა თავდაპირველად, იტალია იტალიკების ტომებით იყო დასახლებული, ლატინები, ოსკები, უმბრები, პიცენები, და სხ. მათგან ყველაზე უდიდესი ტომი ლატინები იყვნენ, რომლებიც რომის გარშემო ოლქში სახლობდნენ, ლაციუმი. ძველ დროს იტალიკები უდიდესი რომის იმპერიის ფუძემდებლები იყვნენ. გარდა ამისა, იტალიის ცენტრი ეტრუსკებით იყო დასახლებული, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს იტალიის კულტურაზე, და შემდგომში, ალბათ, რომაელების მიერ იყვნენ ასიმილირებულნი.

- სახელები: თვითწოდება - Italiani;
- საერთო რაოდენობა: დაახ. 130 მლნ
- სუბეთნიკური ჯგუფები: ვენეციელები, ლიგურიელები, კალაბრიელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, ტოსკანელები. განკერძოებით დგანან სიცილიელები და სარდინიელები.
- ენა: იტალიური.



- მორწმუნეები: ძირითადად რომაული კათოლიკები.

იტალიური ენა
იტალიური ენა (თვითსახელრქმევა Lingua italiana, ან Italiano) – იტალიელთა და შვეიცარიის სამხრეთში იტალო-შვეიცარიელთა ენა. გარდა ამისა, იტალიურს მშობლიურად ენად აცხადებს მოსახლეობის საკმაოდ არცთუ მცირე რიცხვი დალმაციასა (- ყოფილი იუგოსლავია, დღევანდელი ხორვატიის ერთ-ერთი კუთხე.) და კუნძულ კორსიკაზე. ზოგადი
იტალიური ენა მიეკუთვნება რომანულ ენებს, რომელშიც აგრეთვე შედის ესპანური, ფრანგული, პორტუგალიური, რუმინული და ზოგი სხვა ნაკლებად გავრცელებული ენა. რომანული ენები არის ერთ-ერთი შტო ინდოგერმანული ენების ოჯახისა. რომანული ენებში იტალიური განეკუთვნება იტალორომანულ ენების ჯგუფს. რომანული ენების ჯგუფი თავის დასამაბს იღებს ხალხური ლათინურიდან, ანუ იმ ენიდან, რომელზედაც ლაპარაკობდნენ რომის იმპერიაში შემავალი ხალხები. ენად ჩამოყალიბების გზა იტალიური ენის ფორმირების პროცესი დაახლოებით XVIII საუკუნის შუა ხანებში დასრულდა. ისტორიულად იტალიურის ენად ჩამოყალიბების პროცესი იმ პერიოდში მიმდინარეობდა, როცა ქვეყნის კულტურული ცხოვრების ცენტრი ცენტრალური იტალია, კერძოდ კი უპირატესად ტოსკანის მთავარი ქალაქი, - ფლორენცია გახდა. ფლორენცია არის მშობლიური კუთხე დანტე ალიგიერის, ფრანჩესკო პეტრარკასა და ჯოვანი ბოკაჩოსი. სწორედ ამ მწერლების შემოქმედებამ იტალიაში გადამწყვეტი როლი იტალიის საერთო ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში, ანუ იტალიური სალიტერატურო

ენა ჩამოყალიბდა ტოსკანური დიალექტის, კერძოდ ფლორენციის კილო-კავის საფუძველზე. იტალიური არის პირველი ეროვნული ენა ევროპის ისტორიაში. დიალექტები თუ ენები? იტალიაში არსებობს ბევრი ადგილობრივი დიალექტი, რომლებიც ისე ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ იტალიურის, როგორც საერთოსახელმწიფოებრივი ენის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იტალიის რესპუბლიკის ერთიანი და გამართული ფუნქციონირება. ადგილობრივ დიალექტებზე საუბრობენ გლეხები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ნაკლებად მობილურნი არიან. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ დიალექტების გავლენა იგრძნობა განათლებული იტალიელების მეტყველებაში, უმთავრესად კი წარმოთქმაში. რიგი დიალექტებისა, როგორებიცაა რომის, ვენეციის, ნეაპოლის დიალექტები უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდნენ ლიტერატურულ დიალექტებად, ან ენებად. მათზე წერენ რომანებს, ლექსებს, გამოდის პერიოდიკა. ასე მაგალითად XVIII საუკუნის იტალიელი მწერლის, დრამატურგისა და ლიბრეტისტის კარლო გოლდონის (Carlo Goldoni) პიესები დაწერილია ვენეციის დიალექტზე, ხოლო ნეაპოლიტანურ დიალექტზე წერს თანამედროვეობის ერთ-ერთი საინტერესო დრამატურგი, რეჟისორი, იტალიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე ედუარდო დი ფილიპო (Eduardo De Filippo). იტალიური ენის გარდა ლიტერატურა გამოდის მის ცალკეულ დიალექტებზეც, რაც არანაირად არ უშლის ხელს იტალიურ ენას იტალიის საერთო სახელმწიფოებრივ ენად ფუნქციონირებაში.

იტალიის ღირსშესანიშნაობები

იტალიას ბევრი ლამაზი ადგილი აქვს ტურისტების მისაზიდად, პიზას ტაძარი და კოშკი, პომპეის არქეოლოგიური ტერიტორია, ნეაპოლის ცენტრი და ყურე, სამეფო სასახლე კაპრეტაში, სტროცის სასახლე (XV ს.); სან-ამბროჯიოს ეკლესია (XII ს.) კარაკალას აბანოები (III ს.), ტრიუმფალური თალი, წმინდა პავლეს ტაძარი (IV ს.), კაპიტოლიუმის მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი, გალერეა ბორგეზე და სხვა. საბერძნეთის დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძული. ფორმით იგი ძალიან წააგავს ჩექმას. მის სამხრეთით კუნძული სიცილიაა. ისინი თითქოს ბუნებრივად ყოფენ ორ ნაწილად ხმელთაშუა ზღვას. სიცილიის გარდა, აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთიდან ორი დიდი კუნძული აკრავს—სარდინია და კორსიკა. ჩრდილოეთიდან ნახევარკუნძულს ალპების მთები ესაზღვრება. იგი მას ზამთრობით ჩრდილოეთის ცივი ქარებისგან იფარავს, ამიტომ ზამთარი აქ რბილია. თოვლი მხოლოდ მაღალ მთებსა და ქვეყნის ჩრდილოეთშია ჩვეულებრივი მოვლენა. სამხრეთში იგი ძალზე იშვიათია. ნახევარკუნძულს მთელ სიგრძეზე საშუალო სიმაღლის აპენინის მთები კვეთს. იგი ერთმანეთისგან გამოყოფს



ნახევარკუნძულის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპირო დაბლობებს. ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით სანაპირო ზოლის შუა და სამხრეთ ნაწილი ძირითადად კლდოვანია და სანაოსნოდ გამოუსადეგარი. სხვა მხარეების ნაპირები კი მყუდრო ყურეებითა და უბეებით არის დაღარული. მათ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სადგომად და თავშესაფრად ადგილობრივი თუ მოსული ზღვაოსნები. აპენინის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთიდან ადრეატიკის, სამხრეთიდან იონიის, დასავლეთიდან კი ტირენის ზღვები აკრავს. ყველა მათგანი ხმელთაშუა ზღვის ნაწილს წარმოადგენს. ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მდებარე დიდ და მეტად ნაყოფიერ დაბლობზე იტალიის ყველაზე დიდი მდინარე პო მიედინება. იდი ადრეატიკის ზღვას ჩაერთვის. ძველად ეს დაბლობი ქაობიანი იყო და ხალხიც ნაკლებად სახლობდა. ძვ.წ მე-5 საუკუნის ბოლოს აქ შემოიჭრნენ და დამკვიდრდნენგალები. ამიტომ მოგვიანებით პოს ველს რომაელებმა გალია ანუ გალების ქვეყანა უწოდეს. საბერძნეთისგან განსხვავებით, აპენინის ნახევარკუნძულის კლიმატი ნოტიოა. აქ იშვიათად იცის გაბმული გვალვები და ხშირად წვიმს. ამიტომ ეს მხარე, უძველესი დროიდან, მდიდარი და თვალწარმტაცი ბუნებით ხიბლავდა მნახველს. პირველი ბერძნები გაკვირვებულნი დარჩენილან აქაური ტყე-მდელოების სილამაზითა და პირუტყვის სიმრავლით. ერთ-ერთი ვერსიით, ამიტომ უწოდებდნენ ამ ქვეყანას "იტალიას" ანუ "ხბორების ქვეყანა". სხვა გადმოცემის მიხედვით, ამ ქვეყნის სახელი, აქ მცხოვრები იტალიკების ტომებისგან მომდინარეობდა. ასეა თუ ისე, ეს სახელწოდება ჯერ კიდევ ბერძენთა დიდი კოლონიზაციის დროს გაჩნდა და დღესაც ჰქვია ამ ქვეყანას. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში იტალიაში მრავალი სხვადასხვა წარმომავლობისა



და ტომის ხალხი ცხოვრობდა. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო მათი ძირითადი საქმიანობა. ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ და გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს ტერიტორიებისათვის. პირველი, ვინც სახელმწიფო ჩამოაყალიბა აქ, იყვნენ ეტრუსკები.

აპენინის მთები

აპენინის მთები — მთის მასივი აპენინის ნახევარკუნძულზე, გადაჭიმულია ნახევარკუნძულის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, 1 200 კმ-ზე და ასევე მოიცავს მის პარალელურად მდებარე შედარებით პატარა მთაგრეხილებს. ჩრდილოეთით, ქალაქ ალტარესთან ის უერთდება ლიგურიის ალპებს. სამხრეთ-დასავლეთით კი მთავრდება ნახევარკუნძულის წვერზე მდებარე სანაპირო ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიასთან. 2000 წელს, იტალიის გარემოს სამინისტრომ, აპენინების პარკის ევროპული პროექტის რეკომენდაციის საფუძველზე აპენინების სისტემის ახლებური განსაზღვრება დაამკვიდრა და ის გააგრძელა ჩრდილოეთ სიცილიის მთებამდე, რის შედეგადაც მასივის სიგრძე 1 500 კმ-მდე გაიზარდა. სისტემა იღებს რკალის ფორმას, რომელიც შემოიწურება ლიგურიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან ტირენიის ზღვის



აღმოსავლეთი სანაპირომდე. სახელი აპენინები მომდინარეობს კელტური სიტყვა "Penn"-ისგან, რაც „მთას, მწვერვალს“ ნიშნავს. სახელწოდება A-penn-in-ასსავარაუდოდ ძვ. წ. IV საუკუნეში ან უფრო ადრე, ჩრდილოეთ იტალიაში კელტების მბრძანებლობისას დამკვიდრდა. თავდაპირველად ის მხოლოდ მთების ჩრდილოეთ ნაწილს აღნიშნავდა. ამ მთებისგან ეწოდა სახელი აპენინის ნახევარკუნძულს, რომელიც იტალიის ძირითად ნაწილს აყალიბებს. მთები თითქმის მთლიანად მწვანეა, მიუხედავად ამისა, უმაღლესი მწვერვალი კორნო-გრანდე ნაწილობრივ დაფარულია მყინვარკალდერონეთი, რომელიც ევროპის ყველაზე სამხრეთით მდებარე და აპენინების ერთადერთი მყინვარია. მან 1794 წლიდან უკან დახევა დაიწყო. მთების სამხრეთი ნაწილი ნახევარდ-მშრალია (სემი-არიდული). აღმოსავლეთი მწვერვალები ციცაბოდ ეშვება ადრიატიკის ზღვაზე, მაშინ როდესაც დასავლეთი მწვერვალები ავითარებს მთისწინეთს, სადაც განლაგებულია ნახევარკუნძულოვანი იტალიის ქალაქთა უმრავლესობა. აპენინები სამ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთი (იტალ. Appennino settentrionale), ცენტრალური (იტალ. Appennino centrale) და სამხრეთი (იტალ. Appennino meridionale). მთებში მიიკლავება მრავალი საფეხმავლო გზა. მათ შორის აღსანიშნავია ევროპის საფეხმავლო ბილიკი E1, რომელიც ჩრდილოეთ ევროპაში იწყება და კვეთს ჩრდილოეთ და ცენტრალურ აპენინებსაც.

წმინდა ადგილები



რომი კათოლიკური სამყაროს ცენტრია, ვატიკანი კი მისი გული. მართლმადიდებლური ეკლესია რომში სუსტადაა წარმოდგენილი. აქ მრავალია ისეთი ადგილები, სადაც ქრისტიანული წმინდა რელიქვიები ინახება და შესაბამისად, წმინდა ადგილებია მართლმადიდებელთათვისაც.

1. წმ. პეტრეს ტაძარი ტაძრის ქვედა სართულის, ტომბოს ცენტრალური კრიპტა წმ. პეტრეს სამარხია. სამარხის ზონა მინა-კედლითაა დახშული და ტომბოს მხრიდან მხოლოდ ხატს ვხედავთ. უფრო ახლოს მისასვლელად ვიზიტორთა ჯგუფში წინასწარი ჩანერაა საჭირო. ჯგუფი გიდის თანხლებით ჯერ ტაძრის კიდე უფრო ქვედა დონეზე არსებულ სამარხებს მოივლის და ბოლოს წმ. პეტრეს სამარხს, ე.წ. ზონა "P"-ს მიუახლოვდება. შესაძლებელია თვალი შევაკლოთ წითელ კედელს, რომელიც სამარხის კედლის გასამაგრებლად აგებულია, და ბოლოს დავინახავთ ნიშაში, გამჭვირვალე პლასტიკურ ყუთში მოთავსებულ წმინდა მოციქულის წმინდა ნაწილებს...

2. ბაზილიკა სანტა მარია მაჯორე ტაძარი V საუკუნეშია აგებული. საკურთხევლის ქვეშ მოთავსებულია ურნა ქრისტეს ბაგას ნატეხებით. ხის ფიცრები (4 მათგანი 70 სმ სიგრძისა და 1 კი 80 სმ) ლითონის ზოლებითაა გადაკრული და ერთ

ზოლზე თითქმის გადაშლილი ბერძნული წარწერაა წმინდანთა სახელებით. თანამედროვე გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ჭადრის ხის ფიცრები 2000 წლის წინანდელია. რელიქვია 642 წელს პაპი თეოდორესათვის არის ჩამოტანილი რომში ბეთლემიდან, იერუსალიმის პატრიარქ სოფრონიასაგან ძღვნად და მუსლიმთა მიერ განადგურებისაგან გადასარჩენად.

3. ეკლესია სანტა პრასედე ეკლესია სანტა მარია მაჯორეს წინამდებარე მოედანთანაა, მცირე შესახვევ ქუჩაზე. შესასვლელიდან მარცხნივ, მოთავსებულია მარმარილოს სვეტი, ჩამოტანილი იერუსალიმიდან დედოფალ ელენეს მიერ IV საუკუნეში. ამ სვეტზე ყოფილა მიჭაჭვული მაცხოვარი მისი გამოლტვის დროს. ამავე სვეტის კიდეზე რამდენიმე ნატეხი სანტა კროჩე ინ იერუსალიმეს ეკლესიაში ინახება.

4. ეკლესია სან პიეტრო ინ ვინკოლი საკურთხევლის ქვეშ წარმოდგენილია ჯაჭვი, რომლითაც შეუბოჭავთ პეტრე მოციქული მეფე ჰეროდე აგრიპას ბრძანებით, დაახლოებით 42 წელს. ანგელოზთა დახმარებით წმინდა მოციქული განთავისუფლდა ჯაჭვისაგან და საკანიც დასტოვა. ეს ჯაჭვი V საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქთან, იუვენალიუსთან ინახებოდა, 439 წელს გადაეცა საბერძნეთის იმპერატორის, ფეოდოსი უმცროსის მეუღლეს, დედოფალ ევდოკიას. მან ჯაჭვის ნაწილი კონსტანტინოპოლში დატოვა, ნაწილი კი თავის ქალიშვილს, ასევე ევდოკიას (იმპერატორ ვალენტინიან III-ის მეუღლეს) გამოუგზავნა რომში. 29 (16) იანვარი ამ ჯაჭვის ხსენების დღეა. იერუსალიმის ჯაჭვთან ერთად ურნაში მოციქულის მამერტინოს დილეგში ტყვეობის დროინდელი ბორკილების ნაწყვეტიცაა მოთავსებული.

5. ბაზილიკა სან ჯოვანი ინ

6. ეკლესია სან ლორენცო ინ პალატიო ად სანტა სანკტორიუმ წმინდა კიბეები (სანტა სკალა) პილატეს სასახლიდან, რომელზეც ასულა ქრისტე პილატესთან სასამართლოზე – რომში ჩამოტანილია დედოფალ ელენეს მიერ IV საუკუნეში. კიბის საფეხურები ფიჭვებითაა დასხული, ხოლო ადგილებზე, სადაც მაცხოვრის სისხლია დაწვეთებული, გამჭვირვალე მინაა დაფარებული. წმინდა კიბეზე მომლოცველთა ასვლა ხდება მუხლზე ჩოქვით, ყოველ საფეხურზე შესაბამისი ლოცვის წაკითხვით.

7. წმინდა კაპელა წმინდა კიბის თავზეა წმინდა კაპელა (სანტა სანკტორიუმ). ცხაურიანი ფანჯრებიდან შეგვიძლია დავინახოთ VI საუკუნის დროინდელი ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი და კიდობანი წმინდანთა ნაწილებით, ეს რელიქვიები სასწაულებრივად გადაურჩა დიდ ხანძარს.

8. სან კლემენტეს ბაზილიკა აქ ინახება წმ. კლემენტე I-ის წმინდა ნაწილები, რომლებიც იტალიაში ყირიმიდან ჩაუტანიათ სლავ განმანათლებლებს კირილეს და მეთოდეს. წმ. კლემენტე პეტრე მოციქულის შემდგომ ქრისტიანული ეკლესიის მესამე პაპია, მოწამეობრივად მოკვდინებული იქნა აზოვის ზღვაში და IX საუკუნემდე ხერსონში იყო დაკრძალული.

ამავე ეკლესიაში დაკრძალულია სლავი განმანათლებელი წმ. კირილე (სახელი კირილე მან მიიღო გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა ბერად აღიკვეცა. მანამდე კი კონსტანტინედ იწოდებოდა). სარკოფაგი ეკლესიის ქვედა, IV საუკუნის დროინდელი ეკლესიის დონეზეა. განმანათლებლები წმ. კირილე და მეთოდე სლავური ანბანის, გლაგოლიცას (ანბანი-კირილიცას საფუძვლის) შემქმნელნი არიან.

9. თორმეტი წმ. მოციქულის ეკლესია ეკლესია რომის ვენეციის



მოედანთან ახლოსაა. საკურთხეველის ქვეშ, სარკოფაგში ინახება წმინდა მოციქულების, ფილიპესა და იაკობის წმინდა ნაწილები.

10. წმ. პავლეს ტაძარი გალაუნის გარეთ დადგენილია, რომ საკურთხეველის ქვეშ მოთავსებულ მარმარილოს სარკოფაგში განისვენებს წმ. პავლე. იქვე წარმოდგენილია ჯაჭვის ნაწილი, რომლითაც შეუბოჭავთ მეპყრობილი პავლე სიკვდილის წინ.

11. ეკლესია სან პიეტრო ინ მონტორიო იანიკულზე ეკლესია აგებულია ტიბროსის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ბორცვზე, წმ. პეტრეს ჯვარცმის ადგილას. მის ეზოში ბრამანტეს პროექტით აგებული მრგვალი ტაძარია – სამლოცველო „ტემპიეტო იანიკულზე“.

12. წმ. ბართლომეს ეკლესია კუნძულ ტიბერინაზე მდებარე ეკლესია 997 წელსაა აგებული. საკურთხეველში პორფირისაგან დამზადებული სარკოფაგია – აქ ინახება წმ. ბართლომე მოციქულის წმინდა ნაწილები, რომელთაც რომამდე რთული და ფათერაკებით აღსავსე გზა გამოუვლიათ. სარკოფაგის ზემოთ მოციქულის ბიზანტიური წარმოშობის ხატია.

13. აპია ანტიკას გზის კატაკომბები რომის იმპერიაში ადრეულ ქრისტიანთა დევნის გამო ქრისტიანული სასაფლაოების ცალკე ორგანიზება გამორიცხული იყო. გარდაცვლილები საერთო წარმართულ სასაფლაოებზე იკრძალებოდნენ, მოგვიანებით კი მიწისქვეშა კატაკომბებში

სრულდებოდა ეს ცერემონია. იქვე, მიწისქვეშა დარბაზებში ტარდებოდა ქრისტიანული სხვა მსახურობებიც, ასე რომ რომის ძველი კატაკომბები დიდი ქრისტიანული ტრადიციების ადგილია. შესაძლებელია მოვინახულოთ 150-400 წლების ადრეულ ქრისტიანთა მიწისქვეშა სამარხები, სალოცავი დარბაზები.

14. ეკლესია სან სებასტიანე აპიას გზაზე ეკლესიის ქვეშ, კატაკომბებში წმ. სებასტიანეს საფლავია. ამავე კატაკომბებში, ამ ადგილას ყოფილა დასვენებული წმინდა მოციქულების, პეტრესა და პავლეს ნაწამები სხეულები, სანამ ისინი სასაფლაოებზე გადაასვენეს.

15. ეკლესია „ქვო ვადის“ აპია ანტიკას გზაზე, გალავნიდან არც თუ ისე შორს პატარა ეკლესიაა, რომელიც აგებულია იმ ადგილას, სადაც ქრისტე გამოეცხადა რომიდან გაქცეულ პეტრე მოციქულს. ეკლესიის იატაკში არის ფილა, რომელზეც, გადმოცემის თანახმად, მაცხოვრის ტერფები ალბეჭდილი.

16. ეკლესია სან სილვესტრე ინ კაპიტე აგებულია VIII საუკუნეში. აქ ინახება წმ. იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი. წმინდანის თავის ადგილსამყოფელის შესახებ სხვა ვერსიებიც არსებობს – დამასკოში, ანტიოქიაში, სომხეთში... ქრისტიანული სამყარო ძირითადად რომის ვერსიას აღიარებს. წმინდა რელიქვია შესასვლელიდან



მარცხნივ მდებარე კაპელაშია. წარმოდგენილი, რკინის ცხაურს მიღმა, კედლის ნიშაში ჩადგმულ სპეციალურ საცავში.

17. ეკლესია სანტა კროჩე ინ იერუსალიმე იმპერატორ კონსტანტინეს დედამ, წმ. ელენემ IV საუკუნეში იერუსალიმში იმოგზაურა, მრავალი რელიქვია მოიძია და ჩამოიტანა რომში, რათა რომაელ ქრისტიანებს ჰქონოდათ საშუალება აქვე ეცათ პატივი სიწმინდეებისათვის. ეკლესიის ერთ-ერთი რესტავრაციის დროს (1492 წ.) კედლის აგურის უკან აღმოჩენილი იქნა ხის დაფის ნატეხი წარწერით „TI-TULUS CRUCIS“, და ებრაულ, ლათინურ და ბერძნულ ენებზე შესრულებული წარწერით „ნაზარეველი“. დადგინდა, რომ ეს იყო ქრისტეს ჯვარცმისას წმინდა ჯვარზე მიკრული დაფა (ბიბლიაში მოიხსენიება სრული წარწერა – „იესო ნაზარეველი, ებრაელთა მეფე“). ამის შემდგომ ეკლესიისადმი ყურადღება განახლდა, მოგვიანებით, 1930 წელს, წმ. ელენეს სამლოცველოდან რელიქვიები სპეციალურ ოთახში იქნა გადმოტანილი. კედლის ნიშაში მოთავსებულ საცავში ჩამდგნიმე რელიქვარიუმია განთავსებული და ჩვენ შეიძლება ვიხილოთ: ზედა რიგში მარცხნივ – წმ. თომას საჩვენებელი თითის ძვალი, შუაში – ბეთლემის ბაგის, ქრისტეს გაჯახვის სვეტისა და მაცხოვრის საფლავის ნატეხები. მარჯვნივ – ქრისტეს ეკლიანი გვირგვინის ორი ეკალი. შუა დონეზე – ჯვრის ფორმის საცავ რელიქვარიუმში მოთავსებულია ქეშმარიტი ჯვრის სამი ფრაგმენტი. ქვედა თაროზე მარცხნივ – ჯვარცმის სამსქვალის, მარჯვნივ კი დაფა წარწერით „ნაზარეველი“.

18. მამერტინოს სატუსალო ვიტორიანოს სასახლის უკანაა ეკლესია სან ჯუზეპე დეი ფალენამი. იგი აგებულია ძვ.წ. VII საუკუნის დროინდელ სატუსალო სარდაფზე და ლეგენდის თანახმად, ამ სატუსალოში ყოფილან

დამწყვდეული წმინდა მოციქულები, პეტრე და პავლე. თავიდანვე სატუსალო აგებული იქნა ხელისუფლებასთან მებრძოლი მემამბოხეების სამაგალითოდ დასასჯელად, ქალაქის ცენტრში. იოლად დავრწმუნდებით, თუ რა გაუსაძლისი პირობები უნდა ჰქონოდათ იქ ჩავარდნილ ტუსალებს. ძველი დროის ისტორიკოსები საპატიმროს ტულიუსის ციხედ მოიხსენიებენ და იქაურ საშინელ გარემოს დიდი ემოციებით აღწერენ. საპატიმრომ IV საუკუნემდე იარსება.

რომის ცნობილი კიბეები იტალიის მთაგორიანმა რელიეფმა დასახლებული ადგილების არქიტექტურაში თავისებური კორექცია შეიტანა – ჩვეული ქუჩები აქ ბევრგან ე.წ. კიბე-ქუჩებითაა ჩანაცვლებული. ამ დროს აღმართის დატერასება ხდებოდა კიბის მაგვარად, რითაც ძველი დროის ტრანსპორტს – ცხენებსა თუ ეტლებს გადაადგილების საშუალება ეძლეოდათ. „კორდონატა“ ამ ტიპის ქუჩების ზოგადი სახელია. ამგვარმა ტრადიციებმა, ასევე მრავალსართულიანი სასახლეების მშენებლობებმა კიბე-სადარბაზოების არქიტექტურის განვითარებას მოიტანა და ძვირფასი სასახლეების შიდა თუ გარე კიბეები ასევე არანაკლები ხელოვნების ნიმუშებია, დაპროექტებული ცნობილ ხელოვანთა მიერ.



1. „ვიტორიანოს“ კიბე ვენეციის მოედანზე, უცნობი ჯარისკაცის საფლავისკენ – შეიძლება ითქვას, რომ ეს რომის საპარადო კიბეა. აქ არის ერთიანი იტალიის პირველი მეფის, ვიტორიო ემანუილე II-ის ძეგლი, კვარცხლბეკის ქვეშ უცნობი ჯარისკაცის საფლავია მუდმივი ცეცხლითა და საპატიო ყარაულით. სასახლე 1911 წელს გაიხსნა. პროექტის ავტორია ჯუზეპე საკონი.

2. სანტა მარია არაკოელის 122 საფეხურიანი კიბე – ვენეციის მოედნიდან ეკლესიამდე. თავად ბაზილიკას დიდი ისტორია აქვს, კიბის შენება კი 1348 წელს დაიწყო შავი ჭირის ეპიდემიის გადავლასთან დაკავშირებით. ამ დროს რომი დიდი პოლიტიკური აქტიურობის ფაზაში იყო. რომის რესპუბლიკა, რომელიც სახალხო ტრიბუნმა კოლა დი რიენცომ დააარსა, ხელიდან ხელში გადადიოდა. კიბის გახსნა სწორედ ამ პოლიტიკოს-ავანტურისტის მიერ მომხდარა და მისი ძეგლიც კიბის გვერდითაა იმ ადგილას, სადაც იგი მოკლეს აჯანყებულმა რომაელებმა 1354 წელს.

3. მიქელანჯელოს კორდონატას ვენეციის მოედნიდან პიაცა კამპიდოლიოზე ავყავართ. პროექტი დიდმა ხელოვანმა შეასრულა კაპიტოლიუმის ბორცვის გაფორმების სრული პროექტის ფარგლებში. ქუჩა იმპერატორ კარლ V-ის რომში შემოსვლასთან დაკავშირებით საზეიმოდ გაიხსნა 1536 წელს. კიბის დასაწყისში სიმეტრიულად არის განთავსებული ორი ეგვიპტური ლომი, რომლებიც კაპიტოლიუმის ბორცვს შაპი

პიუს IV მედიჩიმ გადასცა 1562 წელს. მანამდე ლომები სანტო სტეფანოს ეკლესიის შესასვლელს ამშვენებდნენ, თავიდანვე კი ბაზალტის ფიგურები იმპერატორ დომიციანეს დროს დაუმზადებიათ და ისიდას ტაძრის გაფორმების ელემენტებს წარმოადგენდნენ.



3. მიქელანჯელოს კორდონატას ვენეციის მოედნიდან პიაცა კამპიდოლიოზე აყვავართ. პროექტი დიდმა ხელოვანმა შეასრულა კაპიტოლიუმის ბორცვის გაფორმების სრული პროექტის ფარგლებში. ქუჩა იმპერატორ კარლ V-ის რომში შემოსვლასთან დაკავშირებით საზეიმოდ გაიხსნა 1536 წელს. კიბის დასაწყისში სიმეტრიულად არის განთავსებული ორი ეგვიპტური ლომი, რომლებიც კაპიტოლიუმის ბორცვს პაპი პიუს IV მედიჩიმ გადასცა 1562 წელს. მანამდე ლომები სანტო სტეფანოს ეკლესიის შესასვლელს ამშვენებდნენ, თავიდანვე კი ბაზალტის ფიგურები იმპერატორ დომიციანეს დროს დაუმზადებიათ და ისიდას ტაძრის გაფორმების ელემენტებს წარმოადგენდნენ.

4. ესპანური კიბეები - ეს მსოფლიოს ულამაზესი და ყველაზე მეტად ცნობილი კიბეებია. იგი აგებულია 1723-1726 წლებში, ფრანჩესკო დი სანკტისის პროექტით,

გრანფების ინოჩენცო XIII და ბენედიქტ XIII ორსინის შეკვეთით. კიბის აგებაზე 20 წლის წინაც გამოყოფილა საჭირო ფული, იდეა კი იყო ქვემოთ მდებარე ესპანეთის მოედნისა და ზემოთ, საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ეკლესიის სიმბოლური შეერთება. საქმე კარდინალ მაზარინის ჩარევამ გააფუჭა – მისი სურვილი იყო კიბის ზემოთ საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XIV-ის ძეგლის აღმართვა. ამან განარისხა რომის პაპი და კიბის აშენების გეგმა ლუდოვიკოს გარდაცვალებამდე დავიწყებას მიეცა. საბოლოოდ, კიბის გაფორმება პოლიტკორექტულად გადანყდა – ბურბონთა დინასტიისა და რომის პაპთა ჰერალდიკური სიმბოლოები შეთანხმებულადაა განაწილებული.



გრეგორიო XIII-ს სასახლეშია. კიბე სასახლის პირველი სართულის ფრთების შესაერთებლად გაკეთდა 1583-84 წლებში. სასახლის საპარადო კიბე სხვაა, დაპროექტებული ფლამინიო პონციოს მიერ. ეს კიბე კი იმდენად ორიგინალური და ლამაზი გამოდგა, რომ მისი ასლები გადაიღეს ფრანჩესკო ბორომინიმ ბარბერინის სასახლეში (1630 წ.) და ალესანდრო სპეკიომ ვია კორსოზე, პალაცო დე კაროლისის მშენებლობისას (1725 წ.). ელიფსური კვეთა, წყვილად განლაგებული სვეტები და ხვეული ფორმა კიბეების არქიტექტურაში ახალი და

ულამაზესი მიგნება აღმოჩნდა. კიბის ნახვა სასახლის დათვალიერების დროს არის შესაძლებელი. ექსკურსიები მხოლოდ კვირაობით, დღის პირველ ნახევარშია ნებადართული.

6. ბერნინისა და ბორომინის კიბეები ბარბერინის სასახლეში. პაპად არჩეულმა მათეო ბარბერინიმ (ჯერბან VIII) სასახლის მშენებლობა 70 წლის კარლო მადერნოს მიანდო, მაგრამ არქიტექტორი სამუშაოების დაწყებიდან ერთ თვეში გარდაიცვალა და საქმის გაძღოლა პაპის ფავორიტს – ჯანლორენცო ბერნინის დაევალა. მის თანაშემწედ კი ინიშნება ფრანჩესკო ბორომინი. ეს მათი თანამშრომლობის იშვიათი პერიოდია. ცნობილია, რომ მათ შორის დაძაბული ურთიერთობა ხელოვანთა კონკურენციის ზღვარს დიდად გაცდენილი იყო. ბერნინი ამ დროს ცნობილი იყო როგორც მოქანდაკე,



მაგრამ არქიტექტურაში დიდი გამოცდილება არ ჰქონია, ამიტომაც მას მადერნოს მიერ შემუშავებულ პროექტებში დიდი ცვლილებები არ შეუტანია. მიუხედავად ამისა, სასახლის სხვა მრავალ ღირშესანიშნაობებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ ორი დიდი შედევი – ბერნინის კვადრატული კიბე და ბორომინის კიბე-ლოკოკინა. ბერნინის კიბე ფასადის მარცხენა მხარესაა, საიდანაც მუზეუმის დარბაზებისკენ ავდივართ. ბორომინის ხვეული



კიბე, რომელიც კვირინალის სასახლის მასკარინოს კიბეების ასლია, ფასადის მარჯვენა სადარბაზოშია.

7. ანტონინუსისა და ფაუსტინას ტაძრის კიბეები – ტაძარი იმპერატორ ანტონინუსის გარდაცვლილი მეუღლის, ფაუსტინას სადიდებლად იქნა აგებული 141 წელს, ხოლო 161 წელს, როცა იმპერატორიც გარდაიცვალა, პორტალზე ფაუსტინას სახელს ანტონინუსის სახელიც მიეწერა და ტაძარი ორივეს სახელზე მოიხსენიებოდა. დროთა განმავლობაში შენობა სერიოზულად დაზიანდა, მაგრამ მისმა წმ. ლორენცოს სახელზე ქრისტიანულ ეკლესიად კურთხევამ იგი გარკვეულწილად გადაარჩინა განადგურებას. კიბის მარმარილო დაკარგულია. რესტავრაციებით აგურით წყობილი საფეხურებია აღდგენილი. კიბის თავზე კორინთოული 8 სვეტიანი პორტალი რომის ფორუმების ერთ-ერთი სიმბოლოა.

8. სკალა რეჯია - სამეფო კიბე ვატიკანში. მარჯვენა კოლონადიდან საპარადო ასასვლელია პაპების დარბაზებისკენ. ტაძარში, წმ. პეტრეს კათედრაზე მუშაობის დროს პაპი ალექსანდრე VII-მ ბერნინის ამ კიბის საფუძვლიანი შეცვლა-შეკეთება დაავალა. ძველი ვერსია დონატო ბრამანტეს დაპროექტებული და ანტონიო სანგალო-უმცროსის მიერ იყო აგებული. პაპს არ მოსწონდა ჩაბნელებული დერეფანი და მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად უფრო

ორიგინალური და საზეიმო ელფერის კიბე სურდა. ბერნინიმ წარმატებით გაართვა თავი ამ საქმეს, თუმცა უამრავი პრობლემის გადაჭრა მოუხდა, რამაც ხელოვანის იდეა ერთგვარად კიდევ განავრცო. მაგალითად, ძველი კიბე არაერთგვაროვანი იყო უფრო განიერი ქვემო ნაწილით, ასევე გასასვლელების გაკეთება იყო საჭირო, აუცილებელი იყო სიქსტის კაპელის მხარის გამაგრება. იდეის ორიგინალურობა კი იმაშია, რომ კიბის ყოველი ელემენტი (საფეხური, სვეტი, თალები) ქვემოდან ზემო მიმართულებით, წინამდებარესთან შედარებით თანდათან მცირდება, დიდ მანძილზე პერსპექტივის შემცირების ანალოგიურად. ამგვარად, ზემო ნაწილი გვერდებზე უფრო შორს, ვიდრე ეს სინამდვილეშია (ასეთი დერეფანი ბორომინისაც აქვს შექმნილი სპადას სასახლის ეზოში). კიბე თალურად იქნა გადახურული და დღის სინათლით უზრუნველსაყოფად 7 სანათური სარკმელი ჩაიდგა სახურავში. სამწუხაროდ, კოლონადიდან კიბის მხოლოდ მცირე ნაწილი მოჩანს, დანარჩენი კი შვეიცარიული გვარდიელებით დასული კარიბჭის მიღმაა...

„ვიტორიანო“ - უზარმაზარი თეთრი შენობის ფასადის ცენტრში ერთიანი იტალიის პირველი მეფის, ვიტორიო ემანუელ II-ის ქანდაკებაა. მოედნის მხრიდან შეიძლება ასვლა მონუმენტის ქვეშ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, რომელსაც საპატიო ყარაული იცავს. ამ ადგილს „მამულის საკურთხეველს“ უწოდებენ. ღია ტერასიდან მოჩანს ვატიკანიც და ცენტრალური პროსპექტები კორსო, კავური, მდინარე ტიბროსი, ტრაიანეს ფორუმი და ბაზარი, სხვა საიმპერიო ფორუმები... შესაძლებელია შენობის სამუზეუმო ნაწილში შესვლა. ვნახავთ იტალიის გამოჩენილ შვილთა ბიუსტებს,

საბრძოლო ტანსაცმელს, იარაღებს. შენობაში კიდევ ერთი მუზეუმი, სადაც დროებითი ექსპოზიციები იმართება. დამატებითი ლიფტით სასახლის ზედა სახურავის ტერასაზეც შეიძლება გასვლა. თეთრი სასახლის შენობა 1885 წელს დაიწყო. საჭირო გახდა მშენებლობის ადგილის საცხოვრებელი სახლებისაგან განმეხდა იმისდა მიუხედავად, რომ ეს სახლები შუა საუკუნეების რელიქვიებს წარმოადგენდა. 1911 წელს ახალი შენობა ნაწილობრივ გაიხსნა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის გამო სასახლეს საზეიმო ელფერი ველარ მიეცა. 1927 წელს, მუსოლინის მმართველობის პერიოდში, სასახლე მეორედ გაიხსნა უცნობი ჯარისკაცის საფლავის დამატების საბაბით. ვენეციის სასახლე XV საუკუნის შუა წლებში აშენდა პაპი პავლე II-ის ხელშეწყობით – იგი თავად ვენეციელი იყო წარმოშობით. გახსნის დღიდან სასახლემ მრავალი ფუნქცია და პატრონი გამოიცვალა – იყო პონტიფიკატა საზაფხულო რეზიდენცია, ვენეციის საკონსულოც და ავსტრიის კუთვნილებაც. დურეს კი ძალიან მოსწონდა მისი ფასადიდან მგზნებარე მოწოდებების გაჟღერება – მოედანზე გამომავალ აივანს დღესაც მუსოლინის აივანს ეძახიან. სასახლის ფორმატშია მოქცეული წმინდა მარკოზის ეკლესია, რომელიც IV საუკუნეშია აშენებული. მისი ფასადი ამავე სახელწოდების პატარა მოედანზე გამოდის.



ვენეციის სასახლეში ახლა მუზეუმი – გამოფენილია XIII-XVIII საუკუნეების მარმარილოს ქანდაკებები, ბრინჯაოსა და ხის ნაკეთობები, გობელენები, ფერწერული ტილოები და მინიატურები. შესასვლელი პლებიშიტოს ქუჩის მხარის სადარბაზოდანაა. ამ მუზეუმის სადარბაზოს პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს სამთავრობო დაცვის თანამშრომელთა დიდი თავმოყრაა. აქ არის პალაცო გრაციოლი – თუ ტაქსით მოგიწევთ აქ ჩავლა, მძღოლი აუცილებლად მრავალმნიშვნელოვანი ლიმიტით მიგანიშნებთ, რომ აქ იყო პრემიერ სილვიო ბერლუსკონის რეზიდენცია, ყველასათვის ცნობილი



ისტორიებით... ვენეციის მოედანზე შემოდის რომის ულამაზესი პროსპექტი კორსო. მოედნისა და პროსპექტის კუთხეში ბონაპარტის სასახლეა – აქ ცხოვრობდა ნაპოლეონის ოჯახი, მათი მმართველობის პერიოდში. სასახლის ფასადზე საკმაოდ უცნაური, ძველი დარაბებით შებურული აივნანია. ამბობენ, რომ ნაპოლეონის დედას, ლეტიციას უყვარდა ღია აივნიდან მოედნის თვალიერება. უცხო თვალისაგან მოსარიდებლად შვილები იძულებული გახდნენ აივნის გადახურვა ებრძანებინათ.

აპოლოდორ დამასკელის მიერ I-II საუკუნეებში აგებულ ტრაიანეს ფორუმის ტერიტორიაზე აღმართულია იმპერატორ ტრაიანეს 42 მეტრიანი სვეტი (113 წ.).

ესპანეთში დაბადებული იმპერატორის უდიდესი დამსახურება დაკიის დაპყრობაა. დომიციანეს მიერ დაკების მხედართმთავარ დეცებალუსთან დადებული ზავის პირობას ტრაიანე ვერ შეეგუა. პირველი საბრძოლო შეტაკება 101 წელს დუნაის პირას მოხდა. 105 წელს მომდევნო ომის შემდეგ დაკიელთა არმია საბოლოოდ განადგურდა. მოპოვებული უზარმაზარი სიმდიდრე გახდა ფორუმის აგების საფუძველი. სვეტის გარე ზედაპირი 200 მეტრიანი რელიეფური ლენტითაა დაფარული, რომელზეც საბრძოლო სცენების გარდა გამოსახულია რომაელთა და დაკიელთა იარაღები, ხელოვნება, წეს-ჩვეულებები. იმპერატორი 90-ჯერ არის გამოსახული ამ ლენტზე, სულ კი აქ 2500-მდე ფიგურაა. სვეტის ძირთან თავად ტრაიანესა და მისი მეუღლის ფერფლიანი ურნებია. XVI საუკუნეში სვეტის თავზე შემომდგარი იმპერატორის ძეგლი პეტრე მოციქულის ძეგლით შეუცვლიათ. სვეტის ახლოს ფორუმის ტერიტორიაზე აღმართული სვეტები ულპიუსის ბაზილიკის ნაშთია. ისიც დაკიელებთან მოპოვებული სიმდიდრის ხარჯზეა აგებული. სახელი იმპერატორის მიხედვით დაერქვა (მარკუს ულპიუს ტრაიანე). შენობას საკულტო-რელიგიური ფუნქცია არ ჰქონია – იგი სავაჭრო და სასამართლო საქმეებისთვის გამოიყენებოდა. ტრაიანეს მუზეუმის შესასვლელთან სვეტის ახლოს მდებარე კიბეებით შეიძლება გავიდეთ. მუზეუმი ტრაიანეს ბაზრის ტერიტორიას მოიცავს. აქვეა მაღალი კოშკი, რომელიც იმითაა საინტერესო, რომ ვერტიკალიდან ოდნავ გადახრილია.



აქვე, ვია ნაციონალეზე კოლონას სასახლეა – მუზეუმი ფერწერული ტილოების უმდიდრეს კოლექციის ნახვას გვთავაზობს. კოლონას სასახლის ერთი კუთხე ცვილის ფიგურების მუზეუმს უჭირავს, ისტორიული პიროვნებების ფიგურების გვერდით მხიარული ფოტოები შეგვიძლია გადავიღოთ. სასახლის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს კი ანტიკური რომის ნანგრევებზე აგებული პალაცო ვალენტინის მუზეუმი ლებულობს დამთვალიერებლებს. კაპიტოლიუმის ბორცვზე ბაზილიკა სანტა მარია ინ არაკოელის სანახავად 122 საფეხურიანი მაღალი კიბით მოგვინევს ასვლა. ბაზილიკა 1348 წელს გაიხსნა შავი ქირის გადავლასთან დაკავშირებით (ეს ეპიდემია ჯ.ბოკაჩოს „დეკამერონში“ აღწერილი). ინტერიერში აღსანიშნავია იმპერატორ კონსტანტინეს დედის, წმ. ელენეს სარკოფაგი. საინტერესოა საკურთხეველიდან მარცხნივ მდებარე კაპელაში მოთავსებული ბავშვის ფიგურა. გადმოცემის მიხედვით, იგი გეფსიმანიის ბაღის ზეთისხილის ხის მერქნისაგანაა დამზადებული. ბერს ვერ აურჩევია, რა ფერად შეეღება ფიგურა, მაგრამ ღამით ანგელოზებს დაუმთავრებიათ ეს სამუშაო. ბავშვის ფიგურა შემდგომ რომში მოხვდა – ჩაძირული გემიდან გადმოვარდნილი,

აპენინის ნახევარკუნძულზე გამოირიყა. ამის შემდეგ ფიგურას მრავალი სასწაული მოუხდენია. ძირითადად მას ავადმყოფების განსაკურნებლად დააბრძანებდნენ. ერთ ქალს მისი მიტაცება განუზრახავს – დაუმზადებია ზუსტი ასლი და მასთან მიტანილი ფიგურა მალულად ასლით შეუცვლია. მაგრამ, როგორც ამბობენ, „ოქროს ბავშვი“ ღამით თავისით მობრუნებულია ტაძარში! ბაზილიკის კაპელები ასევე საინტერესო ფრესკებითაა მოხატული (ავტორები პინტურიკო, გოცოლი...). ინტერიერში მრავალი დიდგვაროვნის სამარხია, რომელთა გაფორმებაზე არნოლფო დი კამბიოს, დონატელოსა და მიქელანჯელოსაც უმუშავიათ.



და ბოლოს, ქართველთათვის საინტერესო ადგილი. ტრაიანეს ბაზარის უკან, მუზეუმის შესასვლელიდან ოდნავ ზემოთ (ვია სალიტა დელ გრილი 17) ძველებურ სახლზე, ფანჯრების თავზე მემორიალური დაფაა იტალიური და ქართული წარწერებით, რომელნიც გვამცნობენ, რომ ამ შენობაში მოთავსებულ სტამბაში 1629 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი – ქართული-იტალიური ლექსიკონი. დაფაზე მითითებული ნიკიფორე ირბახი კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მიერ ევროპაში წარგზავნილი ელჩი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილია.

რომის ულამაზესი შადრევნები

რომის წყალმომარაგება ყოველთვის იყო ქალაქის მმართველთა საზრუნავი. სასმელი წყალი სხვადასხვა რაიონებიდან აქვედუკებით მოეწოდებოდა მჭიდროდ დასახლებულ ცენტრს. გამანაწილებელი აუზების მოწყობის ტრადიციამ კი, შემკვეთთა და არქიტექტორთა ძალისხმევით, ხელოვნების ულამაზესი ქმნილებები დაგვიტოვა.


1. შადრევანი ტრევი

რომის სიმბოლოა, რომის ტურისტული არტერიების კვანძი. ეს რომის ყველაზე დიდი შადრევანი თითქმის მთელ მოედანს იკავებს. ღამაში ტრადიციით, მონეტის აუზში გადაგდება აქ კიდევ მოსვლის საწინდარი. ყოველდღიურად მუნიციპალიტეტს ათასამდე ევრო შესდის ბიუჯეტში აქედან, რაც შემდგომ მიზნობრივად ქველმოქმედებაზე იხარჯება. 1991 წლის რესტავრაციის შემდეგ ხელისუფლებამ რატომღაც მონეტების ჩაგდების აკრძალვა სცადა და რა თქმა უნდა, კარგად დათვლის მერე ამ იდეაზე უარი ითქვა. პირველი აუზი ამ ადგილას პაპი ნიკოლო V-ის ბრძანებით ააგო არქიტექტორმა ალბერტიმ. კლემენტ XII-ის დავალებით, ახალი შადრევნის მშენებლობა იტალიელი არქიტექტორის, ნიკოლო სალვის პროექტით 1732 წელს დაიწყო და თითქმის 30 წელი გაგრძელდა. შადრევნისკენ წყალი ძვ.წ. I საუკუნეში აგებული აკვა-ვერჯინეს აკვედუკიდან მოედინება. არქიტექტორის ჩანაფიქრით, მითოლოგიური ღმერთი ოკეანე (ნეპტუნი) წყლის სამყაროს მართავს ნიჟარის ფორმის ეტლზე შემდგარი, რომელსაც ზღვის ცხენები და ტრიტონები მოაქროლებენ,



თითქოს პირდაპირ პოლის სასახლის მაღალი თაღის ნიშიდან. ძირითად ნიშას კორინთოს ორდენის სვეტები, ბალუსტრადა და ქანდაკებები ამშვენებს, მომცრო, მარცხენა ნიშაში „სიუხვის“ ქანდაკებაა, მის ზემოთ კი ბარელიეფზე მხედართმთავარი აგრიპაა, აკვედუკის პროექტის გაცნობის მომენტში. მარჯვნივ „ჯანმრთელობის“ ქანდაკებაა, მის ზემოთ ბრელიეფი შადრევნის ლეგენდის მომენტს ასახავს – ქალიშვილი, რომელიც წყლისკენ გზას აჩვენებს დამაშვრალ მეომრებს.

2. პიაცა ნავონა



არა მარტო რომის, არამედ მსოფლიოს ულამაზესი მოედანი და ისტორიული ადგილია. I საუკუნეში, დომიციანეს დროს აქ იყო სტადიონი, სადაც იმართებოდა შეჯიბრებები რბოლებში, დისკოს ტყორცნაში, სირბილში. V-XIV საუკუნეებში აქ უკვე ნანგრევებია, 1477 წელს კი ამ ადგილას გადმოაქვთ ბაზარი კაპიტოლიუმის ბორცვიდან (შემდგომ, 1869 წელს ეს ბაზარი გადავიდა კამპო დი ფიორიზე). XVI საუკუნიდან ამ რაიონის დასახლება იწყება მდიდარი

რომაელების მიერ, განახლდა შეჯიბრებების ტრადიცია, დაიწყო შადრევნების მშენებლობა. ვიტორიო ემანუელ II-ის ქუჩის მხრიდან პირველი – მავრის შადრევანია.

დელფინთან მებრძოლი მავრის ფიგურა ბერნინის ესკიზებით მისმა მოწაფეებმა დადგეს, დანარჩენი ფიგურები უფრო გვიანდელია. მოედნის ცენტრში ბერნინის შექმნილი შადრევანია, 4 მდინარის (განგი, ნილოსი, დუნაი და ლა-პლატა) ალუგორიებით და ეგვიპტური სტილის ობელისკით. მესამეა ნეპტუნის შადრევანი, სადაც რვაფეხასთან მებრძოლი ნეპტუნის ცენტრალური ფიგურა ასევე XVI საუკუნეშია დადგმული, დანარჩენი მცირე ქანდაკებები კი XIX საუკუნეში დაუმატებიათ. ბორომინისა და ბერნინის მეტოქეობა უდევს საფუძვლად ლეგენდას – თითქოს ბერნინის შადრევნის ნილოსის ფიგურა სახედაფარული იმიტომ არის, რომ არ შეხედოს ბორომინის მიერ აგებული ეკლესიის ფასადს. სინამდვილეში, ბერნინის შადრევანი ერთი წლით ადრეა აგებული, სახის დაფარვა კი ალუგორიულად იმას გამოხატავს, რომ ნილოსის სათავე იმ დროისათვის არ ყოფილა გეოგრაფიულად აღმოჩენილი.



ლაციოს რეგიონი

ლაციო) — რეგიონი ცენტრალური იტალიის დასავლეთ ნაწილში. იგი წარმოადგენს ძველილათინების განსახლების არეალს ძვ.წ. X ს-დან. რომაელები ცხოვრობდნენ ძვ.წ. IV ს-დან. დაახლოებით 5,7 მლნ მცხოვრებითა და 170 მლრდ მშპ-ით, ლაციო ქვეყნის მესამე ყველაზე დასახლებული და მეორე ყველაზე მდიდარი რეგიონია. იგი მოიცავსრომს, იტალიის დედაქალაქსა და უმსხვილეს ქალაქს.

გეოგრაფია
ლაციოს ფართობი 17 236 კმ - ია და ესაზღვრება ქვეყნის სხვა რეგიონები: ტოსკანა, უმბრიადა მარკე — ჩრდილოეთით, აბრუცი და მოლიზე — აღმოსავლეთით, კამპანია — სამხრეთით, ხოლო დასავლეთით კი ტირენიის ზღვა. რეგიონის რელიეფი ძირითადად დაბლობი და გორაკ-ბორცვიანია, პატარა მთიანი არეალებით აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში. ლაციოს სანაპირო ზოლი ძირითადას ქვიშიანი პლაჟებისგან შედგება. სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს პონციანის კუნძულები, რომლებიც ადმინისტრაციულად ლაციოს შემადგენლობაში შედის. ჩრდილოეთით, სანაპირო ზოლს მიღმა, გადაჭიმულია მარემას სანაპირო ვაკე, რომელიც კომუნა ჩივიტავეკიასთან ტოლფის მტებით (616 მ) წყდება. რეგიონის ცენტრალური ნაწილი უჭირავს რომის კამპანას (იტალ. campagna romana) — 2 100 კმ ფართობის ვრცელ ალუვიურ ვაკეს, რომელიც გარს ერტყმის დედაქალაქ რომს. სამხრეთის რაიონები ხასაითდება აგრო-პონტინოს ვაკეებით, რომლებიც ერთ დროს ქაობიანი და მაღარიის გავრცელების არეალი იყო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წყალს გამოსტაცეს. ადმინისტრაციული დაყოფა ლაციოს პროვინციები:

ლაციოს რეგიონი ადმინისტრაციულად 5 პროვინციად იყოფა: ფროზინონე, ლატინა, რიეტი, რომი, ვიტერბო.



რომი

რომი — იტალიისა და ლაციოს რეგიონის დედაქალაქი; განლაგებულია ტიბრისა და ანიენისმდინარეების გარშემო, ხმელთაშუა ზღვასთან, 41° 54 N, 12° 29 E კოორდინატებზე. ქალაქი ვატიკანი, სუვერენული ანკლავი რომში, რომაული კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის საბრძანებელს წარმოადგენს. რომი იტალიის უდიდესი ქალაქია და ამავე სახელწოდების „კომუნა“ აგლომერაცია ერთ-ერთი უმსხვილესია ევროპაში 120 კმ ფართობით (ადვილად დაიტევდა დანარჩენ ცხრა უმსხვილეს იტალიურ ქალაქს: მილანს, ნეაპოლს, ტურინს, პალერმოს, გენუას, ბოლონიას, ფლორენციის, ბარისა და კატალინას, და ასევე ოთხ უმსხვილეს ევროპულ ქალაქს, როგორიცაა პარიზი, ბერლინი, სტოკჰოლმი და ბრიუსელი). ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 2.546.807 (2004), აგლომერაციისა—დაახ. 4 მილიონი. რომის ახლანდელი მერია ჯოვანი ალემანო (2008).

რომის ეშპ შეადგენს 75 მილიარდ ევროს (ახალ ზელანდიაზე მეტი და იმდენივე რაც სინგაპურის - თუმცა სამივეს დაახლოებით თანაბარი მოსახლეობა ჰყავს). 2001 წელს რომის მუნიციპალიტეტმა გამოიმუშავა იტალიის მთლიანი ეშპ-ს 6.5%, რაც ყველაზე მაღალია იტალიის ქალაქთა შორის.

ქალაქის ისტორია ქალაქის ისტორია ჩვ. წ-მდე დაახლოებით VIII საუკუნიდან იწყება. რომის ისტორიის განმავლობაში ის იყო ძველ რომის (რომის სამეფო, რომის რესპუბლიკა, რომის იმპერია), მოგვიანებით კი პაპის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების, იტალიის სამეფოს და იტალიის რესპუბლიკის ცენტრი ან დედაქალაქი.

ლეგენდის თანახმად, ქალაქი რომი ტყუპებმა რომულუსმა და რემუსმა დააარსეს ძვ. წ. აღ-ით 753 წლის 21 აპრილს მდინარე ტიბრის ნაპირზე, კვირინალის, ვიმნალის, ესკვილინის, ცელიუმის, პალატინის, ავენტინისა და კაპიტოლიუმის ბორცვებზე. არქეოლოგიური მასალებიც



სწორედ იმას მოწმობენ, რომ რომი როგორც ქალაქდასახლება ქრისტეშობამდე 8-ე საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ქალაქი რომის სამეფოს დედაქალაქი გახდა, (რომელსაც ტრადიციისამებრ შვიდი მეფე მართავდა), შემდგომ რომის რესპუბლიკის (ძვ.წ.აღ-ით 510-დან იმართებოდა

სენატის მიერ), საბოლოოდ კი ქრ.წმ-მდე 27 წლიდან რომს იმპერატორი ჩაუდგა სათავეში. ეს წარმატება დამოკიდებული იყო სამხედრო დაპყრობებზე, ეკონომიკურ წინსვლასა და მეზობელი ცივილიზაციების, განსაკუთრებით კი ეტრუსკული და ბერძნული ცივილიზაციების, შერჩევით ასიმილირებაზე. დაარსებიდან ძვ. წ. აღ-ით 386 წლამდე რომი აუღებელი იყო, სანამ კელტები არ შევიდნენ ქალაქში, რომლებიც ამავე წლის დამლევს თავად რომაელების მიერ იქნენ დაპყრობილნი. ლივიუსი წიგნი 5. კელტებმა რომაელებს ქალაქის დასაბრუნებლად ათასი გირვანქა ოქროს გადახდა შესთავაზეს, რაზეც რომმა უარი შეუთვალა და საპასუხო შეტევით უპასუა.

XV საუკუნის რომაული მინიატურა, სადაც 410 წლის რომის რბევაა გამოსახული რომის ძალაუფლება ევროპის დიდ ნაწილსა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე გავრცელდა, მოსახლეობა კი მილიონს აღწევდა. მთელი ათასი წლის განმავლობაში რომი დასავლური სამყაროს უდიდეს, უმდიდრეს და პოლიტიკურად ყველაზე გავლენიან ქალაქად მიიჩნეოდა; რომს სიდიადე არც იმპერიის დაცემა-დაქუცმაცების შემდეგ დაუკარგავს, როდესაც დედაქალაქის სტატუსი ჯერ მილანს, შემდეგ კი რავენას გადაეცა, რომ აღარაფერი ვთქვათ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქკონსტანტინოპოლზე. იმპერიის დაცემა და შუა საუკუნეები რომის ეპისკოპოსის კონსტანტინე I-ის მმართველობისას, პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების მწვერვალს მიაღწია და კათოლიკური რელიგიის მსოფლიო ცენტრად ჩამოყალიბდა. ჩვ.წ.აღ-ით 410 წელს რომის დარბევის შემდეგ დასავლეთ რომმა დასუსტება დაიწყო, ხოლო 476 წელს რომი აღმოსავლეთით ბიზანტიონად წოდებულმა ქალაქმა



(შემდგომში კონსტანტინოპოლმა) და გერმანულმა დამპყრობლებმა გაიყვეს. ქალაქის მოსახლეობა თანდათან შემცირდა და ადრეული შუასაუკუნეებისას 20 ათას მოსახლეს ძლივს აჭარბებდა; მრავალი წლის მანძილზე რომში დაცარიელებული და დანგრეული უბნებით ქარბობდა. რომს ბიზანტიონის პარალელურად ნომინალური ძალაუფლება 751 წლამდე ჰქონდა, ანუ მანამ, სანამ ლომბარდებმა ეგზარქატი რავენაში არ გადაიტანეს. 756 წელს პეპინ მოკლემ (დაბალმა) პაპს რომსა და მის შემოგარენზე დროებითი ძალაუფლება დაუკანონა, რითიც ხელი შეუწყო რომის პაპის საბრძანებლოს შემდგომ დამკვიდრებას. რომი პაპის სამფლობელოს დედაქალაქდ რჩებოდა 1870 წლამდე, ანუ ვიდრე იტალიის დედაქალაქი გახდებოდა. შუა საუკუნეებში რომი მომლოცველთა უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა. გარდა რამდენიმე მოკლე პერიოდისა, შუა საუკუნეებში რომი წმინდა ქალაქისა და პაპის პრინციპატის სტატუსს ინარჩუნებდა, მაშინაც კი, როდესაც პაპი ავინიონმა (1309-1376წ) დროებით გადააყენა. 1527 წლის დარბევის შემდეგ, როდესაც რომმა პოლიტიკური ძალაუფლება დაკარგა, პაპის პატრონაჟით ქალაქი რენესანსისადა ბაროკოს პერიოდების კულტურისა და ხელოვნების ცენტრად გარდაიქმნა. 17-19 საუკუნეები მეჩვიდმეტე საუკუნისთვის მოსახლეობა გაიზარდა და

100 000-ს მიაღწია, თუმცა, შიდა კონტრ-რეფორმაციული პროცესების გამო, რომი მომდევნო ასწლეულებშიც ჩამორჩებოდა ევროპის დედაქალაქებს განვითარებით. მეცხრამეტე საუკუნეში რომი იტალიის გაერთიანების პლაცდარმად გადაიქცა. 1871 წელს, როდესაც საფრანგეთის ბატონობა საბოლოოდ დაემხო, რომი სამეფოს ჯარებმა დაიკავეს და ერთიანი იტალიის დედაქალაქად გამოაცხადეს. მეოცე საუკუნე

მარკუს ავრელიუსის ძეგლი პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რომი ბენიტო მუსოლინის ფაშისტური



რეჟიმის დამყარების მოწმე გახდა. 1922 წელს მუსოლინიმ ქალაქში მარშით გაიარა, სადაც ახალი იმპერიის დამყარებისა და ფაშისტურ გერმანიასთან გაერთიანების შესახებ გააკეთა განცხადება. ეს პერიოდი მოსახლეობის სწრაფი ზრდით გამოირჩეოდა, როდესაც 212 000-იანმა მოსახლეობამ 1 000 000-ს გადააჭარბა, თუმცა, მომდევნო ზრდას ხელი მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა დაბომბვებითა და ოკუპაციით. მუსოლინის დასჯისა და ომის დასრულების შემდეგ 1946 წლის რეფერენდუმით იტალიამ მონარქიულ წყობას რესპუბლიკური არჩია. ომის დასრულების შემდეგ რომი ისევ ალორძინებას იწყებს, როგორც იტალიის ომისშემდგომი მოდერნიზაციისა და ეკონომიკური განვითარების

ფლაგმანი. 1950-1960-იან წლებში რომი მოდერნი ქალაქი ხდება, ამ წლებს *la dolce vita* (ტკბილი ცხოვრება) ეწოდება. მოსახლეობის ზრდის ტენდენცია რომს 1980-იან წლებამდე მოჰყვა, როდესაც ქალაქში 2,800 000 ადამიანი ცხოვრობდა, შემდგომ მოსახლეობამ თანდათან მახლობელ დასახლებებში იწყო გადასვლა. 80-იან წლებში რომი მეტად "გადაქედილი" ქალაქი იყო გართულებული მგზავრობითა და უსუფთაო ჰაერით, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. უკანასკნელ წლებში ქალაქის მოსახლეობა ისევ იზრდება, ოღონდ, ძირითადად, უცხო ქვეყნებიდან ჩასული ემიგრანტების ხარჯზე. არქიტექტურა, ქალაქგანლაგება ძველი რომი რომის ერთ-ერთი სიმბოლო კოლიზეუმი (70-80 ჩვ.წ. აღ), რომელიც ყველაზე თვალსაჩინო ამფითეატრი იყო რომის იმპერიაში. კოლიზეუმი გლადიატორთა შერკინების საყურებლად მისულ 60 000 ადამიანს იტევდა. ძველი რომის ცნობილი ძეგლებია რომის ფორუმი, დომუს აურეა, პანთეონი, ტრაიანეს სვეტი, ტრაიანეს ბაზარი, რამდენიმე საკატოკომბო არე, მაქსიმუსის ცირკი, კარაკალას აბანოები, ავგუსტინეს მავზოლეუმი, კონსტანტინეს თალი, ცესტიუსის პირამიდა და სხვა. შუა საუკუნეები

კამპიდოლიოს მოედანი რომის შუასაუკუნეების არქიტექტურა იტალიის ქალაქებში ყველაზე მრავლისმომცველია. პალეოქრისტიანული პედიოდით დათარიღებული Santa Maria Maggiore და San Paolo Fuori le Mura-ის ბაზილიკა, IV საუკუნისაა და მოზაიკით არის მოპირკეთებული. მოგვიანო პერიოდის თვალსაჩინო საფრესკო და მოზაიკური ნამუშევრებია წმინდა მარიათის, წმინდა ქვატრო კარონატის და წმინდა პრესედეს საყდრებში.

ახლო-ახლოს მდებარე ძველი ნაგებობები მაღალი კოშკებით გამოირჩევა, ყველაზე ფართო Torre delle Milizie და Torre dei Conti-ია, ორივე რომის ფორუმის გვერდით მდებარეობს. რენესანსი და ბაროკო

პიაცა დელ პოპოლო (სახალხო მოედანი)

სანტ ანჯელოს ხიდი დემოგრაფია იმპერატორ ავგუსტინეს დროს რომი მსოფლიოს უდიდესი ქალაქი იყო, და სავარაუდოდ, 19-ე საუკუნემდე აგებული ყველაზე დიდი ქალაქი. სტატისტიკური მონაცემებით, რომის მოსახლეობა ძირითადად, 450 000-დან 3 მლნ-მდე იყო. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, შესაძლოა, 50 000-ზე ნაკლები იყო და სტაგნაციურ მდგომარეობაშიც იმყოფებოდა რენესანსამდე. როდესაც იტალიის სამეფომ 1870 წელს რომი აიღო, ქალაქის მოსახლეობა 200 000-მდე იყო, მოკლე ხანში კი 600 000 გახდა. ფაშისტური რეჟიმისას მუსოლინი ქალაქის მოსახლეობის ზრდის ხელოვნურად შეკავებას ცდილობდა, თუმცა, 1931 წელს რომი უკვე მილიონზე მეტ მოსახლეს მოითვლიდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდება, 50-იან და 60-იან წლებში რომს ემატება ახალი გარეუბნები. დღეისათვის რომის ოფიციალური მოსახლეობა 2,8 მლნ-მდეა. ქალაქის ურბანულ ფართობზე 5,352 კმ კი 4 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს.



რომის მოსახლეობის 6,2% იმიგრანტები წარმოადგენენ. ეკონომიკა ტრანსპორტი აეროპორტები რომს სამი ძირითადი აეროპორტი ემსახურება, აქედან ორი „აეროპორტი დი რომას“ კუთვნილებაა. რომისა და სრულიად იტალიის უდიდესი აეროპორტი ლეონარდო და ვინჩის სახელობისაა, თუმცა, რომის სამხრეთ-დასავლეთით, ფიუმინოს კომუნაში მდებარეობის გამო, მას ხშირად ფიუმინოს აეროპორტსაც უწოდებენ. რომის უძველესი ჩიამპინოს აეროპორტი სამოქალაქო და სამხედრო მნიშვნელობით გამოიყენება. აეროპორტი რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩიამპინოს უბანშია აგებული. მესამე, რომიდან ჩრდილოეთით 6 კილომეტრში განლაგებული „აეროპორტო დელ ურბე“ შედარებით მცირეა და უფრო მეტად აეროდრომის ფუნქციებს ასრულებს, ვიდრე აეროპორტისა. აქ ვერტმფრენები და კერძო, მსუბუქი თვითმფრინავებია თავმოყრილი. მეოთხე, „აეროპორტო დი ჩენტოჩელეს“ საჰაერო კარიბჭე რომის აღმოსავლეთით ააშენეს, თუმცა ჯერ-ჯერობით ტერმინალებიდან ფრენები არ წარმოებს. აეროპორტი განკუთვნილია კომანდოსების მომსახურებისა და სამხედრო თვალსაზრისით. აეროპორტის დიდი ნაწილის სამოქალაქო ავიაციისთვის გამოყენების გეგმა უკვე შემუშავებულია.



რეგიონი სიცილია



სიცილია — ყველაზე დიდი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, იტალიის ავტონომიური რეგიონი რეგიონის შემადგენლობაში შედის აგრეთვე რამდენიმე მცირე კუნძული. ვულკანი ეტნა ყველაზე დიდია ევროპაში (3.323 მ). უკანასკნელად იგი 1971 წელს ამოიფრქვა. სიცილიას მდიდარი და უნიკალური კულტურა გააჩნია, განსაკუთრებით ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა, სამზარეულო, არქიტექტურა და ენა. სიცილიური ეკონომიკა დივერსიფიცირებულია. მნიშვნელოვანია აგრარული სექტორი, განსაკუთრებით მეხილეობა (ძირითადად ფორთოხალი და ლიმონი), ზეთისხილისა და ზეთუნის ზეთის წარმოება, მევენახეობა-მელვინეობა. კუნძულისთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანია ტურიზმი და უძრავი ქონება. სიცილიაზე მდებარეობს უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული და უძველესი ძეგლები, რომელთა შორისაა პანთალიკის ნეკროპოლისი, ტაძრების ხეობა და სელუნიტი. გეოგრაფია

კუნძულს უხეშად სამკუთხედის მოყვანილობა აქვს. აღმოსავლეთით, კონტინენტური იტალიისგან (კონკრეტულად კალაბრიის რეგიონისგან) გამოყოფილია მესინის სრუტით და მათ შორის მანძილი 3 კმ-ია ჩრდილოეთ ნაწილში, სამხრეთში კი 16 კმ. სიცილიის შიდა ნაწილი ძირითადად გორაკ-ბორცვიანია და ინტენსიურად კულტივირებული, სადაც კი ეს

შესაძლებელია. ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულია მადონიეს (2000 მ), ნებროდის (1800 მ), და პელორიტანის (1300 მ) მთაგორები, რომლებიც კონტინენტურ ნაწილზე არსებული აპენინის მთების გაგრძელებას წარმოადგენს. აღმოსავლეთ სანაპიროსთან გამოირჩევა ვულკან ეტნას კონუსი. სამხრეთ-აღმოსავლეთით განფენილია შედარებით დაბალი იბლიეს მთები (1000 მ). XIX საუკუნეში, ენასა და კალტანისეტის რაიონები ლიდერობდნენ გოგირდის წარმოებით, მაგარამ 1950-იანი წლებიდან მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა. სიცილია და მის გარშემო მდებარე პატარა კუნძულები მაღალი ვულკანური აქტივობით გამოირჩევიან. მათ შორისაა კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე ეტნას მთა, რომელიც 3 320 მეტრი სიმაღლით ერთ-ერთი უმაღლესი აქტიური ვულკანი ევროპაში და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მთელ მსოფლიოში. ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ტირენიის ზღვაში მდებარე ლიპარის კუნძულები შეიცავს ვულკანურ კომპლექსს, რომელთა შორისაცაა სტრომბოლი. ბოლო დროს ასევე გააქტიურდა მიძინებული ვულკანები: ვულკანო, ვულკანელო და ლიპარი. სამხრეთ სანაპიროს სიახლოვეს, მდებარეობს ნყალქვეშა ვულკანი ფერდინანდეა, უფრო ფართო ემპედოკლესის ვულკანის ნაწილი, რომელიც



ბოლოს 1831 წელსა ამოიფრქვა. იგი აგრიჯენტოს სანაპიროსა და კუნძულ პანტელერიის (რომელიც თავის მხრივ მიძინებული ვულკანისაა) შორის მდებარეობს, ფლეგრანის წყალქვეშა მინდორზე სიცილიის სრუტეში.

ადმინისტრაციული დაყოფა სიცილიის რეგიონი ადმინისტრაციულად ცხრა პროვინციად იყოფა: სიცილიის

პროვინციები: აგრიჯენტოს პროვინცია, კალტანისეტის პროვინცია, კატანიის პროვინცია, ენის პროვინცია, მესინის პროვინცია, პალერმოს პროვინცია, რაგუზის პროვინცია, სირაკუზის პროვინცია, ტრაპანის პროვინცია პალერმოს პროვინცია — პროვინცია იტალიაში, ავტონომიურ კუნძულოვან რეგიონ სიცილიაში.



დედაქალაქია პალერმო. წარმოადგენს სიცილიის ყველაზე დიდ პროვინციას. პროვინციის ფართობი 4 992 კმ -ია (სიცილიის ტერიტორიის 19,4%), მოსახლეობა — 1,239,272 ადამიანი (2004, სიცილიის მოსახლეობის 24,9%). შედგება 82 კომუნისგან. პალერმო — სიცილიის ყველაზე დიდი ქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრი.

რეგიონი სარდინია

სარდინია — მთიანი კუნძული, იტალიის ავტონომიური რეგიონი. სარდინია ხმელთაშუა ზღვაში სიდიდით მე-2 კუნძულია, აქვს ტურისტული ზონა კოსტა-სმერალდა (ზურმუხტოვანი სანაპირო).

უცხოელთა მრავალსაუკუნოვანი მმართველობის შემდეგ, სარდინია 1720 წელს შეურთდა პიემონტს და ეს ორმაგი სამეფო 1861 წელს გაერთიანებული იტალიის საფუძველი გახდა. იტალიურის გარდა აქ სარდინიულადაც ლაპარაკობენ. სარდინიის ფართობი 23 821 კმ -ია, მის დასავლეთით გადაჭიმულია ბალეარის ზღვა, აღმოსავლეთით კი ტირენიის ზღვა.[1] კუნძულის სანაპიროები (სიგრძე 1 849 კმ) უმეტესად მაღალი და კლდოვანია, გამოირჩევა ბევრ თვალსაჩინო კონცხით, რამდენიმე ფართო, ღრმა უბით, რიებით და მრავალგვარი პატარა კუნძულით.

კუნძულს უძველესი გეოფორმაცია გააჩნია და სიცილიისა და კონტინენტური იტალიისგან განსხვავებით, არ ახასიათებს მიწისძვრები. მისი კლდეები პალეოზოური პერიოდით თარიღდება (500-ზე მეტი მლნ წლის წინ). მაღალმთიანეთს ამჩნევია ხანგრძლივი ეროზიული პრეცესების კვალი. უმაღლესი მწვერვალია პუნტა-ლა-მარმორა (1 834 მ).

სარდინიაზე გაედინება ხუთი მთავარი მდინარე, რომელთა შორისაც უდიდესია ტრისო (151 კმ). წარმოქმნილია 54 ხელოვნური ტბა, რომელთა მთავარი ფუნქციაც წყალმომარაგება და ელექტროენერგიის წარმოებაა. მათ შორის უმთავრესებია ომოდეოსა და კოგინასის ტბები. ერთადერთი ბუნებრივი, მტკნარი ტბაა ლაგო-დი-ბარაჯი. კუნძულის კლიმატი ტიპური ხმელთაშუაზღვიურია. წელიწადის განმავლობაში 300 დღე მზიანია, ნალექების ძირითადი რაოდენობა



შემოდგომა-ზამთრის სეზონზე მოდის. საშუალო ტემპერატურაა 11 — 17 °C (52 to 63 °F).[2] გაბატონებული ქარია მისტრალი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავს მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ზამთარსა და გაზაფხულზე, მაგრამ ის როგორც წესი მშრალი და ცივია. ადმინისტრაციული დაყოფა სარდინიის რეგიონი ადმინისტრაციულად რვა პროვინციად იყოფა: კალიარის პროვინცია, კარბონია-იგლეზიასის პროვინცია, მედიო-კამპიდანოს პროვინცია, ნუოროს პროვინცია, ოლიასტრის პროვინცია, ოლიბია-ტემპიოს პროვინცია, ორისტანოს პროვინცია, სასარის პროვინცია. კალიარის პროვინცია — პროვინცია იტალიაში, ავტონომიურ კუნძულოვან რეგიონ სარდინიაში. დედაქალაქია კალიარი. პროვინციის ფართობი 4 470 კმ -ია, მოსახლეობა — 543 310 ადამიანი (2001). კომუნები პროვინცია 71 კომუნისგან შედგება. ცხრილში მოცემულია ძირითადი კომუნები მოსახლეობის რაოდენობის მხრივ: კალიარი კალიარი — ქალაქი იტალიაში, კუნძულ სარდინიის დედაქალაქი. მისი სარდინიული სახელწოდება კასტედუ ციხესიმაგრეს ნიშნავს. 2010 წლის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 156 000 ადამიანს შეადგენს, ხოლო მეტროპოლიტური არეალის — 480 000 -ს.

ვენეცია

ხანგრძლივი ისტორიის მქონე უძველესმა ქალაქმა მრავალი ცივილიზაციის მმართველობის ქვეშ გამოიარა. ის იყო სარდინიის სამეფოს დედაქალაქი (რომელიც 1861 წელს იტალიის სამეფო გახდა) 1324 — 1720 და 1798 — 1815 წლებში. ქალაქში მდებარეობს კალიარის უნივერსიტეტი და სარდინიის რომანულ-კათოლიკური არქისაეპისკოპოსო, [1] შესაბამისად ის რეგიონის მნიშვნელოვანი კულტურული, საგანმანათლებლო, პოლიტიკური და ხელოვნების ცენტრია, ცნობილია არტ-ნუვოს არქიტექტურითა და მრავალი მონუმენტით. [2] ამავე დროს, ის სარდინიის ეკონომიკური და ინდუსტრიული კვანძია, რომელსაც გააჩნია ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური მთელს ხმელთაშუა ზღვაზე, საერთაშორისო აეროპორტი და შემოსავლების ერთ-ერთი უდიდესი მაჩვენებელი იტალიაში, რითაც ის ჩრდილოეთის ისეთ ქალაქებს უტოლდება, როგორებიცაა ტურინი, ვიჩენცა და გენუა. კალიარი მდებარეობს სარდინიის მერიდიანულ ზონაში. მის სამხრეთით იშლება კალიარის ყურე, აღმოსავლეთით — შვიდი ძმის მთები (monti dei Sette Fratelli), დასავლეთით — კაპოტერის მთები, ჩრდილოეთით კი კამპიდანოს ვაკე. იგი იტალიის მასშტაბით მე-8 და სამხრეთ იტალიის ყველაზე ხალხმრავალი ქალაქია.

კალიარის კლიმატი ტიპური ხმელთაშუაზღვიურია, ძალიან ცხელი ზაფხულით. ივლისის ტემპერატურა ხშირად 40 °C-ს უტოლდება. წვიმიანი სეზონი გრძელდება ოქტომბრიდან მარტამდე. ზამთრის საშუალო ტემპერატურა 10 °C-ია.

ვენეცია - ულამაზესი და რომანტიკული ქალაქია იტალიაში. ყოველწლიურად ვენეციის ტერიტორია იძირება 5 მმ-ით. მე-20 საუკუნეში მთელი 23 სმ-ით ჩაიძირა წყალში. მეცნიერები თვლიან რომ 2028 წლისათვის ქალაქი საცხოვრებლად გამოუსადეგი იქნება. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქის გადასარჩენად სხვადასხვა სახის სამაშველო სამუშაოები.

ვენეცია მეტსახელად არხების ქალაქი, იტალიის რეგიონის ვენეტო დავენეციის პროვინციის დედაქალაქი.

მოსახლეობა 2009 წლის აღწერით შეადგენდა 270 660 ადამიანს. ქალაქი პადუასთან ერთად პადუა-ვენეციის აგლომერაციას ეკუთვნის, მოსახლეობით 1.600.000.

სახელი მომდინარებს აქ



მაცხოვრებელი ანტიკური პერიოდის ხალხისგან, რომლებსაც ვენეტები ეწოდებოდათ დაქრისტეშობამდე დაახლოებით X საუკუნეში ცხოვრობდნენ. ქალაქი ისტორიულად ვენეციის რესპუბლიკის დედაქალაქი იყო. ხშირად ვენეციას სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებენ: "La Dominante", "Serenissima", "ადრიატიკის ზღვის დედოფალი", "წყლის გალაქი", "ნიღბების ქალაქი", "ხიდების ქალაქი", "მცურავი ქალაქი" და "არხების ქალაქი".



გაქვავებულია ლურჯი არხების თავზე. ვენეციაში ყველაფერი დიდი ხნის წინ ააშენეს და აქ ოცდამეერთე საუკუნის შენობებს ვერსად ნახავთ. ერთადერთი გამონაკლისი რკინიგზის სადგურია. ვენეცია მირაუჯითაა, წყალში ამოზიდული ულამაზესი შენობებით. გეშინია, რომ თვალის დახეჭვითაღავე გაქრება. ვენეცია ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც განლაგებულია 119 კუნძულზე, მოიცავს 160 არხს და 369 ხიდს. მას ევროპის კონტინენტთა კი სრუტე აშორებს. ამ ქალაქში ვერ ნახავთ ვერც მეტროს და ვერც ავტომობილებს. არხებში მხოლოდ ბორანები და გონდოლები დაცურავენ. 1 დღით ბორანის მომსახურების ბილეთი 15 ევრო დაგიჯდებათ. გონდოლის დაქირავება კი 1 საათით 80 ევრომდე ჯდება. სიძვირის მიუხედავად, გონდოლის დაქირავება ნამდვილად ღირს. გონდოლით ვენეციის არხებში გასეირნება და გონდოლიერების მიერ მოყოლილი ლეგენდები მომსახურების სიძვირეს მაშინვე დაგავიწყებთ.

ხშირად ამბობენ, რომ ვენეცია თაფლობის თვის გასატარებლად საუკეთესო ქალაქია. უამრავი რომანტიკული ადგილებით. აქ თქვენ მოინახულებთ ულამაზეს პალაცო დუკალეს. კა რეცონიკოს-ს სასახლეს, სან მარკოს ბაზილიკას,

ლაგუნას. წმინდა მარკოსა და სან მარინოს მოედნებს. გაისეირნებთ რეალტოს ხიდზე და მოინახულებთ მუზეუმებს. აქ მთელი ქალაქი მუზეუმი, თითქმის ყველა სახლში სამხატვრო გალერეაა, ცნობილი მხატვრების მიერ მოხატული კედლებით.

აქ შოპინგისთვისაც კი დიდი შესაძლებლობებია. სუვენირების არჩევანიც დიდი. დღეს, ისევე როგორც წარსულში, ვენეციაში შეგიძლიათ უამრავი ნიღბის, მსოფლიოში განთქმული მურანოს შუშის კრისტალებისა და ხელით მოქარგული ქსოვილების შეძენა. გარდა ამისა აქ Benetton-ის, Max Mara-სა და Sisley-ის ბუტიკებსაც შეგიძიათ ესტუმროთ.

ლამის ცხოვრება ვენეციაში ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. აქ ყველაზე ნათლად შეიგრძნობა შუშუნა ლამის ცხოვრებას. ლამის ბარები გარე და კაპლე ვალაპეკო ყველაზე ცნობილი ადგილებია, სადაც ადგილობრივები და ტურისტები გასართობას მიდიან. ქუჩებში ცოცხალი მუსიკა უკრავს და გასართობად რომც არ წახვიდეთ, იქვე მოედანზე შეუერთდებით მოცეკვავე წყვილებს.

თუკი ვენეციას დიდი მარხვის დაწყებამდე ეწვევით ვენეციის კარნავალზეც მოხვდებით. კარნავალი დასაბამს X საუკუნიდან იღებს და ყოველწლიურად, დიდმარხვის დაწყებამდე, 12 დღის განმავლობაში მიმდინარეობს. მთელი ვენეცია თითქმის წარსულში ბრუნდება - აზნაურები, მავრები, გოლიათები და ჯუჯები, ქალბატონების ტანსაცმელში გადაცმული ბატონები, მამაკაცის სამოსში გამოწყობილი გოგონები, არლეკინი, კოლუმბინი და პულჩინელი, პიერო და კაზანოვა - ულამაზეს კოსტუმებსა და ნიღბებში გამოწყობილი მოსახლეობა ქალაქის ქუჩებში მხიარულობს. ხმაურიანი წვეულებები - დოლებისა და საყვირების ხმის თანხლებით ფეიერვერკები. ეს მართლაც


დაუვინყარი სანახაობაა. ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ, მიხვდებით რომ ვენეციაში სიყვარული ზეიმობს და ნამდვილად ჯაკომო კაზანოვას სამშობლოში ხარ.

ვერონა

იტალიის ქალაქ ვერონაში ყველაზე პოპულარული ტურისტული სანახაობა უდავოდ ვია კაპელოს #23-ში მდებარე ჯულიეტას სახლია (Casa Di Julietta). XIII საუკუნის შენობა, რომელიც დელ კაპელოს ოჯახის საკუთრება იყო, 1905 წელს ვერონას მერიამ გამოიყიდა. სახლის მფლობელებისა და კაპულეტის გვარების მსგავსების დამსახურებით შეიქმნა ტურისტული მითი, თითქმის და ეს იყო კაპულეტების სახლი, რომლის აივანზე მდგომ ჯულიეტას რომეო სასიყვარულო სტროფებს უძღვნიდა. არავითარ პრობლემას არ ქმნის ფაქტი, რომ ეს ცნობილი აივანი დელ კაპელოების სახლს მხოლოდ XX საუკუნეში მიაშენეს.



სახლის ეზოში დგას შექსპირის ჯულიეტას ბრინჯაოს ქანდაკება, რომლის მარჯვენა ძუძუზე შეხებაც მართხელა, სიყვარულზე მეოცნებე ადამიანებს სიყვარულსა და ბედნიერებას მოუტანს. როგორც ჩანს, ამ რწმენას უამრავი ადამიანი იზიარებს, რადგან ჯულიეტას სახლი იტალიის ყველაზე პოპულარულ ღირშესანიშნაობებს შორისაა.



სახლის წინა, ჯულიეტას კედლის სახელით ცნობილი ფასადი შეყვარებულთა და სიყვარულზე მეოცნებეთა სახელებითა და სხვადასხვა რომანტიული შინაარსის წარწერებით იყო დაფარული. ზოგიერთი ტურისტი საყვარელი ადამიანისადმი ერთგულების აღთქმას ქალაქში წერდა და საღებო რეზინით აკრავდა კედელს, ზოგი კი პირდაპირ კედელზე წერდა. მიღებული ტრადიციით, ჯულიეტას კედელზე დატოვებული წარწერა მათ სიყვარულს საუკუნოდ განამტკიცებს. 2004 წელს ვერონას მერიამ გადაწყვიტა, აეკრძალა ამ ცნობილი ტურისტული ობიექტის საღებო რეზინებითა და გრაფიტით დამახინჯება და სპეციალურად ამ მიზნით სახლის კედლებთან და ეზოში მობილური პანელები დააყენეს. ტურისტს, რომელიც აკრძალვას დაარღვევს, 500 ევროზე მეტი ჯარიმის გადახდა შეიძლება მოუხდეს.

იტალიური რენესანსი

იტალიური რენესანსით დაიწყო რენესანსის პერიოდის საწყისი ფაზა, პერიოდი, რომელმაც უდიდესი კულტურული ცვლილებები და მიღწევები გამოიწვია ევროპაში მე-14 საუკუნის ბოლოდან ერთი საუკუნის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობა მე-14 საუკუნის ადრეულ წლებში ჩაისახა, ამ პერიოდში იტალიური კულტურა ჯერ კიდევ შეასაუკუნებრივი იყო და რენესანსი სრული ძალით მხოლოდ საუკუნის ბოლოს გაბატონდა. სიტყვა "რენესანსი" ფრანგულად ნიშნავს "ხელმოგრედ დაბადებას" და ეს ხანა ხასიათდება კლასიკური ანტიკურობისადმი განახლებული ინტერესის გაღვივებით ე.წ. "ბნელი ხანის" შემდეგ. ეს ცვლილებები უმეტესწილად შეეხო ელიტარულ ფენებს, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრება კი შუა საუკუნეების შემდეგ დიდად არ შეცვლილა. იტალიური რენესანსი დაიწყო ტოსკანაში, ცენტრებით ფლორენციაში და სიენაში. შემდეგ ის სამხრეთშიც ვრცელდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რომზე, რომელიც თითქმის თავიდან აიგო რენესანსის პაპების მმართველობის პერიოდში. იტალიურმა რენესანსმა პიკს მე-15 საუკუნის ბოლოს მიაღწია, რის შემდეგაც უცხოელი დამპყრობლების



შემოსევებმა კულტურული ცხოვრების დაქვეითება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, რენესანსის იდეები და იდეალები დანარჩენ ევროპაშიც ვრცელდება, დასაბამს აძლევს რა ჩრდილოეთის რენესანსსა და ინგლისურ რენესანსს. იტალიური რენესანსი განსაკუთრებით ცნობილია ამ პერიოდის კულტურული მიღწევებით. მათ შორისაა ლიტერატურული შრომები ისეთი ფიგურებისა, როგორიცაა ფრანჩესკო პეტრარკა, ბ. კასტილიონე და ნიკოლო მაკიაველი, ხელოვნები — მიქელანჯელო ბუონაროტი და ლეონარდო და ვინჩი, უდიდესი არქიტექტურული ქმნილებები -- სანტა მარია დელ ფიორეს ტაძარი ფლორენციაში და წმ. პეტრეს ტაძარი რომში. ამავე დროს თანამედროვე ისტორიკოსები ამ პერიოდს განიხილავენ როგორც ეკონომიკური რეგრესიისა და სამეცნიერო პროგრესის უქონლობის ხანას. რენესანსი რენესანსი, ასევე აღორძინება გაიგივებულია ევროპის ისტორიულ-კულტურულ ეპოქასთან, რომელმაც შეცვალა შუა საუკუნეები და წინ უძღოდა რეფორმაციას. ამ ეპოქის ქრონოლოგიური ჩარჩოები XIV—XVI საუკუნეებია, დაიწყო რა იტალიაში გვიან შუა საუკუნეებში და მოგვიანებით მთელ ევროპაში გავრცელდა. აღორძინების ეპოქის განმასხვავებელი თვისება იყო კულტურის საერო ხასიათი და მისი ანთროპოცენტრიზმი (ანუ ინტერესი, პირველ რიგში, ადამიანისა და მისი მოღვაწეობის მიმართ). ღვივდება ინტერესი ანტიკური კულტურის მიმართ, ხდება რა მისი ერთგვარი "ხელახალი დაბადება", რაზეც თვით ტერმინი მიუთითებს. ტერმინი "აღორძინება" გვხვდება უკვე იტალიელ ჰუმანისტებთან XVI საუკუნეში (მაგ. ჯორჯო ვაზარი). თანამედროვე მნიშვნელობით ეს ტერმინი



შემოიღო XIX საუკუნის ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ. ამჟამად ტერმინი "აღორძინება" გადაქცეულია კულტურული აყვავების მეტაფორად. იტალიური რენესანსი XV საუკუნეში წარმოადგენდა დასავლეთის კლასიკურ ანტიკურობასთან დაახლოებას, ცოდნის აბსორბციას, ყურადღების გადატანას ბედნიერი ცხოვრების მნიშვნელოვნებაზე ამწყობი (რელიგიური საიქიოს ნაცვლად). მის სწრაფ გავრცელებას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობს ბექდვის ტექნოლოგიის გამოგონება, რამაც ცოდნის გავრცელებაზე ჯაჭვური რეაქცია მოახდინა. ამასთან ხელოვნებაში, პოეზიაში და არქიტექტურაში ახალი ტექნიკის შექმნამ თავისდა ნილად განაპირობა ხელოვნებისა და ლიტერატურის სტილისა და შინაარსის რადიკალური შეცვლა (ან ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, შემობრუნება კლასიციზმისკენ). იტალიური რენესანსი ხშირად გაიგივებულია "თანამედროვე" ეპოქის დასაწყისთან. რენესანსის წინა ეტაპია "პროტორენესანსი". ეს არის გარდამავალი საფეხური შუა საუკუნეებიდან რენესანსამდე. პროტორენესანსი ჩაისახა მეცამეტე საუკუნის 60-იან წლებში. სხვანაირად მას უწოდებენ "დუჩენტოს" და



“ტრეჩენტოს”.

რენესანსის ხანის კულტურაში დიდი ადგილი უჭირავს არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებას. რენესანსის ხანის მხატვრულმა პრინციპებმა მეტნაკლები ძალით იჩინა თავი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. ამ ხანას მიეკუთვნება მხატვრული კულტურის უამრავი შესანიშნავი ძეგლი. ახალი ხელოვნება ყალიბდება შუა საუკუნეების ფეოდალურ მხატვრულ კულტურასთან ბრძოლაში. იგი თავს აღქვს შუა საუკუნეების რელიგიურ დორმატიზმსა და სქოლასტიკას. ჩნდება ღრმა ინტერესი რეალური სამყაროსადმი, ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანისადმი, რწმება ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობისა. ხელოვნების უმთავრეს საგნად იქცევა ადამიანი, მისი ფიზიკური სილამაზე, სულიერი ცხოვრების სიმდიდრე. ჰარმონიულად განვითარებული, ჰეროიზებული ადამიანი ეპოქის იდეალია. რენესანსი თეატრალურ ხელოვნებაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ანტიკური თეატრალური ხელოვნების გავლენით. რენესანსული თეატრის ყურადღების ცენტრში მოექცა ძლიერი პიროვნება, მისი სულიერი სამყარო. მსახიობის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი ვნებები, ეპიკური ძალა. ახალი თეატრალური ესთეტიკა შემსრულებლისაგან მოითხოვდა დრამატული ნაწარმოების აზრის წვდომას, რთული და მრავალმხრივი

ხასიათების წარმოსახვას. ყოველივე ამან განაპირობა რენესანსის ეპოქის თეატრალური ხელოვნების რეალიზმის თავისებურებანი: სინამდვილის წინააღმდეგობათა ასახვა, ხალხური ხელოვნების ტრადიციების განვითარება, სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი, ტრაგიკულისა და კომიკურის, პოეტურისა და ბუფონურის გაბედული შერწყმა.

იტალიელი მხატვრები მიქელანჯელო ბუონაროტი მიქელანჯელო დი ლოდოვიკო ბუონაროტი სიმონი (6 მარტი, 1475, კაპრეზე — გ. 18 თებერვალი, 1564), ცნობილი როგორც მიქელანჯელო — იტალიური რენესანსის პერიოდის მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი და პოეტი. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების გარეთ სხვა დარგებს თითქმის არ შეხებია, ის უზადობა, რომელიც მის შემოქმედებას ახასიათებს ყველა დისციპლინაში, რომელშიც კი ოდესმე შეუქმნია, მას რენესანსის არქექტივი ადამიანის ტიტულს ანიჭებს, მის მოპაექრე და თანამოქალაქეფლორენციელ ლეონარდო და ვინჩისთან ერთად.

ლეონარდო და ვინჩი ლეონარდო და ვინჩი (იტალ. Leonardo da Vinci; დ. 15 აპრილი, 1452, ვინჩი, იტალია — გ. 2 მაისი, 1519, ამბუაზი, საფრანგეთი) — ალორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი, მათემატიკოსი, მუსიკოსი, გამომგონებელი, ინჟინერი,



ანატომი, ბოტანიკოსი, მოქანდაკე, ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, მწერალი, კარტოგრაფი და მხატვარი. საინტერესო ფაქტები

- ლეონარდო და ვინჩის ტვინის ორივე ჰემოსფეროს განსავითარებლად თავისი მეთოდები ჰქონდა:
 1. იყავი ცნობისმოყვარე ყველაფრის მიმართ;
 2. ეცადე შენიშნო და გამოარჩიო გარღვევები შენივე გამოცდილებიდან და შეცდომებიდან;
 3. მუდამ განაახლე, გამოთვალე შენი ემოციების მარაგი;
 4. მიიღე და გაიაზრე პარადოქსები;
 5. გამოიმუშავე გლობალური აზროვნება ტვინის ორივე ჰემოსფეროს გამოყენებით;
 6. შეინარჩუნე ციკლისხლიანობა, მენტალური მოქნილობა და გონების სისხარტე;
 7. დაიმახსოვრე, რომ ხსენებული ექვსი პრინციპი ერთმანეთისაგან განუყოფელია და მუდამ იფიქრე მათზე!..

• „საიდუმლო სერობის“ შექმნის დროს ლეონარდო და ვინჩი უდიდესი პრობლემის წინაშე დადგა: მას უნდა განესახიერებინა სიკეთე იესოს სახით და ბოროტება — იუდასსახით. ლეონარდომ ხატვა შეწყვიტა და მხოლოდ მას შემდეგ განაგრძო, როდესაც იდეალურ მოდელებს მიაგნო. ერთხელ მხატვარი მომღერლების გუნდის გამოსვლას ესწრებოდა და ერთ-ერთ ყმაწვილ მომღერალში ქრისტეს ნათელი, სრულყოფილი სახე შეიცნო. ახალგაზრდა სახელოსნოში მიიწვია და რამდენიმე ჩანახატი გააკეთა. სამ წელიწადში მხატვარმა ტილო თითქმის დაასრულა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაგნო ტიპაჟს, რომელიც იუდას დასახატად გამოდგებოდა. ფრესკის დამკვეთი კარდინალი აჩქარებდა. გარკვეული ხნის შემდეგ ლეონარდომ მთვრალი, ბინძური, ჩამოძონძილი, ნაადრევად დაბერებული კაცი აღმოაჩინა, ეტიუდის შესაქმნელად დრო



ალარ რჩებოდა და მხატვარმა თანამემშენებლებს უბრძანა, ტაძარში წაეყვანათ იგი. გაჭირვებით მიათრიეს ეკლესიაში და ლეონარდომ დახატა იუდა — მის სახეზე აღბეჭდილი იყო ცოდვა, ეგოიზმი, ბედუკულმართობა. როდესაც მხატვარმა სამუშაო დაასრულა, გამოფხიზლებულმა მათხოვარმა თვალი გაახილა, გაოცებულმა მიმოიხედა და როგორც კი ნახატი დაინახა, შეშინებულმა წამოიყვირა: — ეს ნახატი მე ნანახი მაქვს! — კი მაგრამ, საიდან? — გაუკვირდა ლეონარდოს. — სამი წლის წინ სანამ ყველაფერს დავკარგავდი, გუნდში ვმღეროდი, მომავლის იმედი მქონდა... ერთმა მხატვარმა წამოიყვანა და ჩემი სახე ქრისტეს დასახატად გამოიყენა...”

- ლეონარდო და ვინჩი იყო ერთ-ერთი უპირველესი მათ შორის, რომელმაც შექმნა ორმაგი მირორენცეფალიოტური კონფურომა (ლათ. *Mirroren-cefaliotic Confuromja*). ეს თეორია ლათინურად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „*mirroren*“ — ორმაგი, „*cefaliotic*“ — სააზროვნო (ცეფალიოტური), „*confuromja*“ — დანიშნულება (კონფურომა).

- რაფაელი რაფაელი, (ნამდვილი სახელი რაფაელო სანციო; იტალ. *Raffaello Sanzio*; დ. 6 აპრილი, 1483 — გ. 6 აპრილი, 1520) — ხელოვანი მხატვარი და არქიტექტორი, იტალიური მაღალი რენესანსის ფლორენციის სკოლის წარმომადგენელი, საყოველთაოდ აღიარებული მისი ნამუშევრების უნაკლობისა და სინატიფის გამო. ზოგიერთ

წყაროში ასევე მოხსენიებულია, როგორც რაფაელო სანტი, რაფაელო და ურბინო, ან რაფაელო სანციო და ურბინო.

ნიკოლო მაკიაველი

ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი (იტალ. *Niccol di Bernardo dei Machiavelli*; დ. 3 მაისი 1469, ფლორენცია — გ. 21 ივნისი 1527, ფლორენცია) — რენესანსის დროინდელი იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე, ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი, დიპლომატი, ფილოსოფოსი, მწერალი და ჰუმანისტი. გალარიბებული დიდგვაროვანი ოჯახიდან. ითვლება პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად. მაკიაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფლორენციაში, იმ დროს, როდესაც იტალიადაქუცმაცებული იყო რამდენიმე მეტოქე ქალაქ-სახელმწიფოდ, რომლებსაც ახასიათებდათ არასტაბილურობა და რელიგიურიკონფლიქტები. 1498 წელს ფლორენციის რესპუბლიკის „ათთა კოლეგის“ მდივანი. 1512 წელს, მედიჩების ტირანიის აღდგენის შემდეგ, მაკიაველი გადაიყვანეს თანამდებობიდან და გადაასახლეს სამ-კაშინოს მახლობლად მისსავე მამულში, სადაც ცხოვრობდა სიკვდილის ბოლომდე. მაკიაველის უმნიშვნელოვანესი თხზულებებია: „მსჯელობა




ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო“, „მთავარი“, „ფლორენციის ისტორია“. 1559 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ მაკიაველის თხზულებები „აკრძალული წიგნების სიაში“ შეიყვანა.

მსოფლმხედველობა მაკიაველი იყო თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი. იტალიის უბედურების მიზეზად მისი დაქუცმაცებულობა მიაჩნდა. აღორძინების ეპოქის პოლიტიკოსთა იდეათა ისტორიაში მაკიაველიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო პრობლემისადმი საერთო (და არა თეოლოგიური) პოზიციებიდან მიდგომით. კარლ მარქსი მაკიაველს მიაკუთვნებდა იმ პოლიტიკურ მოაზროვნეთა რიცხვს, რომლებიც სახელმწიფოს იხილავდნენ ადამიანური თვალთ და მისი ბუნებრივი კანონები გამოყვავდათ არა თეოლოგიიდან, არამედ გონებიდან და გამოცდილებიდან. მაკიაველის კონცეფციის თანახმად ძლიერ ადამიანს ძალა შესწევს წინ აღუდგეს ბედისწერას, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს დაუპირისპიროს თავისი ენერგია და გამჭირაობა. თუ მმართველს შესწევს უნარი შეაფასოს მდგომარეობა და სიტუაციის შესაბამისად შეცვალოს პოლიტიკა, მაშინ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება. მაკიაველს საუკეთესო მმართველობის ფორმად რესპუბლიკა მიაჩნდა, მაგრამ იტალიის მდგომარეობიდან გამომდინარე, იტალიისთვის ერთხელისუფლებიანობას ანიჭებდა უპირატესობას. მხოლოდ ძლიერი მონარქის ხელში გახდებოდა შესაძლებელი უცხოელთა უღლისაგან თავისუფალი იტალიური ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. მაკიაველის აზრით სახელმწიფოს განმტკიცებისთვის დასაშვებია ყველა საშუალება—



ძალადობა, მკვლევლობა, სიცრუე, გამყიდველობა; შემდეგ შეიქმნა ტერმინი მაკიაველიზმი, რომელიც აღნიშნავს მორალის კანონების უარყოფელ პოლიტიკას. მხატვრული შემოქმედება მაკიაველიმ, როგორც ისტორიკოსმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისტორიოგრაფიის განვითარებაში. მაკიაველი აგრეთვე იყო მწერალი, კომედიოგრაფი. წერდა უმეტესად არისტოფანეს ტერენციუსისა და პლავტუსის მიბაძვით («ანდრია», «კლავია»), მაგრამ «მანდრაგორათი» (დაახ. 1512 წ.) მკვეთრად გაემიჯნა ლათინურ კომედიას და მიუახლოვდა ჩინკვეჩენტოს თხრობით ლიტერატურას. ეს ნაწარმოები მიჩნეულია ალორძინების ხანის საუკეთესო კომედიადა. მასში წარმოსახულია მაშინდელი ფლორენციული საზოგადოების სატირული სახე. აღსანიშნავია ასევე მისი წიგნი «დიალოგი ენის თაობაზე», რომელშიც იგი ენის წარმოშობის არსებით საკითხებს ეხება და ლექსები (საკარნავალო სიმღერები, სტანსები, სერენადები, სონეტები და სხვა). ტრაქტატში «სამხედრო ხელოვნების შესახებ» (1521 წ.) მაკიაველი მკაცრად აკრიტიკებდა დაქირავებული ჯარის სისტემას და წამოაყენა მათი ხელმწიფის მორჩილებაში მყოფი მუდმივი ჯარით შეცვლის იდეა. მთავარი[

მისი წიგნი (იტალ. Il Principe), რომელიც მისი გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, 1532 წელს გამოიცა, წარმოადგენს საკუთარი გამოცდილების და მის მიერ უძველესი ისტორიის შესწავლის ნაყოფს. მაკიაველი ამ ნაშრომში გვაძლევს რეალიზმის ერთ-ერთ დრომოუქმელ ნორმას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკის წარმოება, რომელიც გულისხმობს ხალხისადმი პასუხისმგებლობას, არ შეიძლება ეფუძნებოდეს მორალს, როგორც ეს კერძო ურთიერთობს შეეფერება. მაკიაველის სჯეროდა, რომ გრძნობების გარეშე, მორალზე დაუფუძნებლად მოქმედება არის წარმატების საწინდარი. ეს გაკვეთილი მან მისი ბატონის, ცეზარე ბორჯიას ქმედებების შესწავლისას შეიძინა. მაკიაველი თავის „მთავარში“ ქადაგებს, რომ პასუხისმგებელი ლიდერი არ უნდა სარგებლობდეს ქრისტიანული ეთიკის მიხედვით, იმდენად რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მან შეიძლება ყველაფერი დაკარგოს: საკუთრება, თავისუფლება და მისი მოქალაქეების სიცოცხლე. მორალით სარგებლობა პოლიტიკაში უპასუხისმგებლობის ტოლფასია. მმართველს ამის უფლება არ აქვს, რადგან მას ხალხის ბედი აბარია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, პოლიტიკური პასუხისმგებლობა სულ სხვა გზით მიემართება, ვიდრე კერძომორალი.



პოლიტიკაში ფუნდამენტური, უზენაესი ფასეულობა არის უსაფრთხოება და სახელმწიფოს თვითგადარჩენა. პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმები და მორალი ემორჩილება სახელმწიფო ინტერესებს. ეს არის ის, რამაც უნდა მართოს საგარეო პოლიტიკა. მმართველების მთავარი პასუხისმგებლობა კი ისაა, რომ ყოველთვის იყოს უპირატესობის ძიებაში, დაიცვას თავისი სახელმწიფოს ინტერესები და უზრუნველყოს მისი გადარჩენა. მაკიაველის ნაშრომის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისიც არის, რომ იგი მმართველს აყენებს ხალხის და ქვეყნის სამსახურში და არა საკუთარი თავის, ან რეჟიმის სამსახურში. ის, რომ მმართველები უნდა იყვნენ როგორც ლომები (ძალა, ძლიერება) ასევე მელიები (ცბიერება) არის მაკიაველის რეალიზმის დედაბარი. მათ ეს ორივე თვისება სჭირდებათ რადგან მათი ხალხის ბედი მათი სიმამაცისა და საზრიანობის ხელშია. ის ფაქტი, რომ ხალხის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მმართველის და შესაბამისად სახელმწიფოს ბედთან არის მაკიაველის, და საერთოდ, პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოსაზრება.

გალილეო გალილეი



გალილეო გალილეი (დ. 15 თებერვალი, 1564, პიზა — გ. 8 იანვარი, 1642, არჩეტრი, ფლორენციის მახლობლად), იტალიელი ფიზიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი, სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, პოეტი, ფილოლოგი და კრიტიკოსი. მის მიღწევათა შორისაა ტელესკოპის გაუმჯობესება, რიგი ასტრონომიული დაკვირვებებისა, ნიუტონის პირველი და მეორე კანონები. მას ხშირად თანამედროვე ასტრონომიის მამად მოიხსენიებენ, ისევე როგორც თანამედროვე ფიზიკისა და მეცნიერების მამად. მისი ექსპერიმენტალური ნაშრომები ფართოდ აღიარებულია, ფრენსის ბეკონის შრომებთან ერთად, თანამედროვე მეცნიერული მეთოდის ფუძემდებლად. გალილეოს კარიერა თან ხვდება იოჰანეს კეპლერისას. გალილეოს ნამუშევრები მნიშვნელოვანი გადახვევა იყო არისტოტელეს ნააზრევისგან. ამასთან ერთად მისი კონფლიქტი კათოლიკურ ეკლესიასთან განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ადრეული მაგალითი ავტორიტეტთან კონფლიქტისა და აზროვნების თავისუფლებისა, განსაკუთრებით მეცნიერების დარგში, დასავლურ საზოგადოებაში.

ვატიკანი

ვატიკანი მსოფლიოში ყველაზე პატარა სახელმწიფოა, როგორც ფართობით ასევე მოსახლეობის რაოდენობითაც, მაგრამ მის განუზომელ სიძლიერეს განსაზღვრავს რწმენა, რომელსაც ის მთელი მსოფლიოს მამულებით უნერგავს კათოლიკური ეკლესიის მიმდევრებს, ამ 44 ჰა ფართობის და 1000 ადამიანამდე მოსახლეობის მქონე ქვეყანას ხელთ უპყრია 17 მილიარდი ადამიანის სული.

კულტურა

ვატიკანის კულტურაა წმინდა პეტრეს ბაზილიკა, რომელსაც ბრამანტე და მიქელანჯელო აშენებდნენ და



ამ მშენებლობამ 1506 წლიდან 1626 წლამდე გასტანა, ვატიკანში დიდი ადგილი უკავია ბალებს, პაპისა და მისი ხელქვეითების სახლებს და ასევე ვატიკანის ბიბლიოთეკას, რომელშიც 60000-ზე მეტი ხელნაწერია დაცული. ტერიტორია

ვატიკანის ტერიტორიაზე, რომელიც ერთადერთი აბსოლუტური მონარქიაა ევროპის ტერიტორიაზე, წესრიგს იცავს შვეიცარიული ჯანდარმერია, მასში 134 კაცი მსახურობს, რომლებიც აუცილებელია, რომ კათოლიკეები იყვნენ.

საინტერესო ფაქტები


- ვატიკანს საკუთარი ხმის გასავრცელებლად მრავალი საშუალება აქვს, ვატიკანის რადიო მსოფლიო მამულებით 33 ენაზე მაუწყებლობს.
- საკუთარი ყოველდღიური გაზეთი, სტამბა, რომელიც პაპის ეპისტოლეებს 94 ენაზე ბეჭდავს, და ასევე საკუთარი ფოსტა.
- ვატიკანის ფულის ერთეული ევროა, რომელსაც ვატიკანი საკუთარი რევერსით ქრის.

დიპლომატია

ვატიკანი ყოველთვის ერეოდა მსოფლიო წესრიგში, მაგრამ ეს ყველაფერი გაცილებით მკვეთრად გამოჩნდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, 1494 წელს პაპმა ალექსანდრე VI-მ ახალი მსოფლიო ორ ესპანურ და პორტუგალიურ ნაწილად გაყო. წმინდა სუდარი დიპლომატიურ ურთიერთობებში ძალიან აქტიურია, მას მსოფლიოს 174 ქვეყანაში გააჩნია საელჩო. ვატიკანი თავის დიპლომატიას პაპის მოგზაურობით ამყარებს, მაგალითად პაპმა იოანე-პავლე II-მ თავისი 26 წლიანი პონციპიკოსობის დროს 117 ქვეყანა მოინახულა. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის დანგრევის საქმეში, პოლონეთში „Solidarnosc“ მოძრაობას ვატიკანი აქტიურად უჭერდა მხარს ფულით თუ სიტყვით, იოანე პავლე II-ს მოგზაურობებს წინ აღუდგა რუსეთი და ჩინეთი, რუსეთში პრობლემად იქცა კათოლიკე მქადაგებლები, ხოლო ჩინეთში არ შეშვების მიზეზად ვატიკანის ტაივანთან ურთიერთობა იქცა. ამ პერიოდში ჩინეთი დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტას ითხოვს ამავედროულად თავის ქვეყანაში მცხოვრები 50-მლნ. მდე კათოლიკისთვის კი პატრიოტული ჩინური

კათოლიკური ორგანიზაცია შექმნა, რაც წმინდა საყდრის მიერ აღიარებული არ იქნა, ვატიკანის დიპლომატია უძლური აღმოჩნდა ასევე 2003 წელს, როცა მას მოკავშირეების ერაყში შეჭრა უნდოდა აღეკვეთა.

1986 წლიდან ვატიკანის ინიციატივით ფუნქციონირებს საერთაშორისო მშვიდობის ორგანიზაცია „Assie“, რომელშიც გაერთიანებული არიან მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგიის მიმდევრები: მუსლიმები, ბუდისტები, ინდურები, იუდეველები, კათოლიკე და ორთოდოქსი ქრისტიანები, ამის შედეგი იყო პაპის პირველი მოგზაურობა მუსლიმურ ქვეყანაში_მარგოში.




კათოლიციზმი

კათოლიციზმი (ბერძნ. (კათოლიკოს) — „საერთო“ , „უნივერსალური“) — კათოლიკური ეკლესიის მოძღვრება, რომელსაც ქრისტიანობაში ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს (1 მილიარდ 100 მილიონი კათოლიკე მსოფლიოს 235 ქვეყანაში, რაც მთელი ქრისტიანობის 52% შეადგენს). კათოლიციზმი დასავლეთ ევროპაში ცალკე მიმდინარეობდა ჩამოყალიბდა და გაბატონებულ რელიგიად იქცა მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა 1054 წელს ოფიციალურად გაიყო 2 ძირითად მიმართულებად — კათოლიკობად და მართლმადიდებლობად. აღმოსავლეთისა და



დასავლეთის საპატრიარქოებს შორის მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო და საეკლესიო უთანხმოება IX საუკუნიდან იწყება. კათოლიციზმის ცალკე გამოყოფის პროცესს ხელი შეუწყო 395 წლიდან რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფილობამ. ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა განვითარების განსხვავებულმა პირობებმა საბოლოოდ გასაზღვრა ამ 2 მიმართულების თავისებურებანი. სხვა ქრისტიანული მოძღვრებების მიმდევრებისაგან განსხვავებით კათოლიკეები რომის პაპებს პეტრე მოციქულის მემკვიდრეებად აღიარებენ და ამით მას ყველა სხვა ეპისკოპოსისგან გამორჩეულად და მთელი ეკლესიის უპირველეს წინამძღვრად მიიჩნევენ, ეყრდნობიან რა მათე 16, 17-19-ს [1], ლუკა 22, 31-32-ს [2], იოანე 21, 15-17-ს [3]. 1870 წელს ვატიკანის საეკლესიო კრებაზე პაპი რწმენის საკითხებში „შეუცდომლად და უცოდველად“ გამოაცხადეს. მსგავსება და განსხვავება მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას ბევრი რამ აქვს საერთო. ძირითადი განსხვავება მათ შორის მჟღავნდება ე.წ. „ფილიოკვს“ საკითხში (ლათ. filioque — და ძისაგან). კათოლიკური მოძღვრების მიხედვით, სულიწმინდის გამოჩაველობა ხდება არა მარტო მამა

ღმერთისაგან, როგორც ეს მართლმადიდებლობაშია, არამედ ძე ღმერთისაგანაც. კათოლიციზმი, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, სამოთხისა და ჯოჯოხეთის გარდა აღიარებს შუალედურ რგოლს — განსაწმენდელს (სალხინებელს). კათოლიკური მოძღვრებით, წმინდა წერილის კანონიკურ ტექსტს წარმოადგენს და ორიგინალს უტოლდება ბიბლიის ლათინური თარგმანი — „ვულგატა“.



კაპიტოლიუმის ბორცვი



ხშირად გვსმენია, რომ ისტორიული რომი 7 ბორცვზეა განთავსებული. კაპიტოლიუმი, პალატინი, ავენტინი, ცელიუსი, კვირინალი, ესქვილინი და ვიმინალი. ამით გარდა, ქალაქს დროთა განმავლობაში შეემატა პინჩო, იანიკული, ტესტარო... შევეცადოთ მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი, საინტერესოები თურისტული თვალსაზრისით. კაპიტოლიუმის ბორცვი რომის ყველაზე ადრეული ცენტრია – ისტორიულიც, გეოგრაფიულიც, კულტურულიც და სანახაობრივადაც მას სხვები ვერ შეედრებიან. არქეოლოგებს ამ ადგილებში ბრინჯაოს ხანის ნაკეთობები უპოვნიათ, რაც ბორცვის დასახლების სიძველეს მიუთითებს. ეს საბინიელ ტომთა სალოცავების ადგილი იყო. რომაელ მეომართა მიერ საბინიელი ქალების გატაცების შემდეგ ლათინთა და საბინიელთა შორის ომი გაიმართა, რომელიც საბინიელი ქალის, ტარპეას გამცემლობის გამო ლათინთა გამარჯვებით დასრულდა. საბინიელებს მოღალატე კლდიდან გადაუგდიათ – ეს ადგილი ახლაც ტარპეას კლდედ იწოდება. მალე ეს ადგილები ლათინებმა აითვისეს. აიგო იუპიტერის

ტაძარი (მისი კედელი მუზეუმის ტერიტორიაზეა), იუნონას ტაძარი კი ჩვენთვის ლამაზი ლეგენდიდანაა ცნობილი – მისი ეზოს ბატებზე გააღვიძეს რომაელთა გარნიზონი, როცა გალთა რაზმები ცდილობდნენ შემოპარვას. Caput – ლათინურად თავს აღნიშნავს. ბორცვის სახელწოდებას ეტიმოლოგები ამ სიტყვას უკავშირებენ. ბორცვზე მდებარე სასახლეებში ქალაქის თავები აქ მდებარე სენატის სასახლეში იკრიბებოდნენ. ბორცვზე ყველაზე თვალსაჩინო ნაგებობა უზარმაზარი თეთრი სასახლე „ვიტორიანოა“. ჩვენ ის სხვა თემების დროს უკვე მიმოვიხილეთ. იგი გვერდს უმშვენიერეს კაპიტოლიუმის მოედანს, რომელზეც ვენეციის მოედნიდან მიქელანჯელოს კიბე-კორდონატით ავალთ.

კიბიდან მოედანზე გასასვლელთან დიოსკურების სკულპტურული კომპოზიციებია, რომლებიც პომპეუსის თეატრის გათხრებისას უპოვნიათ და პაპი გრიგოლ XIII-ის ბრძანებით აქ მოუთავსებიათ 1583 წელს. ტყუპი დიოსკურები – კასტორი და პოლუქსი, ზევსისა და ლედას შვილები – ცხენების მფარველებად ითვლებოდნენ და აქაც ცხენებთან არიან კომპოზიციაში. ლედას გედად გარდასახვის მითი დიოსკურების პატარა ქუდებშია ასახული – ეს გედის კვერცხის ნაჭუჭის ნატეხებია, მათ რომ ახურავთ. კიბის თავს შემდგომ, პაპი სიქსტუს V-ის დროს, დაემატა კონსტანტინე დიდისა და მისი ვაჟის, კონსტანტინე კეისრის ძეგლები. კორდონატას მარცხნივ პატარა ქანდაკებაა უცნაურად შეკონინებული კვარცხლბეკით – ეს სახალხო ტრიბუნის, კოლა დი რიენცოს ძეგლია. XIV საუკუნეში მის მიერ მოწყობილი აჯანყების შედეგად შეიქმნა რომის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც 7 წელი იარსება და იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული კვალი დატოვა, ქანდაკება კი მისი სიკვდილით დასჯის ადგილასაა აღმართული.

ბორცვის პლატოზე ბევრი რამ მიქელანჯელოს მიერაა გაფორმებული – მოედნის ქვაფენილის სურათი, შენობების ფასადები. მისივე იდეა იყო მოედნის ცენტრში მარკუს ავრელიუსის ძეგლის გადმოტანა. შუა საუკუნეებში ითვლებოდა, რომ ეს რომში ქრისტიანობის დამამკვიდრებლის, იმპერატორ კონსტანტინეს ძეგლი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ იგი გადაურჩა განადგურებას და პაპთა ლატერანოს სასახლეშიც კი ყოფილა დაცული VIII-XVI საუკუნეების განმავლობაში. სიმართლის დადგენის შემდეგ პონტიფიკატი მის თავიდან მოცილებას სიხარულით დასთანხმდა. ამჟამად მოედანზე ძეგლის ასლია, ორიგინალი კი იქვე მუზეუმშია მოთავსებული.

მოედანზევე, სენატორის სასახლის მარცხნივ მაღალ კვარცხლბეკზე რომის სიმბოლოს – ძუ მგლის ქანდაკებაა. მისი ორიგინალიც მუზეუმშია დაცული. 65 წელს მეხის დაცემის შედეგად ორიგინალი დაზიანდა და ბავშვების ფიგურები დაიწვა კიდეც. პაპი სიქსტუს IV-ის ბრძანებით და დაფინანსებით რემუსის და რომულუსის ახალი ფიგურები შექმნა ანტონიო დელ პალაიოლომ. როგორც ამბობენ, 1960 წლამდე აქვე ცოცხალი მგელიც კი ყოფილა გალიაში დამწყვდეული, ალბათ უფრო ტურისტების მისაზიდად.

კაპიტოლიუმის მუზეუმები არა მარტო კამპიდოლიოს მოედნისა და რომის მშვენიერებაა – ისინი მთელ მსოფლიოშია



ცნობილი. მარჯვენა სასახლეს კონსერვატორი ჰქვია, მარცხენას – ნუოვო. მათი ფასადების გაფორმებაც დიდი მიქელანჯელოს შემოქმედებაა. ამ ორ სასახლეს მიწისქვეშა დერეფანი აერთებს. მიქელანჯელოს ჩანაფიქრით, მოედნის ვიზუალურად გასადიდებლად რამდენიმე ოპტიკური ეფექტი იქნა გამოყენებული. სასახლეები „ნუოვო“ და „კონსერვატორი“ პალაცო სენატორის მიმართ მახვილი კუთხით დგანან – ეს ოპტიკურად აფართოვებს მათ შორის სივრცეს, პარალელურ განლაგებასთან შედარებით. ასევე, მოედნის ქვაფენილის ელიფსური სურათი პერსპექტივაში წრიულად გვეჩვენება – ესეც იგივე ეფექტს იძლევა.

სენატორის სასახლეში ამჟამადაც მერიის განთავსებული. მისი ფასადის ორმარშიანი კიბეც მიქელანჯელოს პროექტია. კიბის



ძირში მხოლოდარე ნილოსისა და ტიბროსის ქანდაკებებია, მათ შუა კი, ნიშაში, „მოზეიმე რომის“ ძეგლი დგას სფეროთი ხელში – რომის სიძლიერისა და მფლობელობის სიმბოლო. მიქელანჯელოს გარდაცვალების მომენტისათვის (1564 წ.) ხელოვანის ჩანაფიქრის ნახევარიც არ იყო შესრულებული. შემდგომ სამუშაოებს ჯაკომო დელა პორტა გაუძღვა, მის მერე კი ჯაკომოს მოწაფე – ჯიროლამო რაინალდი და მისი შვილი, კარლო რაინალდი.

სენატორისა და კონსერვატორის სასახლეებს შორის ფორუმებზე სამზერი მოედნისკენ გზა გადის. მას თუ გავუყვებით, გავივლით ტარპეას კლდედან, რომელსაც რომის ისტორიაში მძიმე ფუნქცია ეკისრებოდა – ამ კლდიდან სიკვდილმისჯილებს აგდებდნენ ძირს.

ამავე გზაზე ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, სან თეოდოროს ჩავუვლით, შემდეგ კი წმ. ანასტაზიას ეკლესიაც გამოჩნდება, რომელშიც საინტერესო ქანდაკებაა საკურთხევლის ქვეშ – ერკოლე ფერარას მიერ შექმნილი „წმ. ანასტაზია“ ბერნინის „წმ. ლუდოვიკას ექსტაზის“ ზუსტი ასლია, რომელიც თავის მხრივ, ბერნინისავე „წმ. ტერეზას ექსტაზის“ თემის გაშეგრძელებაა.

„ვიტორიანოს“ მარჯვნივ, კაპიტოლიუმის ბორცვის ძირში II საუკუნის დროინდელი რომაული სახლი დგას – ინსულა. ქალაქის ზონაში ადგილის სიმცირის გამო მრავალსართულიანი სახლების შენება შემოუღიათ. ეს სახლი 5 სართულიანი ყოფილა და სასტუმროს ფუნქციებს ასრულებდა.

იმპერიის ფორუმსა და „ვიტორიანოს“ სასახლეს შორის პატარა ქუჩა შედის, რომელზეც დურგალთა საძმოს ეკლესიაა – სან ჯუზეპე დეი ფალენამი. ადგილი იმითაა გამორჩეული, რომ იგი აგებულია ძვ.წ. VII საუკუნის დროინდელ სატუსალო სარდაფზე და ლეგენდის



თანახმად, ამ სატუსალოში ყოფილან დამწყვდეულნი წმინდა მოციქულები პეტრე და პავლე. ისტორიული დოკუმენტაცია ამ ფაქტის შესახებ არაა შემონახული, მაგრამ ლეგენდა სათავეს უძველესი დროიდან იღებს და პოლიგრიმთა ნაკადი ამ ადგილის მოსანახულებლად უწყვეტია. თავიდანვე სატუსალო აგებული იქნა ხელისუფლებასთან მებრძოლი მემამოხეების სამაგალითოდ დასასჯელად, ქალაქის ცენტრში. ძვ.წ. 640 წელს რომის მეოთხე მეფის, ანკუს მარციუსის დროს გაკეთებულა ზედა დილეგი, ქვედა კი ძვ.წ. 578 წელს მეექვსე მეფის, სერვიუს ტულიუსის ბრძანებით გაითხარა.

ქვედა დილეგში პატიმარს ზედას იატაკში დატანებული ხვრელიდან აგდებდნენ, შემდეგ კი გვამს ტიბროსის ტალღებს ატანდნენ. წმინდა მოციქულებს აქ სიკვდილის წინა რამდენიმე თვე გაუტარებიათ. ზედა დილეგში, ქვემოთ ჩამავალ კიბესთან რკინის ცხაურით დაფარული კედლის ფილაა – მასზე აღბეჭდილა წმ. პეტრეს სახე, როცა მეომრებმა იგი კედელს მიანარცხეს. ქვედა დილეგში მარმარილოს სვეტია, რომელზეც მიუჯაჭვიათ მოციქულები. აქ, პეტრეს მიერ სასწაულებრივად გადმოდენილ წყაროს წყლით მოციქულს ორი კარისკაცი – პროკესი და მარტინიანი გაუქრისტიანებია, ასევე მოუნათლავს 47 ტუსალი! კაპიტოლიუმის ბორცვზე ბაზილიკა სანტა მარია ინ არაკოელიის სანახავად 122 საფეხურიანი მაღალი კიბით მოგვინევს ასვლა. ბაზილიკა 1348 წელს გაიხსნა შავი ქირის გადავლასთან დაკავშირებით (ეს ეპიდემია ჯ. ბოკაჩოს „დეკამერონში“ აღწერილი). ინტერიერში აღსანიშნავია იმპერატორ კონსტანტინეს დედის, წმ. ელენეს სარკოფაგი. საინტერესოა საკურთხევლიდან მარცხნივ მდებარე კაპელაში მოთავსებული ბავშვის

